საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 აპრილი პარასკევი 2011
№093 (13390) ფასი 60 თეთრი



12

## ვერცხლით დავიწყეთ...

### ბეთქილ შუკვანის სასიამოვნო სიურპრიზი



10

## აქაც ცოტა დაგვაკლდა

### გიორგი შერმადინისა და ვლადიმერ გოისას ოლიმპია ადრიატიკის თასის ფინალში სამი ქულით დამარცხდა

## ზურაბ ხიზანიშვილი:

### ვთამაშობთ არა წარმოსახვით, არამედ რეალურ ფეხბურთს, ვაჩვენებთ იმას, რაც შეგვიძლია



2

**სამწვრთნელო ტრანსფერები**



## უკრაინის ნაკრები ისევ ბლოხინს ჩააბარეს

## მაესტრო ფეხბურთს უბრუნდება?



championat.ru-ს ინფორმაციით **მარჩელო ლიპიმ,** შესაძლოა, მოსკოვის სპარტაკი ჩაიბაროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# ზურაბ ხიზანიშვილი: შესაძლოა, გუნდიც შევიცვალო და ქვეყანაც



## მოდრიჩს რომ ჰკითხოთ, ფეხბურთის მკვლელები ვართ. არადა, რა ეგონა, თბილისში ვასეირნებდით?

**საქართველოს ნაკრებისა და ინგლისის ჩემპიონშიპის "რედინგის" ფეხბურთელი ზურაბ ხიზანიშვილი გველაპარაკება ნაკრებზე, კლუბზე, სამომავლო გეგმებსა და ნაკრების პერსპექტივებზე. აღდგომისწინა დღეებში ზურაბმა თავდაპირველად გაიხსენა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან შეხვედრა:**

- უწმინდესის დალოცვა დიდი მადლია. მას შემდეგ, რაც პატრიარქი ლონდონში ვნახე და დამლოცა, ჩემი საქმეებიც კარგად წავიდა, "რედინგსაც" უკვე რვა შეხვედრა არ წაუგია, ნაკრებმაც ხორვატიასთან მოიგო და მეც ბევრად უკეთ ვარ, ვიდრე გასულ წელს. "რედინგი" ჩემპიონშიპში მეოთხე ადგილზეა და პრემიერლიგაში გადასვლის შანსი გვაქვს, სადაც ორი გუნდი პირდაპირ გადადის, მეორეადგილოსანი "კარდიფი" მხოლოდ სამი ქულით გვისწრებს და თუ დარჩენილ ოთხ ტურში დავეწევით, მაშინ მეორეზე ჩვენ გავალთ.

**- სეზონის შემდეგ "რედინგს" დატოვებ თუ დარჩები?**

- "რედინგში" იჯარით გამიშვა "ბლექბერნმა", რომელთანაც კონტრაქტი მიმთავრდება. თავიდან ამ კლუბში სათამაშო პრაქტიკის გამო გადმოვედი, მაგრამ მადა ჭამში მოდის და ახლა პრემიერლიგაში დაბრუნების ამბიცია გამიჩნდა. თუ პრემიერლიგაში გადავედით, "რედინგთან" კონტარქტის გაფორმებაზე დავილაპარაკებ. თუ არა, მაშინ სხვა გადაწყვეტილებას მივიღებ და, შესაძლოა, არა მხოლოდ გუნდი, ქვეყანაც შევიცვალო.

**- ქეცბაია ნაკრებში საყრდენად გათამაშებს, ამ პოზიციაზე მხოლოდ თბილისის "დინამოს" დუბლებში გაყენებდნენ და "თანამეგობრობის თასზე" მოწონებაც დაიმსახურე. მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ძველ ამპლუაზე გადაწყობა ძნელი იქნებოდა.**

- ქეცბაიამ თავიდანვე მითხრა, დაცვაში თამაშზე არც იფიქრო, საყრდენად მჭირდებიო. გამიკვირდა, მაგრამ დავას ხომ არ დავუწყებდი. შინაგანი მღელვარება დამეუფლა. ერთხელ "ნიუკასლში" მარცხენა მცველად დამაყენეს, მაგრამ კლუბი და ნაკრები სხვადასხვაა. ბავშვობის შემდეგ საყრდენად არ მეთამაშა და არ ვიცოდი, როგორ გამომივიდოდა. თამაშის ჩაგდება და ხალხის იმედგაცრუება კი არ მინდოდა, ისეთი იმედის თვალით გვიყურებდნენ...

ჩემდა გასახარად, პოზიციას მოვერგე. ყოველ შემთხვევაში, დავალებას რომ ვერ ვასრულებდე, ქეცბაია აღარ დამაყენებდა. თუ გახსოვთ, თავიდან მე და ასათიანს მონაცვლეობით გვაყენებდა საყრდენად და ცენტრალურ მცველად. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ნაკრები მაშინ თამაშობდა უკეთ, როდესაც მალხაზი დაცვაში იყო, მე კი ნახევარდაცვაში და ქეცბაიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. სიმართლე რომ ვთქვა, მაგალითად, ხორვატი მოდრიჩის მსგავს სწრაფ ნახევარმცველს ტემპში ვერ ავყვები, მაგრამ ეტყობა, ამ პოზიციაზე სათამაშოდ ჭკუა მყოფნის.

სიტყვამ მოიტანა და, მოდრიჩმა ჩვენთან შეხვედრის შემდეგ ინტერვიუში თქვა, ქართველები ფეხბურთის ქილერები არიანო. აბა, რა ეგონა, ზონებს გავუხსნიდით და მას, კრანჩარს და ხორვატებს ვასეირნებდით? ამ ინტერვიუმდე მას დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ წარმოდგენა დამეკარგა. დიდი ფეხბურთელი ღირსეულადაც აგებს. ჩვენ ისე მოვუგეთ, როგორც შეგვეძლო.

**- სხვათა შორის, სტილი არა მხოლოდ ლუკა მოდრიჩმა დაგვიწუნა, "ლელოს" პარტნიორ ვებგვერდ Sportall.ge-ზე გამოქვეყნებულ წერილში მიხეილ ყაველაშვილი ამბობს, ნაკრების სათამაშო სტილი ჩემთვის უცხოაო.**

- სიმართლე გითხრათ, ეს წერილი არ წამიკითხავს.

- ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოს ნაკრები დაცვით ფეხბურთს თამაშობს.

- არც ვამბობ, რომ ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს ვაჩვენებთ, მეც მირჩევნია, ბრაზილიელებივით ყველას შემტევი, ლამაზი ფეხბურთით ვუგებდეთ. მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები საკმაოდ

## ვთამაშობთ არა წარმოსახვით, არამედ რეალურ ფეხბურთს, ვაჩვენებთ იმას, რაც შეგვიძლია

მწირია, ქინქლაძის, არველაძეების, ჯამარაულის, ქეცბაიასა და ნემსაძის მსგავსი შემტევი, ტექნიკური ფეხბურთელები აღარ შემოგვრჩნენ. ვფიქრობ, ქეცბაიამ სათამაშო სტილი და სქემა მის ხელთ არსებული რესურსებიდან გამომდინარე შეარჩია და გვათამაშებს იმ ფეხბურთს, რისი უნარიც ამ დროისთვის შეგვწევს.

თავის დროზე კლაუს ტოპმიოლერმა შემტევი ფეხბურთის ჩვენება სცადა და საფრანგეთის ნაკრებთან სამი თავდამსხმელი დააყენა. რაც აქედან გამოვიდა, ყველას კარგად გვახსოვს - სამარცხვინოდ, 0:3 წავაგეთ. მაშინ ასეთ ძლიერ გუნდთან ღია, გახსნილი ფეხბურთის საჩვენებლად საკმარისი რესურსი არ აღმოგვაჩნდა. ქეცბაიას ტოპმიოლერისთვის რომ მიებაძა, ისტორიას დარჩებოდა ჯგუფში ორიოდე გამარჯვებით ბოლო ადგილზე გასული საქართველოს ნაკრები. საბედნიეროდ, ხორვატიას მოვუგეთ და ჩვენი შვილები და შვილიშვილები ამ გამარჯვებას სიამაყით გაიხსენებენ. არადა, ორი-სამი შეხვედრის შემდეგ ჯგუფიდან გასვლის იმედი გვეწურებოდა. ახლა კი ოთხი შეხვედრა დაგვრჩა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს ვინარჩუნებთ.

**- ისრაელთან შეხვედრა ჩააგდეთ, რომელიც პირადადაც სუსტად ჩაატარე, თამაშის მეტოქის ნახევარზე გადატანა და თამაშის გახსნა გაგიჭირდათ.**

- კარგად მესმის, რომ ეს შეხვედრა ჩვენი გულშემატკივრისთვის ძნელი საყურებელი იქნებოდა, მაგრამ ახალს ვერაფერს ვიტყვი, ძალა აღარ გვქონდა და, ცხადია, კარგად ვერ ვითამაშეთ.

**- სამდღიანი პაუზა ინგლისში უცხო ამბავი არ არის და მანდ როგორ თამაშობ?**

- ასე იყო ახლახანაც, კვირაში სამჯერ ვითამაშეთ, შაბათს, სამშაბათს და შაბათს, მაგრამ ინგლისში ათასგვარი აღდგენითი საშუალებაა, შოკოლადიანი პროტეინი, შეიკები და სხვა. კონდიციების სწრაფად აღდგენას ვახერხებთ და 24 საათში ისეთ ჯანზე ვართ, თითქოს არც გვითამაშია. სამწუხაროდ, საქართველოში აღდგენითი საშუალებები პრობლემაა. გარდა ამისა, ემოციურად ძალიან გამოვიფიტეთ. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ისრაელმა დაგვჩაგრა. გამეცინა, ვილაცამ თქვა, საქმეს პატრიოტულად არ მიუდგნენო. პატრიოტიზმი თავდადებაა, რაც ამ ნაკრებს არ აკლია, მაგრამ ბრძოლისთვის ჯანი გჭირდება და ამიტომ წავაგეთ.

**- ბოლოს შანსებზეც ვთქვათ – წარმოგიდგენია საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე?**

- ადრე ვერ წარმოვიდგენდი, ახლა კი იმედი მართლა გამიჩნდა. შანსებზე ბევრს ვფიქრობ და ასეთ დასკვნამდე მივედი: ხორვატია ფავორიტია და, ვფიქრობ, ჯგუფში პირველ ადგილზე გავა. კარგი ვარიანტი იქნება, თუ თბილისში გადამწყვეტი მატჩისთვის საბერძნეთი 18 ქულით გვესტუმრება, ჩვენ კი 15 ქულით დავხვდებით. გადაჭედილ ეროვნულ სტადიონზე, თანაც ასეთი შანსი თუ გაგვიჩნდება, მაყურებელი ძალიან დაძაბულ შეხვედრას იხილავს. თუმცა მანამდე 6 ქულა უნდა მოვიპოვოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინფრასტრუქტურა



# თემქიდან მცხეთამდე ჯერ კიდევ შორია

სეზონის მეორე ნახევრის მსვლელობისას რამდენიმეჯერ მოგაწოდეთ ინფორმაცია მცხეთის სტადიონის რეკონსტრუქციის შესახებ. მოსალოდნელი იყო, რომ უმაღლესლიგელი "ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს იქ ამ სეზონშივე გამართავდა, დასახელდა ვადებიც, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვეტერინარები მცხეთაში მეტოქეებს მომავალ სეზონამდე ვერ უმასპინძლებენ.

ყოფილ "არმაზზე" ხელოვნურსაფრიანი მოედანი უკვე სათამაშო მზადყოფნაშია, მაგრამ დასასრულებელია სტადიონის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა – კერძოდ, VIP და პრესლოჟები, გასახდელები.

მცხეთაში უკვე ვარჯიშობენ "ვიტ ჯორჯიას" დუბლშემადგენლობა და ჭაბუკთა ასაკობრივი გუნდები. სავარაუდოდ, ისინი მცხეთაში ოფიციალურ მატჩებს ამ სეზონშივე გამართავენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ამისულაშვილი: საგანგაშო არაფერია

საქართველოს ნაკრებისა და „კრასნოდარის" მცველ **ალექსანდრე ამისულაშვილს** ექიმებმა ტვინის შერყევა დაუდგინეს. გუშინ გაცნობეთ, რომ მოსკოვის „სპარტაკისა" და „კრასნოდარის" რუსეთის თასის მეოთხედფინალურ მატჩში, ერთ-ერთი შეჯახებისას ქართველს თავში იდაყვი მოხვდა, 23-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა და გამოსაკვლევად მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში დატოვეს.

„კრასნოდარის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფეხბურთელის ტრავმა არც ისე საგანგაშოა, გადაწყდა, რომ იგი კიდევ ერთი დღე დარჩენილიყო მოსკოვში და ცოტა დაესვენა.

ამისულაშვილი კრასნოდარში გუშინ, დღის მეორე ნახევარში უნდა ჩასულიყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე ამისულაშვილი მოედნიდან გაჰყავთ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი

**მერაბ ჩახუნაშვილი**

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*
*დაკრძალვა 23 აპრილს, ქ. ვანში 15.00 სთ-ზე*

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია


მურად ანჯაფარიძე


კონფერენციას სფფ-ის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავაც დაესწრო

## კანდიდატი ერთი იყო
# ისევ მურად ანჯაფარიძე
## სიჭინავა საბუთებით ლაპარაკობს

გუშინ **მიხეილ მესხის** სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია გაიმართა. შეკრების მთავარი საკითხი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იყო. როგორც ამგვარ შემთხვევებში ხდება ხოლმე, გამომსვლელებმა შეაჯამეს გაწეული სამუშაო, ილაპარაკეს პრობლემებზე და სამომავლო გეგმები დასახეს. ყველაზე ვრცელი ფედერაციის პრეზიდენტ **მურად ანჯაფარიძის** სიტყვა იყო.

მან დეტალურად მიმოიხილა აფხაზეთის დაკარგვის შემდგომი პერიოდი და იმაზე ისაუბრა, თუ რა მძიმე პირობებში უწევდათ მუშაობა აფხაზეთიდან დევნილ ფეხბურთის მუშაკებს. გაიხსენა აფხაზეთში დაბადებული ის ფეხბურთელები, რომლებმაც მსოფლიო დონის ფეხბურთი ითამაშეს. ანჯაფარიძემ სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ ამ კუთხის შვილები საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დღესაც ხვდებიან – **აკაკი ხუბუტია** და **ლევან კაკუბავა**. აფფ-ის პრეზიდენტს არც აფხაზეთში დაბადებული წარმატებული მწვრთნელები და მსაჯები დავიწყებია, მან აგრეთვე მიმოიხილა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული ტურნირები, მადლობა გადაუხადა "ლია სახალისო ფეხბურთის" თბილისის ოფისს გაწეული დახმარებისთვის და მადლიერების სიტყვები არც თანამშრომელთა მიმართ დაუშურებია.

კონფერენციას "გაგრას" პრეზიდენტი **ბესო ჩიხრაძე** დაესწრო. შეკრებილმა საზოგადოებამ მას კლუბის წარმატებები მიულოცა და ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. ჩიხრაძემ და რამდენიმე დელეგატმა სამახსოვრო სიგელებიც მიიღეს.

აფფ-ის თავკაცის თანამდებობის დაკავების სურვილი მხოლოდ მოქმედ პრეზიდენტს აღმოაჩნდა და კენჭისყრის პროცედურამ უპრობლემო შედეგი დააფიქსირა – მურად ანჯაფარიძე, რომელიც ძველ თანამდებობაზე კიდევ ოთხი წელი იმუშავებს, 15-მა დელეგატმა პრეზიდენტად ერთხმად აირჩია.

კონფერენციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ესწრებოდა და თავყრილობა **ზვიად სიჭინავას** გამოსვლამ გამოაცოცხლა. სფფ-ის პრეზიდენტი აფფ-ის წარმომადგენელთა მიერ დაყენებულ წინადადებებს გამოეხმაურა. კერძოდ, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მოსაწყობად ტერიტორიის გამოყოფას ითხოვდა, რაზეც სიჭინავამ მიუგო, მოედნების მოვლა ძვირი სიამოვნებაა და ინვესტორის გარეშე ვერაფერს გააწყობთო.

სფფ-ის პრეზიდენტისგან აფფ-ის თავკაცებს კრიტიკა არ დაჰკლებიათ. სიჭინავამ მათ ურჩია, მხოლოდ თბილისში მუშაობით არ შემოიფარგლონ და მეტი ყურადღება მიაქციონ რეგიონებს, სადაც საფეხბურთო სკოლების მოსაწყობად ტერიტორიაც მეტია და ფეხბურთს დანატრებული ბავშვებიც.

აფფ-ში საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე **ანატოლი მილჩენკომ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვეტერან მსაჯებზე მეტი ზრუნვა და მათი ცოდნის გამოყენება სთხოვა. სიჭინავასგან მანაც მკვახე პასუხი მიიღო – შემიძლია, დოკუმენტურად დაგისაბუთოთ, როგორ ვზრუნავთ მსაჯებზე, ხოლო ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობა თუ გნებავთ, სამშაბათს მობრძანდით და ნამდვილი ცნობა მოიტანეთ იმის შესახებ, რომ "ვიტ ჯორჯიაში" აღარ მუშაობთო...

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სპარტაკი

# ბოლქვაძე სპარტაკს მაისამდე ვერ დაეხმარება

მშრალი სტატისტიკური მონაცემები - 16 შეხვედრაში გატანილი ორი გოლი სრულად ვერ გადმოსცემს, ვინ არის **ვალერი ბოლქვაძე** ცხინვალის „სპარტაკისთვის".

ვისაც ამ გუნდის და 22 წლის პლეიმეიკერის თამაშები უნახავს, დამეთანხმება, რომ ის უნარიანად წარმართავდა ცხინვალელთა თამაშს და მას საკმაოდ სანახაობრივს ხდიდა. ჩვენს მოედნებს ასეთი ნათელი გონების "ათიანები" აშკარად დააკლდა და ბევრი თვლის, რომ ბოლქვაძე ამ პოზიციაზე საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე პერსპექტიული მოთამაშეა.

სამწუხაროდ, ბოლო სამი ტურია, ბოლქვაძე "სპარტაკსაც" დააკლდა და ეს გუნდის თამაშზეც უარყოფითად აისახა. ვალერი ბოლოს მოედანზე 2 აპრილს ფოთში, "კოლხეთთან" გამოჩნდა და შემდეგ აღარ უთამაშია, ცხინვალელებმა კი სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლეს: თბილისის "დინამოსთან" შინ წააგეს (1:3), გასვლაზე "სამტრედიასთან" ფრეს დასჯერდნენ (0:0), "ზესტაფონთან" დამარცხდნენ (0:2).

რატომ არ თამაშობს "სპარტაკის" შეტევების ლიდერი? ამ კითხვით გუნდის პრესატაშე **დავით ცაბაძეს** მივმართეთ. მისი თქმით, ბოლქვაძე ფოთის "კოლხეთთან" შეხვედრაში დაშავდა. კოლხი მცველები მას საკმაოდ ეუხეშებოდნენ და ბოლოს კუნთი დაეჭიმა. სავარაუდოდ, "სპარტაკის" პლეიმეიკერი მოედანს მხოლოდ მაისში დაუბრუნდება.

ბოლქვაძეს ტრავმის შემდეგ დაბალი სიცხეები აწუხებდა, ექიმებმა ჰაიმორიტიც დაუდგინეს და საკმაოდ სერიოზული მკურნალობა დასჭირდა. შუბლის მიდამოებში ჩირქი დაუგროვდა და როგორც გვითხრეს, ბედზე გადაარჩინეს.

*ვალერიმ სწორედ იმ გუნდებთან გამოტოვა შეხვედრები, რომლებსაც განსაკუთრებით ელოდა – "ზესტაფონთან" და თბილისის "დინამოსთან". ამ უკანასკნელთან ბოლქვაძეს უსიამოვნო მოგონებები აკავშირებს: თბილისელებმა შარშან კლუბიდან გულნატკენი გაუშვეს და შეხვედრისთვის ერთი თვით ადრე ემზადებოდა. თანაც, ფეხბურთელისთვის სწორედ ლიდერებთან შეხვედრებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.*

**მერაბ მამულაშვილი**


ვალერი ბოლქვაძე (მარჯვნივ)

● ზესტაფონი

# როგორც იქნა!
## მენთეშაშვილს თამაშის უფლება ელირსა

50-დღიანი ლოდინის შემდეგ **ზურაბ მენთეშაშვილმა** "ზესტაფონის" შემადგენლობაში თამაშის უფლება მიიღო. ამ გაჭიანურებული პრობლემის შესახებ ხშირად ვწერდით და მისი შეხსენებით თავს აღარ შეგაწყენთ.

31 წლის მენთეშაშვილს "ზესტაფონთან" 3-წლიანი (2+1) კონტრაქტი აქვს გაფორმებული, ამჟამად კი ოპერაციისშემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდს გადის და ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. ამ სეზონში მისი მოედანზე გამოჩენა სავსებით შესაძლებელია.

მენთეშაშვილი "ზესტაფონის" ღირსებას 19-ნომრიანი მაისურით დაიცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ბურთით ზურაბ მენთეშაშვილი

● U17

# ვასილ მაისურაძემ საყაზახეთო 18 შეარჩია


ვასილ მაისურაძე

უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები 26-30 აპრილს ასტანაში „პრეზიდენტის თასის" გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. **ვასილ მაისურაძის** გუნდი საწვრთნელ შეკრებას „ბაიას" ბაზაზე გადის.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე იმ 18 ფეხბურთელის სია გამოქვეყნდა, რომლებიც მაისურაძემ გაფართოებული შემადგენლობიდან შეარჩია და ყაზახეთში იახლებს.

მეკარეები: **ბექა ტყემალაძე** („ლოკომოტივი"), **ალექსანდრე ადამია** („ოლიმპი", რუსთავი);

მცველები: **გიორგი გაბაძე** („ლოკომოტივი"), **ლაშა დვალი** („ოლიმპი", რუსთავი), **გიგა გურეშიძე** („ლოკომოტივი"), **ნიკა ჭანტურია** („ლოკომოტივი"), **ალექსანდრე გურეშიძე** („დინამო", თბილისი);

ნახევარმცველები: **ბექა მელიქიძე** („ოლიმპი", რუსთავი), **გიორგი აბურჯანია** („ოლიმპი", რუსთავი), **ჭიაბერ ჭეჭელაშვილი** („დინამო", თბილისი), **ნიკოლოზ ახვლედიანი** („ბაია", ზუგდიდი), **ოთარ კაკაბაძე** („დინამო", თბილისი);

თავდამსხმელები: **ილია კერძევაძე** („ოლიმპი", რუსთავი), **გიორგი როსტიაშვილი** („გაგრა"), **ალეკო მზევაშვილი** („ოლიმპი", რუსთავი), **ვანო წილოსანი** („დინამო", თბილისი), **დავით მაკარაძე** (თ. სულაქველიძის აკადემია), **მერაბ ნიკურაძე** (35-ე სკოლა).

„პრეზიდენტის თასის" გათამაშება სტადიონ „ასტანა არენაზე" გაიმართება. ტურნირში მონაწილე რვა გუნდი ორ ქვეჯგუფადაა დაყოფილი:

I ჯგუფი - **საქართველო, უკრაინა, სომხეთი, თურქეთი**

II ჯგუფი - **აზერბაიჯანი, ირანი, უზბეკეთი, ყაზახეთი**

**საქართველოს ნაკრების მატჩები:**

26 აპრილი:
**საქართველო-სომხეთი**
*(10:00 თბილისის დროით)*

27 აპრილი:
თურქეთი-**საქართველო** (10:00)

29 აპრილი:
**საქართველო-უკრაინა** (10:00)

ფინალური მატჩი 30 აპრილს გაიმართება, სადაც ერთმანეთს ჯგუფების პირველადგილოსნები დაუპირისპირდებიან. მაისურაძის გუნდი თბილისიდან ყაზახეთში 23 აპრილს გაემგზავრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ინტერვიუ



## გიორგი გაბედავა: ფინალისკენ ნაბიჯი კიდევ გადასადგმელია

**გიორგი გაბედავას "გაგრა"-"ვიტ ჯორჯიას" სათასო მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ. ბუნებრივია, "გაგრას" 21 წლის თავდამსხმელთან ინტერვიუში თავდაპირველად განვლილ შეხვედრას შევეხეთ, მერე კი სხვა საინტერესო საკითხებზეც ვისაუბრეთ.**

**- რისი წყალობით შეძლო "გაგრამ" ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვების მოპოვება?**

- უპირველეს ყოვლისა, დიდი შემართებითა და საბრძოლო სულისკვეთებით. ბუნებრივია, გამარჯვებაში უდიდესია მწვრთნელის როლი, რომელმაც ყველა ფეხბურთელს სწორი დავალება მისცა და გუნდი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად კარგად მოამზადა. 3:0 ჰაერიდან არ მოდის, ეს შედეგი დავიმსახურეთ.

**- მიგაჩნია, რომ ამ წყვილის ფინალისტის ვინაობა უკვე გაირკვა?**

- ფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ მეორე ნაბიჯი ჯერ კიდევ გადასადგმელია. კარგად ვიცით, რომ მოდუნება ძვირად დაგვიჯდება, ასე რომ, განმეორებით მატჩშიც ბევრი გვექნება დასამტკიცებელი. "ვიტ ჯორჯიას" სამბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა რომ შეუძლია, ეს წინა სეზონში დაამტკიცა, როცა თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა "ზესტაფონთან" 0:3 წააგო, განმეორებითი კი 4:0 მოიგო.

**- "ვიტ ჯორჯიასთან" შენთვის უჩვეულო პოზიციაზე, მოედნის ცენტრში ითამაშე.**

- უკრაინელი ნაკონეჩნის დისკვალიფიკაციის გამო გუნდს ამ ამპლუაში დავჭირდი და რაც შემეძლო, გავაკეთე, გამარჯვებაში მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანე.

**- საკუთარი სათამაშო ფორმით კმაყოფილი ხარ?**

- ნამდვილად არ ვარ კმაყოფილი, ვიცი, რომ გაცილებით მეტი შემიძლია და ძველი ფორმის დასაბრუნებლად ბევრს ვშრომობ.

**- ამ ცოტა ხნის წინ წარმოიდგენდი, საქართველოს თასთან ასე ახლოს თუ იქნებოდი?**

- ჩვენი მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იყო და ბედნიერი ვარ, ამ ამოცანის შესრულებასთან ძალიან ახლოს რომ ვართ. რაც შეეხება თასის გათამაშებას, კლუბის ხელმძღვანელობას ამ ტურნირის მოგება არ მოუთხოვია, მაგრამ ახლა, როცა ამდენი ეტაპი გავიარეთ და საკუთარი ძალებისაც ვირწმუნეთ, ვხვდებით, რომ თასის მოგებაც შეგვიძლია.

**- რატომ ვერ აგეწყო უკრაინული კარიერა?**

- საკუთარ თავს ყოველთვის კრიტიკულად ვუდგები, მაგრამ არა მგონია, ჩემი ბრალი იყოს. "ილიჩევეცსა" და უკრაინულ ფეხბურთს თავიდანვე კარგად შევეწყვე, გოლებიც გავიტანე, მაგრამ მერე ყველაფერი ამერია, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავკარგე და იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. შეიძლება, საქართველოდან ნაადრევად წავედი...

**- ზაფხულისთვის როგორი გეგმები გაქვს?**

- ჯერ არ გადაწყვეტილა, "გაგრაში" დავრჩები თუ კარიერას საზღვარგარეთ გავაგრძელებ. გამორიცხული არც უკრაინაში დაბრუნებაა და არც - სხვა ქვეყანაში წასვლა.

**- თუ "გაგრამ" ევროთასის საგზური მოიპოვა, ეს დარჩენისკენ არ გიბიძგებს?**

- "გაგრასთან" ერთად ევროტურნირებზე დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ კლუბის ევროპაში გასვლა ჩემი საზღვარგარეთ გადასვლის შანსებს არ შეამცირებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● არშემდგარი ტრანსფერი

## ბოდვა, რუსები და ლილუაშვილი

### არგაცემულმა ვიზამ კონტრაქტი გააუქმა



ირაკლი ლილუაშვილი

თბილისის "დინამომ" 2010 წლის ზაფხულში სლოვაკური "ნიტრადან" **ირაკლი ლილუაშვილი** დაიმატა. 26 წლის ფორვარდმა რამდენიმე შეხვედრაც ჩაატარა, მაგრამ ზამთარში კლუბი დატოვა.

შევიტყვეთ, რომ 26 წლის თავდამსხმელი 2011 წელს სლოვაკეთში დაბრუნდა, პირველი ლიგის მე-6 ადგილოსან "ბოდვა მოლდავაში" ჩაირიცხა და კლუბში სამი შეხვედრაც ჩაატარა, თუმცა ახლა იქ აღარ ირიცხება.

"ტრავმებმა გამანვალა, საზარდული ჯერ კიდევ "დინამოში" თამაშისას მაწუხებდა და ბოლო ორი თვე ვერ ვთამაშობდი. ცუდ დროს დავშავდი, გუნდში ახალი ხელმძღვანელობა მოდიოდა და, ცხადია, ტრავმირებული თავს ვერ გამოვიჩენდი.

მაშინ მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე იყო და ვთხოვე, როგორი თავისუფალი აგენტი მოვედი, ასევე თავისუფალი გამიშვით-მეთქი. ჩემი დატოვების დიდ სურვილსაც ვერ ვატყობდი, ძირითად შემადგენლობაში ჯანმრთელსაც იშვიათად მათამაშებდნენ და კონტრაქტის გაწყვეტა ორივესთვის აჯობებდა. უპრობლემოდ შევთანხმდით და სლოვაკეთში დავბრუნდი. "ბოდვა" მკურნალობაში დამეხმარა და სამი შეხვედრაც ჩავატარე, თუმცა ტკივილებმა ისევ შემაწუხა და ახლა უკრაინაში ერთ-ერთი გუნდის ექიმთან ვმკურნალობ. უკვე ინდივიდუალურადაც ვვარჯიშობ და მალე სრულ დატვირთვაზეც გადავალ. თუმცა, სანამ მოედანს დავუბრუნდები, სეზონიც დასრულდება, ასე რომ, "ბოდვასთანაც" დავარღვიე კონტრაქტი და ამჟამად უგუნდოდ ვარ" – გვითხრა ლილუაშვილმა.

სხვათა შორის ლილუაშვილი საქართველოში ჩამოსვლამდე ზაფხულში ბრიანსკის "დინამოში" გასინჯეს და კონტრაქტი გაუფორმეს, მაგრამ კლუბმა ვიზის პრობლემა ვერ მოუგვარა.

"ზამთარში მათთან უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ მთავარი მწვრთნელი სერგეი ოვჩინიკოვი მოხსნეს, რომელსაც ჩემი აყვანა სურდა და ეს ვარიანტიც გამოირიცხა".

ბრიანსკის "დინამოში" წარმოშობით ქართველი მეკარე **გიორგი შელია** თამაშობს.

"გიორგი ბრიანსკელებთან ვარჯიშის დროს გავიცანი. მითხრა, რომ ბავშვობიდან მოსკოვში იზრდებოდა, მაგრამ საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია, არდადეგებზე თბილისში ჩადის, სადაც ოჯახი და ნათესავები ჰყავს. არ ვაჭარბებ, პერსპექტიული მეკარეა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კარგი ქართველია, რომელსაც გუნდში არა მხოლოდ პატივს სცემენ, არამედ ძალიან უყვართ", – ამბობს ლილუაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

### XIX ტურის გამოტოვებ. მატჩი

**მეშახტე-სამგურალი 1:0**

16.04. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

1:0 გ. ბოხუა (36)

მეშახტე: დ. ოდიშარია, ა. ქუთათელაძე, თ. ლვინიაშვილი, ვ. აფციაური, ა. გუბელაძე, ა. ნოზაძე (86. ბ. ჯიშიაშვილი), გ. ჯიშიაშვილი, ვ. ჭაჭიაშვილი, გ. აბურჯანია, დ. გოგოლაძე, გ. ბოხუა

სათადარიგოები: ი. ორბელაძე, ა. სახელაშვილი

მწვრთნელი: მერაბ ბაბუხადია

სამგურალი: დ. ხურცილავა, ლ. ცხადაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზ. ჩიხლაძე, გ. ჯიმშელეიშვილი, ხ. უგრეხელიძე, გ. უგრეხელიძე, ზ. სალინაძე (69. გ. თევდორაძე), გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე (46. ლ. ნავერიანი), გ. ბუხაიძე (46. ზ. კუხალაშვილი)

სათადარიგოები: შ. ესებუა, მ. მესხი, ზ. აფრიდონიძე

მთავარი მწვრთნელი: ტრისტან მანაგაძე

გაფრთხილება: ვ. აფციაური, დ. ოდიშარია; გ. ჯიმშელეიშვილი

არბიტრი: მამუკა ურუშაძე (თბილისი)

### XXVIII ტური

**სქური-ჩიხურა 1:3**

19.04. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია". 200 მაყურებელი

0:1 თ. მუმლაძე (20), 0:2, 0:3 ა. ივანიშვილი (45, 48), 1:3 ი. მალიჩავა (66).

სქური: ვ. ჯომიდავა, ბ. გვილია, ე. ფარცვანია, თ. გერგედავა, ზ. მოლაშხია, ი. მალიჩავა, ბ. გუჯეჯიანი (60. დ. კუტალია), ა. მიქენაია, დ. რაფავა, გ. ჭკუასელი, დ. ჩახაია (78. გ. აკობია)

სათადარიგოები: გ. შელია, გ. კვირკვია, ლ. ქანთარია, ი. ნაჭყებია, ბ. სვანიძე

მთავარი მწვრთნელი: ვასო გულორდავა

ჩიხურა: შ. დოლაძე, ნ. მაჭარაშვილი. ი. გვეტაძე (64. ი. ტყებუჩავა), ლ. ჩაგელიშვილი, ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე, ე. ზივზივაძე, ა. ალავიძე, ა. ივანიშვილი, თ. მუმლაძე (46. დ. ქამუშაძე), დ. ჩაგელიშვილი (58. თ. მეტრეველი).

სათადარიგოები: გ. ბაგაშვილი, ო. გიორგობიანი, ბ. პეტრიაშვილი, გ. გიორბელიძე

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: დ. კუტალია

არბიტრი: არსენ ნონიკაშვილი (თბილისი)

**კოლხეთი-მეშახტე 1:0**

19.04. ხობი. ცენტრალური. 400 მაყურებელი

1:0 გ. ფარფალია (54)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, გ. ფარფალია, ლ. გოგენია, ლ. ჩაჩიბაია (40. მ. შონია), ი. კუტალია, მ. ბესარაშვილი, ც. ბუკია, ბ. ბუკია, გ. ლომაია (67. თ. ღლონტი), მ. ჭკადუა (76. კ. გოგენია)

სათადარიგოები: გ. ხუნჭუა, კ. ალანია, ვ. ფირცხალავა, ო. ფიფია.

მთავარი მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა

მეშახტე: დ. ოდიშარია, ა. ქუთათელაძე, თ. ლვინიაშვილი, ბ. ბერაია, ა. გუბელაძე, ბ. ჯიშიაშვილი. ა. ნოზაძე, გ. ჯიშიაშვილი, ვ. ჭაჭიაშვილი, ა. სახელაშვილი (89. გ. გვენეტაძე), გ. ბოხუა.

სათადარიგოები: ი. ორბელაძე, ვ. აფციაური

მწვრთნელი: მერაბ ბაბუხადია

გაფრთხილება: გ. ლომაია, გ. გოგენია, გ. ფარფალია; გ. ჯიშიაშვილი

არბიტრი: ალეკო გუნთაძე (ლანჩხუთი)

**დილა-ნ. დინამო 1:1**

20.04. გორი. „თ. ბურჯანაძე". 300 მაყურებელი

1:0 გ. ქარქუზაშვილი (65), 1:1 ა. ხვთისავრიშვილი (88)

დილა: ბ. შეყრილაძე, დ. ბაქრაძე, გ. ქარქუზაშვილი, დ. ჭითანავა, თ. შათირიშვილი, დ. ტლაშაძე (60. ვ. ნემსაძე), ვ. ჯოჯუა, დ. რაჟამაშვილი, ნოდარ ნოდარის ძე ნოზაძე (42. ნოდარ ნიკოლოზის ძე ნოზაძე), რ. ახალკაცი (18. ი. ლომიძე), რ. გოგინაშვილი

სათადარიგოები: ბ. კეჩხუაშვილი, ნ. სადალაშვილი, ვ. რუსიშვილი, თ. ბარამიძე

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ცეცაძე

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. გურაბანიძე, ვ. კაკაშვილი, გ. ლომიძე, ზ. ძაგანია, გ. შუშიაშვილი (72. მ. ლომაია), ა. ხვთისავრიშვილი, გ. თანიაშვილი, ბ. ბეროშვილი (78. ი. მახათაძე), ლ. ლაბარტყავა (90). ბ. ახალბედაშვილი), გ. მაისურაძე.

სათადარიგოები: თ. ცინცაბაძე, გ. ჩუბინიძე, ლ. ქიმერიძე, გ. ჯაჭვაძე

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

გაფრთხილება: დ. რაჟამაშვილი. ი. ლომიძე; ბ. ბეროშვილი

არბიტრი: თემურ ხუჭუა (სამტრედია)

**ჩხერიმელა-ბათუმი 1:1**

20.04. ხარაგაული. „ს. აბაშიძე". 300 მაყურებელი

0:1 გ. მანწკავა (25), 1:1 გ. კუხიანიძე (47)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ლ. მახარაძე, გ. თურმანიძე, ა. ქაშაკაშვილი, გ. ზაქარაშვილი, ა. ლაბაძე (66. ლ. გუმბერიძე), ც. ხარაბაძე, გ. კუხიანიძე, კ. ძაგანია, ჯ. ავალიშვილი (90. გ. ხეცურიანი), რ. ჩიხლაძე

სათადარიგოები: კ. კუბლაშვილი, მ. ლომსაძე, გ. გიორგობიანი

მთავარი მწვრთნელი: მამუკა ხუნდაძე

ბათუმი: შ. მამინაშვილი, დ. სამსეიშვილი, ზ. ლობჟანიძე, ა. ბაჯელიძე, ლ. რამიშვილი (66. კ. მაკარიანი), გ. მანწკავა, მ. ჟვანია (61. ზ. ხაჭიპერაძე), ე. გრიგალაშვილი, თ. ბერიძე, ა. ბაციკაძე (68. ნ. დიასამიძე), მ. კაკალაძე

სათადარიგოები: რ. თევდორაძე, მ. ფარტენაძე, გ. გოგიტიძე, მ. ჯორბენაძე

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: გ. კუხიანიძე, კ. ძაგანია; გ. მანწკავა, ნ. დიასამიძე

გაძევება: მ. კაკალაძე

არბიტრი: ჯენერი ხორავა (ხობი)

**ლოკომოტივი-იმერეთი 1:1**

20.04. საგურამო. 50 მაყურებელი

0:1 რ. კვერნაძე (45), 1:1 დ. ვაშაკიძე (90)

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, გ. მჭედლიშვილი, გ. ხატიაშვილი, ზ. გვაძაბია, დ. საჯაია, ლ. კვარაცხელია (78. გ. შარანგია), გ. ბოჭორმელი, ბ. მახარაძე, ა. შენგელია (72. დ. მიქავა), მ. ხოკერაშვილი, დ. ბაქრაძე (46. დ. ვაშაკიძე)

სათადარიგოები: თ. ნიორაძე, დ. გაბელია, გ. ჭოველიძე, ა. ძიძიგური

მთავარი მწვრთნელი: ლაშა ჭალიაშვილი

იმერეთი: გ. ნიქაბაძე, დ. ფესტვენიძე (72. დ. ხაბურძანია), ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, ვ. ბრეგაძე, რ. კაშია, გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, ლ. კირკიტაძე, მ. ჩხარტიშვილი (63. ა. მეტონიძე), რ. კვერნაძე (88. დ. კუხალაშვილი).

სათადარიგოები: ი. შენგელია, ჯ. ლოლუა, ა. თელია, ი. ასათიანი

მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე

გაფრთხილება: გ. მჭედლიშვილი; ვ. ბრეგაძე

არბიტრი: ზურაბ ანიაშვილი (გორი)

**მერცხალი-ჭიათურა 2:1**

20.04. ოზურგეთი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 ვ. ტუტოიანი (40), 1:1 ბ. ჭუმბურიძე (64), 2:1 ნ. ხინთიბიძე (72).

*23-ე წუთზე ლ. ჩხაიძემ („მერცხალი") ვერ გამოიყენა პენალტი*

მერცხალი: გ. გოგუა, ვ. რამიშვილი, ზ. ტულუში (46. ლ. ათუაშვილი), გ. ხამაშურიძე, ვ. ტუტოიანი, კ. ნაკაიძე, მ. ქობულაძე, რ. ჭეიშვილი, სერგო ვ. ჩიგოგიძე, თ. ცეცხლაძე (46. სერგო გ. ჩიგოგიძე), ლ. ჩხაიძე (55. ნ. ხინთიბიძე)

სათადარიგოები: ბ. გოლიაძე, ი. ბაჯელიძე, ო. ჭელიძე, დ. აფრიდონიძე

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ნ. ტყემალაძე, ბ. ჭუმბურიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ა. დოლონაძე (46. გ. ზაბახიძე), ლ. ცუცქირიძე, ზ. ნოზაძე (80. დ. ტაბატაძე), ვ. ჯელაძე, ლ. კობახიძე (77. თემურ მიშველიძე), გ. ცუცქირიძე, დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: ა. დარბაიძე, თ. კურტანიძე, ჯ. ლაშხი, ჯ. კაპანაძე

მთავარი მწვრთნელი: ამირან სევასტოპულო

გაფრთხილება: ზ. ტულუში, ვ. რამიშვილი, რ. ჭეიშვილი; ნ. ტყემალაძე, ჯ. ლაშხი

გაძევება გ. ცუცქირიძე

არბიტრი: ოთარ ხეცაძე (თბილისი)

**სამგურალი-მარტვილი 1:2**

20.04. წყალტუბო. „26 მაისი". 500 მაყურებელი

1:0 ზ. კუხალაშვილი (31), 1:1, 1:2 გ. თოდუა (44, 73)

სამგურალი: დ. ხურცილავა, ლ. ცხადაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზ. ჩიხლაძე, გ. ჯიმშელეიშვილი (25. გ. თუთბერიძე), ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, ი. შალიკაშვილი (46. ლ. ნავერიანი), გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე (63. გ. ბუხაიძე), ზ. კუხალაშვილი

სათადარიგოები: ბ. ფირცხალავა, მ. მესხი, გ. ჩიხლაძე, გ. თევდორაძე

მთავარი მწვრთნელი: ტრისტან მანაგაძე

მარტვილი: ჯ. შეროზია, ი. ფაცაცია, გ. ჟვანია, ა. სუხიაშვილი, ლ. ჩალაძე, გ. ილურიძე, გ. წონორია, გ. მემანიშვილი, ლ. კუჭუხიძე (71. ო. ტორაძე), მ. ტაპე (56. გ. ამბროლაძე), გ. თოდუა (85. დ. ბერუაშვილი)

სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, ვ. იობაშვილი, ჟ. იატრო, კ. მელიავა

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: გ. უგულავა, გ. ბუხაიძე; გ. ილურიძე, ი. ფაცაცია.

არბიტრი: ალექსანდრე კრიჭაშვილი (თბილისი)

**ადელი-გურია 5:2**

20.04. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

1:0 ა. აბუსერიძე (12), 2:0 ზ. გობეჯიშვილი(35), 2:1 ნ. ტოროტაძე (50), 2:2 თ. სივსივე (58), 3:2 ა. აბუსერიძე (60), 4:2 ზ. გობეჯიშვილი (77), 5:2 ა. აბუსერიძე (83).

ადელი: ი. დევაძე, გ. ზოიძე (16. ლ. კვანტალიანი), ს. კახიძე, გ. ფალავანდიშვილი. ნ. წულუკიძე, ლ. მამეიშვილი, დ. ჯალალონია (67. გ. სირაბიძე), მ. ფუტკარაძე, ა. ლორია (59. გ. ქოქოლაძე), ა. აბუსერიძე, ზ. გობეჯიშვილი

სათადარიგოები: გ. რომანაძე, ნ. დავითაძე, ზ. მჟავანაძე

მთავარი მწვრთნელი: გია ჯორბენაძე

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ბ. წერეთელი, ს. ფირცხალაიშვილი, ი. კილაძე, ტ. კუკულაძე, გ. თოლორდავა (61. გ. შენირული), გ. კვიტაშვილი (46. თ. სივსივე), ლ. რუსიეშვილი (46. ნ. ტოროტაძე), ი. დეისაძე

სათადარიგოები: ზ. რაზმაძე, ი. ხვედელიძე

მთავარი მწვრთნელი: ირაკლი ფაცურია

გაფრთხილება: მ. ფუტკარაძე, ა. ლორია, გ. სირაბიძე; ტ. კუკულაძე

გაძევება: ლ. მამეიშვილი; ტ. კუკულაძე

არბიტრი: კობა ჭაჭუა (ქუთაისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 26 | 19 | 5 | 2 | 62-15 | 62 |
| 2. მარტვილი | 27 | 18 | 7 | 2 | 50-12 | 61 |
| 3. ჩიხურა | 26 | 17 | 4 | 5 | 51-22 | 55 |
| 4. გორი | 27 | 15 | 9 | 3 | 49-21 | 54 |
| 5. ბათუმი | 26 | 14 | 8 | 4 | 54-14 | 50 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 26 | 11 | 9 | 6 | 27-26 | 42 |
| 7. გურია | 27 | 12 | 3 | 12 | 46-53 | 39 |
| 8. მერცხალი | 26 | 8 | 6 | 12 | 39-56 | 30 |
| 9. ჩხერიმელა | 26 | 6 | 11 | 9 | 30-39 | 29 |
| 10. ნ/დინამოელი | 26 | 8 | 3 | 15 | 31-51 | 27 |
| 11. მეშახტე | 25 | 7 | 5 | 13 | 27-37 | 26 |
| 12. სამგურალი | 26 | 7 | 5 | 14 | 30-50 | 26 |
| 13. იმერეთი | 26 | 7 | 4 | 15 | 24-36 | 25 |
| 14. ლოკომოტივი | 26 | 6 | 6 | 14 | 26-40 | 24 |
| 15. ადელი | 26 | 7 | 2 | 17 | 31-47 | 23 |
| 16. ჭიათურა | 26 | 6 | 5 | 15 | 23-58 | 23 |
| 17. სქური | 26 | 6 | 4 | 16 | 23-46 | 22 |

**მომდევნო მატჩები**

**გამოტოვებული შეხვედრა**

**23 აპრილი**

მეშახტე-სქური

**XXIX ტური**

**28 აპრილი**

ბათუმი-ლოკომოტივი
ნ. დინამო-მერცხალი
მარტვილი-კოლხეთი
ჭიათურა-ჩხერიმელა
იმერეთი-ადელი
გურია-სამგურალი
ჩიხურა-დილა

**29 აპრილი**

მეშახტე-გაგრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გამოხმაურება

# ოთხშაბათი, რომელმაც პრემიერლიგა შეაქანა



„არსენალმა", რასაკვირველია, კვლავ დაკარგა ქულები, მისმა მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა კი კვლავ განაცხადა, რომ ჩემპიონობის იმედი არ გადაუწურავს და ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ოთხშაბათს, მას მერე, რაც „მეთოფეებმა" „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" 3:3 ითამაშეს, „ჩელსიმ" კი „ბირმინგემს" 3:1 მოუგო, „არსენალსა" და „ჩელსის" 64-64 ქულა დაუგროვდათ და „მანჩესტერ იუნაიტედს" 6-6-ით ჩამორჩებიან. კიდევ, ლონდონის გუნდებმა, ამ დღეს, ადგილები გაცვალეს — მეორეზე „ჩელსი" გადავიდა, „არსენალი" კი მესამეზე დაქვეითდა, რადგან გატანილ-გაშვებულთა სხვაობა აქვს უარესი.

ვენგერს კაპიტანის, **სესკ ფაბრეგასის** დაცვაც დასჭირდა. ესპანელმა ნახევარმცველმა ვერც ამჯერად ითამაშა ვარსკვლავივით, არადა, დღეს, ჩემპიონობის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე, ჩრდილოლონდონელებს სწორედ ვარსკვლავური თამაში სჭირდებათ, რათა ზედიზედ მეექვსე სეზონში არ დარჩნენ ტიტულის გარეშე. მწვრთნელმა თქვა:

*„ჯერ არაფერი დასრულებულა. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. „ტოტენჰემთან" მეორე ტაიმში ვეღარ ვიყავით, რაც დაღლის ბრალი იყო — კვირას „ლივერპულთან" გვქონდა დაძაბული შეხვედრა. ოთხ დღეში ორი ასეთი თამაში მეტისმეტია. ძალთა აღდგენა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ იღბალიც ამჯერად არ იყო — შეიძლებოდა თავი აგვერიდებინა იმ პენალტისთვის, რომლითაც „ტოტენჰემმა" ანგარიში გაგვითანაბრა".*

ლონდონური დერბი დიდებული სანახავი გამოდგა. 40 წუთის შემდეგ „მეთოფეები" 3:1-ს იგებდნენ. მათგან **თეო უოლკოტმა, სამირ ნასრიმ და რობინ ვან პერსიმ** გაიტანეს, „სპურზიდან" კი **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** უპასუხა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მეორე ტაიმში ანგარიში იმავე ვან დერ ვაარტმა პენალტით გაათანაბრა, მაგრამ, ვენგერის აზრით, შეხვედრის მთავარი გოლი, რომელმაც მასპინძლები გამოაცოცხლა და საბოლოოდ ფრემდე მიიყვანა, **ტომ ჰადლსტოუნისა** იყო. ეს გოლი 24 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა 44-ე წუთზე შეაგდო. ვენგერმა ბრძანა:

*„ეფექტი, თამაშის ბედი „ტოტენჰემის" მეორე გოლმა გადაწყვიტა. ჩვენ გვინდოდა შესვენებაზე ორგოლიანი უპირატესობით გავსულიყავით, თუმცა, რაც მოხდა, მოხდა. ჩვენ მებრძოლი სულის ხალხი ვართ და იმედს ბოლომდე არ დავკარგავთ. კრიტიკასაც ტრადიციულად მაგრად დავუდგებით.*

*დღეს ისეთი თამაში იყო, რომ მოგება*

### საოცარი თამაში

*ორივე გუნდს შეეძლო. ჩვენ „უაით ჰარტ ლეინზე" გოლების გასატანად მოვედით და ვეთამაშეთ გუნდს, რომელსაც დიდებული თავდასხმა ჰყავს".*

თუმცა, ვენგერს ბოლო ხანს აშკარად ეტყობა, რომ ნერვები ღალატობს. ამაზე რამდენიმე დღის წინ ყოფილი ინგლისელი მსაჯი **გრემ პოლი** წერდა და მართალი რომ იყო, ოთხშაბათსაც დადასტურდა — ფრანგს „სპურზის" ერთ-ერთ მწვრთნელ **კლაივ ალენთან** მოუვიდა შელაპარაკება. თუმცა, „არსენალის" თავკაცი ცდილობს შექმნილ მდგომარეობაშიც არ ჩამოყაროს ყურები:

*„ახლა, „ჩელსისაც" გაუჩნდა შანსი, თუმცა მას „მანჩესტერ იუნაიტედთან" და „ტოტენჰემთან" აქვს სათამაშო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. დღევანდელი შეხვედრა კი ზოგადი დასკვნებისთვის არ გამოდგება. ჩვენ ძალიან იშვიათად ვუშვებთ სამ გოლს იმ შეხვედრებში, რომლებშიც სამი გოლი გაგვაქვს".*

ზემოთ ფაბრეგასი ვახსენეთ... ერთ-ერთი ესპანური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში „ბარსელონის" აღზრდილმა თქვა, რომ ვენგერს ამდენ ხანს „ლაილის" არც ერთ ამბიციურ გუნდში არ გააჩერებდნენ. ეს სწორედ ის ინტერვიუა, რომლიდანაც კიდევ ერთი ციტატა გუშინაც გაგაცანით — სესკმა თქვა, ბოლოს და ბოლოს „არსენალმა" უნდა გადაწყვიტოს, ტიტულები უნდა თუ მომავალი თაობის აღზრდა. ვენგერის კომენტარი ასეთი გახლდათ:

*„სესკის ინტერვიუმ შემაშფოთა, რადგანაც ამჯერად ჩანს, რომ მის უკან ერთ-ერთი კლუბი დგას და სატრანსფერო სეზონის წინ სიტუაციას ამწვავებს. რაც იქ ეწერა, ჩემზე შეტევა არ იყო. სესკს ძალიან კარგად ვიცნობ, ასე რომ... ეფექტი, „ფორმა" კარგად გასაგებია".*

„ტოტენჰემის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** კი შეხვედრის შესახებ თქვა:

*„დიდებული თამაში იყო, ფანტასტიკური. მეორე ტაიმში შანსები გვქონდა და მოგებაც შეგვეძლო. რიცხვით 3:1-ს ვაგებდით, დავიძაბე, მაგრამ, საბედნიეროდ, ძალები გამოვნახეთ და ანგარიში გავათანაბრეთ".*

# ჩელსი დაბრუნდა

ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** „ბირმინგემთან" 3:1 გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ თუ პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი, „მანჩესტერ იუნაიტედი", დარჩენილი ხუთი შეხვედრიდან ორს წააგებს, მისი გუნდი შეიძლება კვლავ დაეუფლოს ტიტულს.

იტალიელმა სპეციალისტმა, რასაკვირველია, კარგად იცის, რომ ამისათვის „ლურჯებმა" თავის მხრივ ხუთივე დარჩენილი შეხვედრა უნდა მოიგონ.

ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად კვლავ „იუნაიტედი" რომ რჩება, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს მთავარ კონკურენტებთან, „ჩელსისა" და „არსენალთან" სათამაშო აქვს... „ჩელსი" „მანჩესტერ იუნაიტედს" 8 მაისს სტუმრობს, „ოლდ ტრეფორდზე", მანამდე კი, 1 მაისს, ლონდონის „ემირეიტ სთედიუმზე" „არსენალისა" და „იუნაიტედის" დაპირისპირებაა.

ანჩელოტიმ თქვა: *„ამ სეზონში ჩემპიონობას უფრო ნაკლები ქულა დასჭირდება, ვიდრე შარშან. შარშან, ჩვენ 86 ქულა გვჭირდა. წლეულს „იუნაიტედს" 80 ეყოფა — დარჩენილ ხუთ თამაშში 10 ქულა აქვს მოსაგროვებელი. თუმცა, გამოცდილება მკარნახობს, რომ ფეხბურთში, გადაჭრით, ბოლო წამამდე არაფრის თქმა არ შეიძლება. გუნდმა შეიძლება ტიტული ბოლო წამზე მოიგოს ან წააგოს.*

*ერთი თვის წინ რომ მეთქვა, ჩემპიონობის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს, ალბათ, გიჟად ჩამთვლიდნენ. დღეს სხვა ვითარებაა - ჩვენ გუნდის ფორმა კარგია, რადგან მეორე ადგილზე ვიმყოფებით. მიტომაც, დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება დარჩენილ ხუთ ტურში. წინასწარ ვერაფერს ჩავუთქვამ. ჩვენ შევეცდებით ყოველ კონკრეტულ შეხვედრაში მაქსიმუმს მივაღწიოთ და რა გამოვა, ვნახავთ. დღეს ისე ჩანს, რომ ხუთ ტურში ექვსქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ, სჯობს ამ თემაზე არ ვიმარჩიელოთ".*

● ჯანმრთელობის საკითხი



# ულიეს ახალი საფრთხე

„ასტონ ვილას" ფრანგი თავკაცი **ჟერარ ულიე** ოთხშაბათ საღამოს სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში. მისი ჯანმრთელობა კვლავ საფრთხის წინაშე დადგა. როგორც ჩანს, საავადმყოფოში „ლივერპულის" ყოფილ თავკაცს უწამლეს, რადგან მეორე დღეს მას ბირმინგემული კლუბის აღმასრულებელი შეფი **პოლ ფოლკნერი** ელაპარაკა და თქვა, რომ მწვრთნელი თავს „დამაკმაყოფილებლად" გრძნობს.

შეგახსენებთ, რომ ათი წლის წინ, „ლივერპულში" მუშაობის დროს, ფრანგმა სპეციალისტმა გულის რთული ოპერაცია გადაიტანა. უფრო ზუსტად, 2001 წელს, მერსისაიდელთა და „ლიდს იუნაიტედის" შეხვედრის დროს მას მკერდის არეში ძლიერი ტკივილები მოეძალა და მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს. მაშინ ულიემ ხუთი თვე დაისვენა, რის მერეც მწვრთნელობას დაუბრუნდა.

დღეს ჟერარ ულიე 63 წლისაა. ხსენებული ორი ინგლისური გუნდის გარდა მას უმუშავია „ლიონში", საფრანგეთის ნაკრებში, „პარი სენ ჟერმენსა" და „ლანსში".

ამბობენ, რომ ამჯერად, ულიეს საავადმყოფოში რამდენიმე დღით დატოვებენ, ხოლო „ასტონ ვილას", შაბათს, მისი ასისტენტი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **გარი მაკალისტერი** უხელმძღვანელებს. 34-ე ტურში „ასტონ ვილა" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალისტ „სტოკ სიტის" ხვდება.

მოგეხსენებათ, ჟერარ ულიეს მუშაობით „ასტონ ვილას" ფანები უკმაყოფილონი იყვნენ და ცოტა ხნის წინ სამსახურიდან მის გათავისუფლებას ითხოვდნენ. თუმცა ბოლო ხანს, გუნდის საქმეები გამოკეთდა და დღეისათვის" „ვილა" 4-0 ქულით მეათე ადგილზეა.

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ბერბა მანჩესტერს ტოვებს
# ოუენი საზიზღარია?



დიმიტარ ბერბატოვი (№9)

ცნობილი გახდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ბულგარელი ფორვარდი **დიმიტარ ბერბატოვი** „სევილიას" მოსწონს. ესპანელები მის შეძენას აპირებენ. ბერბატოვს „იუნაიტედთან", ხელშეკრულების თანახმად, ერთი წელიწადიღა აკავშირებს. გაისად ზაფხულში ის თავისუფალი აგენტი გახდება. სევილიელები იმედოვნებენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" პრემიერლიგის ბომბარდირთა ლიდერს შედარებით იაფად, 12 მილიონ ფუნტად მიჰყიდიან.

ინგლისური პრესის აზრით, ამ ტრანსფერის ყველაზე დიდი დაბრკოლება სწორედ ფასი იქნება — 2008 წელს მანჩესტერელებმა „ტოტენჰემ ჰოთსპურს" 30 წლის ბერბატოვში თითქმის 31 მილიონი ფუნტი გადაუხადეს. ბერბატოვმა სერ **ალექს ფერგიუსონის** ხელმძღვანელობით 123 შეხვედრაში 48 გოლი გაიტანა, თუმცა ფანებს ის არასდროს ჰყვარებიათ. ერთი სიტყვით, მასთან გამომშვიდობება „ოლდ ტრეფორდისთვის" პრობლემა ნამდვილად არ იქნება, მით უფრო, რომ გუნდში 22 წლის მექსიკელი თავდამსხმელი **ხავიერ ერნანდესი** გამოჩნდა. მიმომხილველები წერენ, რომ ემოცია იქით იყოს და, ერნანდესი **უეინ რუნის** პარტნიორობასაც ბულგარელზე უკეთ უწევს.

თუ მხარეები ტრანსფერზე შეთანხმდებიან, „სევილიამ" ბერბატოვის სანაცვლოდ შეიძლება ფულიც გადაიხადოს და 22 წლის არგენტინელი ნახევარმცველი **დიეგო პერროტი** დაამატოს. ამბობენ, რომ ესპანელებს პერროტის გაყიდვა ისედაც უნდათ და არც მუშტარი აკლიათ: ის „ლივერპულსა" და „ნიუკასლს" მოსწონთ.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერან თავდამსხმელ **მაიკ ოუენს** კი თავისი ყოფილი გუნდისთვის, „ნიუკასლ იუნაიტედისთვის" მოუცლია და უთქვამს — ხარბები თავად ხართო. მოგეხსენებათ, სამშაბათს „ნიუკასლი" და „იუნაიტედი" „სენტ ჯეიმს'ზ პარკზე" შეხვდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრაში გოლი არ გასულა, მაგრამ მოედანზე ბოლო 9 წუთი 31 წლის ოუენმა დაყო და ნიუკასლელი მაყურებლები სტვენითა და „ბუუ"-ს ძახილით შეხვდნენ. ამით, ტრიბუნებმა ერთობლივ დააფიქსირეს სიმღერა: „ქვეყნად მხოლოდ ერთი ხარბი ნაბიჭვარია". ერთმა მაყურებელმა ოუენის დანახვაზე 20-ფუნტიანის ქნევა დაიწყო და ასე მიიპყრო ყურადღება. საქმე კი ის გახლავთ, რომ 2001 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა 2005-09 წლები „კაჭკაჭების" გუნდში გაატარა და დიდი ხელფასის (კვირაში 105 ათასი ფუნტი) მიუხედავად, თავი არაფრით გამოიჩინა.

თამაშის მეორე დღეს ოუენმა სოციალურ ქსელ „ტვიტერზე" დაწერა:

*„ადგილობრივი მაყურებლის ასეთმა დახვედრამ ძალიან მატკინა გული. მინდოდა გოლი გამეტანა. რასაკვირველია, ვიცოდი, რომ „ბუუ"-ს დამიწყებდნენ, მაგრამ ამ ხალხს ფაქტები რომ სცოდნოდა, უკეთესი იქნებოდა. მაშინ ჩემზე შეიძლება სხვა შეხედულება ჰქონოდათ".*

ოუენი „ნიუკასლ იუნაიტედმა" 2005 წელს მადრიდის რეალისგან 16 მილიონ ფუნტად იყიდა, მაგრამ ის წარამარა შავდებოდა და ჯამში, 79 შეხვედრაში 30 გოლზე მეტი ვერ მოახერხა. საბოლოოდ, თავდამსხმელისა და ოუენის ურთიერთობა იმით დამთავრდა, რომ გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა, ფანებმა კი ოუენი შეიძულეს. და აი, სამშაბათს ნიუკასლელებმა თავიანთი ზიზღის ობიექტს მას მერე პირველად მოჰკრეს თვალი.

ოუენი: *„ნიუკასლის ფანებო, კაცმა რომ ვისმინოთ, ჩემს ნახვას თქვენთვის მხოლოდ შედეგი მოუტანია. ეს რომ მცოდნოდა, გაცილებით ადრე წავიდოდი. რაც შეეხება გოლების რაოდენობას, გარწმუნებთ, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის" მაისურით ყოველ შეხვედრაში მაქსიმუმის გაკეთებას ვცდილობდი. კევინ კიგანის ხელმძღვანელობით კარგად ვთამაშობდი და არასდროს დამავიწყდება, ორი გოლი „სანდერლენდს" რომ გავუტანე.*

*როდესაც ნიუკასლელ ან ლივერპულელ ფანებს პირადად უხვდები, ისინი მადლობას მეუბნებიან იმისთვის, რაც მათი გუნდების სასიკეთოდ გავაკეთე, მაგრამ საკმარისია მათ ტრიბუნებზე გადაინაცვლონ, მე კი მოედანზე გავიდე, რომ ყველაფერი იცვლება.*

*და კიდევ, არავის სიყვარულს არ ვითხოვ. მთავარია, სახლში რომ შევდივარ ჩემმა ოჯახმა არ დამიწყოს „ბუუ"-ს ძახილი და დანარჩენი არ მაინტერესებს".*

მოგეხსენებათ, რომ ოუენი „ნიუკასლიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა და საქმე არც იქ წაუვიდა უკეთ. უკვე ორი წელიწადია ფერგიუსონის ხელმძღვანელობით თამაშობს და 13 გოლზე მეტი არ გაუტანია. რაც შეეხება „ნიუკასლისა" და „იუნაიტედის" სამშაბათის ფრეს, ოუენმა „კაჭკაჭებს" ქება არ დაიშურა:

*„ჩვენთვის ფრე ცუდი შედეგი იყო, მაგრამ მინდა „ნიუკასლი" შევაქო. მათ კარგად ითამაშეს და დიდი ზეწოლის ქვეშაც მოგვაქციეს, განსაკუთრებით პირველ ნახევარ საათში".*

საინტერესოა, რომ „ტვიტერში" ოუენმა თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოაქვეყნა თავისი პოსტი. ვეტერანი წინასწარმეტყველებდა, რომ გულშემატკივარი ობსტრუქციას მოუწყობდა. კერძოდ, მან დაწერა:

*„რა მშვენიერი დღეა. ნიუკასლშიც კი მზე ანათებს. ერთი სული მაქვს, ძველ მეგობრებს როდის შევხვდები, თუმცა ფანები, ალბათ, აგრესიულად დამხვდებიან".*

გვერდი მოამზადა
**ილია გაბუნაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

● საფრანგეთის თასის 1/2-ფინალი

# დედაქალაქი პროვინციის წინააღმდეგ


რამდენიმე წამის წინ ბრაზილიელმა ნენემ ანგარიში 2:0 გახადა

"პარი სენ-ჟერმენი" საფრანგეთის თასის 1/2-ფინალში მეორედივიზიონელ "ანჟეზე" ძლიერი აღმოჩნდა. **ანტუან კომბუარეს** შეგირდებმა მეტოქე საკმაოდ იოლად დაამარცხეს და ფინალში 14 მაისს "სტად დე ფრანსზე" "ლილს" დაუპირისპირდებიან.

"ანჟე" **ჟან-ლუი გარსიას** ხელმძღვანელობით საკუთარ "ჟან ბუინზე" ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს დაუპირისპირდა. ტიტულის მოპოვების პრესტიჟის გარდა, თასის ფინალში ასპარეზობა ევროპის ლიგის საგზურსაც იძლეოდა. წინა დღეს ხომ პირველი ფინალისტი "ლილი" შეიქმნა, რომელიც, თუ ლიგა 1-ის დარჩენილ ტურებში სასწაული არ მოხდა, ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. ბუნებრივია, ქვედალიგელი გუნდისთვის ევროპის ლიგაზე გამოსვლა ბიუჯეტის სერიოზულად გაზრდის საფუძველი გახდებოდა. თანაც "ანჟე" ლიგა 1-ში აღზევებასთან ახლოს დგას (მესამეადგილოსან "ლე მანს" სულ 5 ქულით ჩამორჩება) და ფული მომავალი სეზონისთვის მას ნამდვილად არ აწყენდა. რაც შეეხება პსჟ-ს, ეს გუნდი თასის შესანარჩუნებლად იბრძვის და თანაც კლუბისთვის, რომლის აქციები მესაკუთრეებს გასაყიდად აქვთ გამოტანილი, დიდი ვერაფერი სახელია კლასით დაბალ მეტოქესთან დამარცხება. მოკლედ, ამ შეხვედრის მოსაგებად ორივე კლუბს თავისი მოტივაცია ჰქონდა. საფრანგეთის თასზე ერთხელ მოსწრებულად თქვეს, ეს არის ტურნირი, რომელშიც ყველას ყველასთან შეუძლია გამარჯვებაო. სწორედ ამას უსვამდა ხაზს თამაშამდე კომბუარე, ვინც თავის ფეხბურთელებს სათანადოდ კონცენტრაციისკენ მოუწოდებდა.

შეხვედრა ცოცხლად დაიწყო. გუნდებმა დასაწყისშივე გაცვალეს სახიფათო ჩხვლეტები - **მეტიუ ბოდმერმა** და **დავიდ დე ფრეიტასმა** თავისი შანსები ვერ გამოიყენეს. ჟან-ლუი გარსიამ მასპინძლებს ჩააგონა, რომ სტუმრებთან შიშით ვერაფერს გახდებოდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ანჟელები თავდადებით იბრძოდნენ ყოველ კუთხეში და მატჩი ერთი პერიოდი სწორედ ამის ხარჯზე მიდიოდა თანაბრად. თამაშის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო. შესაბამისად, სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა. უნდა აღინიშნოს რაც აშკარა იყო: გუნდებს ერთმანეთი საკმაოდ კარგად ჰყავდათ შესწავლილი. მე-14 წუთზე პსჟ-ს განაპირა მცველმა **მარკოს სეარამ** ფლანგზე რეიდი მოაწყო და საჯარიმოში ჩააწოდა – უშედეგოდ, ბურთი **გრეგორი მალიკის** კარის ბადეზე ზემოდან დაეშვა. მალე ოდნავ შესამჩნევი გახდა სტუმართა უპირატესობა კლასში. მართალია "ანჟე" ხშირად გადადიოდა მეტოქის ნახევარზე, მაგრამ ხიფათს უფრო ხშირად სტუმარი გუნდი ქმნიდა. 21-ე წუთზე **გილემ ოარომ** სერიოზულად პირველად შეაშფოთა ტრიბუნები, მისი თავური ძელს მოხვდა. უკვე მომდევნო შეტევა მეტიუ ბოდმერმა შედეგიანად დაასრულა. ყველაფერი ასე მოხდა: ბრაზილიელმა **ნენემ** მარცხენა ფლანგიდან გრძელი პასი გაუკეთა თანაგუნდელს. მასაც კარში ბურთის გადაგზავნის გარდა არაფერი დარჩენოდა - 0:1. "ანჟეს" დაცვა ამ მომენტში სტატისტის როლით შემოიფარგლა, რადგან არც ფლანგს და არც დაცვის ცენტრს მომენტზე სათანადო რეაგირება არ ჰქონია.

"ჟან ბუინი" აბობოქრდა და მასპინძლებს ლამის უკანმოუხედავი შეტევებისკენ მოუწოდა. გარსიას შეგირდებმა მოწოდება ყურად იღეს და გააქტიურდნენ. 27-ე წუთზე **გაეტან შარბონიემ** მშვენივრად დაამუშავა პასი და ძლიერად დაარტყა. მისდა სამწუხაროდ, ბურთი ბადეს მხოლოდ გარედან მოხვდა. რამდენიმე წუთში დიდებული თავურით ცდილობდა **გრეგორი კუპეს** დამწუხრებას **სებასტიენ რენუარი**. ბურთმა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. "ანჟემ" რამდენიმე წუთით კოლოსალური უპირატესობა ჩაიგდო ხელთ. რომ არა სტუმრების გამოცდილება, ისინი თავის მიზანს ნამდვილად მიაღწევდნენ. პსჟ ტაიმის მიწურულს გამოფხიზლება. მალიკი ისევ მეტიუ ბოდმერმა შეაშინა. შემდეგ მას პასის ავტორმა ნენემ მიბაძა. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა ხარიხას მოხვდა, გადმოვარდნილ ბურთს პირველმა ოარომ მიუსწრო და თავით დაამატა, მაგრამ ფანტასტიკურად ითამაშა მალიკმა, ვინც ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმიც მაღალ ტემპში დაიწყო. პირველი მომენტი დავიდ დე ფრეიტასს შეექმნა. შეიძლება ითქვას, მას ბურთი შემთხვევით მიუვიდა. მის დარტყმულს 38 წლის კუპემ არნახული რეაქცია შეაგება. ვერ გაიტან, გაგიტანენ! საფეხბურთო "კანონმა" აქაც იმუშავა. "ანჟეს" მიერ ცუდად გათამაშებული კუთხურის შემდეგ ბურთი სტუმრებმა იგდეს ხელთ და უსწრაფესი კონტრშეტევა მოაწყვეს. ყველაფერს ლოგიკური დასასრული ფეხმარდმა ნენემ დაუსვა - 0:2. მასპინძელი თითქოს უნდა გატეხილიყო... მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ისინი ბედს ისევ შეტევაში ეძებდნენ. 58-ე წუთზე ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს გიგანტური აღნაგობის კონგოელმა თავდამსხმელმა (193 სმ) **ფერებორი დორემ** თავი კარგად ვერ წაარტყა, თუმცა ის რენუარს მიუვიდა. სებასტიენმა ნახევარბრუნში დიდებული დარტყმით ბურთი "ცხრიანში" გაახვია 1:2. ანგარიშის შემცირებამ პსჟ გამოაფხიზლა. დედაქალაქელებმა მატჩის დამთავრებამდე ინიციატივა საკუთარ თავზე აიღეს და "ანჟეს" უკვე მათი პირობების კარნახით უწევდა თამაში. 62-ე წუთზე შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელმა ნენემ გილემ ოარო მეკარესთან ერთი-ერთზე დატოვა. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა ზედმეტი ნერვიულობის გარეშე აჯობა მეკარეს და სხვაობა ძველ ნიშნულს დაუბრუნა - 1:3.

მესამე ბურთის მიღების შემდეგ "ანჟეს" ნება მართლა გატყდა. მათ უკვე აღარ ეტყობოდათ ძველებური შემართება. ერთადერთი, რაც მათ მოახერხეს, ეს იყო საჯარიმოდან კუპეს გაოცება, როცა ბურთი ხარიხას მოხვდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს ჩაწოდების ცუდი მცდელობა უფრო იყო, ვიდრე კარგი საჯარიმო დარტყმა. ბოლო წუთებში მინდორზე უკვე აღარაფერი მომხდარა. გუნდებმა შეხვედრა მშვიდად ჩაამთავრეს.

ანტუან კომბუარე (პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი):

*"მეორე გოლმა ჩემს ბიჭებს ზედმეტი სიმშვიდე მოჰგვარა. 1:2-ზე კი უკვე სანერვიულო მოგვეცა. თუმცა საბოლოო ჯამში ეფექტურები ვიყავით. ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ გუნდმა ბოლომდე გაითავისა მატჩის მნიშვნელობა. რა თქმა უნდა ტიტულის შენარჩუნებას შევეცდებით, მაგრამ "სტად დე ფრანსზე" ზედიზედ მეორედ თასის ფინალში თამაში უკვე დიდებული ფაქტია. აუცილებელია, რომ ასეთივე ფორმაში ვიყოთ გადამწყვეტი მატჩისთვისაც. მით უფრო, რომ ფინალში ჩვენ უფრო ძლიერი გუნდი გველოდება. იმედი მაქვს, 14 მაისს გულშემატკივარი ანალოგიურ შემტევ ფეხბურთს იხილავს".*

**ლევან ბიბილაშვილი**

● სატრანსფერო სამზადისი

# აურზაური მიკას გამო

**მიკა რიჩარდსის** „მანჩესტერ სიტიში" დარჩენა უკვე კითხვის ნიშნის ქვეშაა - ინგლისელი მცველი იტალიელ აგენტ **ერნესტო ბრონძეტის** დაუკავშირდა. 22 წლის ვარსკვლავს ისტლენდზე, წესით, კიდევ ორი წელიწადი დარჩა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის მზად არის სხვა გუნდების წინადადებები მოისმინოს და განიხილოს.

ბრონძეტი ეგრეთ წოდებულ სუპერაგენტთა კატეგორიაში გადის. მას მჭიდრო კონტაქტები აქვს ევროპის წამყვან კლუბებთან, მათ რიცხვში „რეალთან", „მილანსა" და „იუვენტუსთან". სწორედ ამ აგენტის გაჩარხული გახლდათ 2009 წელს **კაკას** მილანიდან მადრიდში გადასვლის საქმე.

თუ გახსოვთ, რიჩარდსის „სიტიდან" წასვლაზე შარშანაც ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ის ისტლენდზე დარჩა და მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი მათგანია, ვისაც **რობერტო მანჩინი** რეგულარულად ენდობა. ეს, რასაკვირველია, ევროპის სხვა ქვეყნებში არ გამოჰპარვიათ და ეჭვი არ არის, ბრონძეტი ფარულად ბევრ კლუბთან აწარმოებს წინასწარ მოლაპარაკებებს.


მიკა რიჩარდსი

ყველაზე მეტად, ბოლო პერიოდში, რიჩარდსით, თითქოს, „იუვე" და „ბარსელონა" იყვნენ დაინტერესებული.

ბრონძეტის პარალელურად კი რიჩარდსის ბრიტანელი მრჩევლები შიდა ბაზარზე მუშაობენ და ფეხბურთელისთვის პრემიერლიგაშივე ეძებენ ახალ დამქირავებელს. ინგლისურ კლუბთაგან რიჩარდსის გადაბირება „ტოტენჰემ ჰოთსპურს" სურს და მზად არის, ნაკრების მცველში 15 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. რასაკვირველია, თავად „სიტის" ფეხბურთელის დატოვება სურს. როგორც ამბობენ, მანჩინი მისთვის ახალ კონტრაქტს ამზადებს, 2013 წლამდე.

**ილია ბაბუნაშვილი**

● კვირის ფეხბურთული ბიბლიოთეკა




## მდიდრები და ღარიბები

„ჩელსის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა, რომ მისი გუნდი მდიდარიცაა და ღარიბიც. რამდენადაც „დეილი მეილისთვის" გახდა ცნობილი, იტალიელმა სპეციალისტმა ლონდონელთა ამსეზონური წარუმატებლობა ოპტიმალური შემადგენლობის არყოლას დააბრალა: *„წარუმატებლობა, რასაკვირველია, იმის ბრალია, რომ სეზონის მიმდინარეობისას არ გვყავდა ოპტიმალური შემადგენლობა. ფრენკ ლემპარდი, დიდიე დროგბა, მაიკლ ესიენი, ჯონ ტერი, ალექსი – ეს იმ ფეხბურთელთა სიაა, რომელთა ტრავმებმაც გუნდზე ცუდად იმოქმედა. ახლა ჩვენ მდიდრებიც ვართ და ღარიბებიც: ურთულეს მომენტში ვიყიდეთ დავიდ ლუიზი, რომელიც გუნდს ბრწყინვალედ შეეწყო და ძალიან გამოადგა. იგი უნიკალურია".*

## აპირებენ რაიმეს მოგებას?!

„არსენალის" ნახევარმცველმა და კაპიტანმა **სესკ ფაბრეგასმა** თავის უტიტულო ლონდონურ კარიერაზე ილაპარაკა. *„ნადით ესპანეთში და უთხარით გვარდიოლას, მოურინიოს ან ემერის, რომ ზედიზედ სამი წელიწადი ვერაფერს მოიგებენ – ეს ხომ წარმოუდგენელია? – ამბობს სესკი „სანის" ჟურნალისტთან საუბრისას - ჩვენთან კი სიტუაცია სხვაგვარადაა: გუნდში ბრწყინვალე სპეციალსტია, გვაქვს განსაკუთრებული ფილოსოფია, ყოველთვის ვთამაშობთ ჩემპიონთა ლიგაში და ყოველ სეზონში ბოლომდე ვიბრძვით ინგლისის ჩემპიონობისთვის, მაგრამ... თითქოს რაღაც გვაკლია – ამ სეზონში კი გიჩნდება კითხვა: საერთოდ, აპირებს „არსენალი" რაიმეს მოგებას?!".*

## არასდროს აგინო საკუთარ თავს!

„ფიორენტინასთან" (1:2) მოგებულ მატჩში „მილანის" თავდამსხმელი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** მატჩის მთავარმა არბიტრმა მოედნიდან გააძევა. მიზეზი: მსაჯს ეგონა, რომ „იბრაკადაბრამ" მას შეაგინა, არადა, სიტუაცია სხვაგვარად იყო, რაშიც თავად შვედი გაგვარკვევს: *„რისთვის დამსაჯეს?! – საკუთარი თავის გინებისთვის! ეს კი იმიტომ გავაკეთე, რომ ბურთი დავკარგე და საკუთარ თავს გავუბრაზდი, მეტი არაფერი. აი, მითხარით, სად არის ლოგიკა? თუ ასეთ რამეზე სამმატჩიან დისკვალიფიკაციას იძლევიან, მაშინ თამაშის წესის დარღვევისთვის ალბათ სამუდამო სასჯელს მისცემენ მოთამაშეს".*

## კვირის სიმბოლური

(4-4-2): **ტომ შტარკე** (ჰოფენჰაიმი) – **აცუტო უჩიდა** (შალკე), **მატს ჰუმელსი** (დორტმუნდი), **რიკარდო კარვალიო** (რეალი), **ჯანლუკა ძამბროტა** (მილანი) – **კლარენს ზეედორფი** (მილანი), **პეპე** (რეალი), **მარიო გიოტცე**, **კევინ გროსკროიტსი** (ორივე დორტმუნდი) – **მარიო გომესი** (ბაიერნი), **ედუ** (შალკე).

## კვირის მატჩი

კვირის მატჩზე „ნომინირებული" საკმაოდაა: იგივე „არსენალი"-„ლივერპული". მატჩი, რომელიც 112-ე წუთამდე გაგრძელდა. იგივე „ელ კლასიკო", სადაც ოთხ დღეში ორი თამაში ითამაშეს „რეალმა" და „ბარსელონამ" ერთმანეთის წინააღმდეგ. პირველ მათგანში 1:1 დაფიქსირდა (ბერნაბეუზე), ხოლო კოპა დელ რეის თასის ფინალში (მესტალიაზე) კი **ჟოზე მოურინიოს** დამოძღვრილმა „გალაქტიკოსმა" **ხოსეპ გვარდიოლას** „ბლაუგრანას" **კრიშტიანო რონალდოს** გოლით 1:0 სძლია. კიდევ ერთი მატჩი, რომელიც ჩვენს თვალთახედვის არეშია, „ტოტენჰემი"-„არსენალია", ლონდონური დერბი, რომელიც, როგორც ყოველთვის, სანახაობრივი გამოდის ხოლმე და გამონაკლისი არც ოთხშაბათს „უაით ჰარტ ლეინზე" გამართული შეხვედრა იყო: მატჩი 3:3 დასრულდა და ძალიან სანახაობრივი, დაძაბული და გოლებით აღსავსე გამოდგა.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის თასი. 1/2 ფინალი

# მთავარი ბრძოლა წინ არის



მილანი-პალერმო

**მილანი-პალერმო 2:2**

**მილანი (4-3-1-2):** ამელია - ოდო, ტიაგო სილვა, პაპასტატოპულოსი, ანტონინი - პირლო, ფლამინი, ბოატენგი (81. გატუზო) - ზეედორფი (58. ემანუელსონი) - კასანო (63. რობინიო), იბრაჰიმოვიჩი.

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ - კასანი, გოიანი, ბოვო, ბალცარეტი - მილიაჩო, ნოჩერინო, აკვა - პასტორე (86. მიკოლი) - პინილია (46. ილიჩიჩი), ერნანდესი.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (4), 1:1 პასტორე (14), 1:2 ერნანდესი (53), 2:2 ემანუელსონი (76).

იტალიის თასის პირველ ნახევარფინალურ პაექრობაში „ინტერმა" „რომას" სძლია გასვლაზე და დიდი ნაბიჯი გადადგა ფინალში გასავლელად. მეორე ფინალისტის ვინაობა „მილანი"-"პალერმოს" დუელში უნდა გამოვლინდეს, ანუ, არის შანსი, რომ ტურნირის გადამწყვეტ პაექრობაში მილანური დერბი ვიხილოთ. „ინტერი" რომ ახლოს არის ფინალთან, უკვე ვთქვით; აი „მილანი" კი მხოლოდ ფრეს გამორჩა საკუთარ კედლებში სიცილიურ გუნდთან და გვარიანად გაირთულა მდგომარეობა.

**მასიმილიანო ალეგრიმ** იმ ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებსაც სერია A-ში მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევთ ჯდომა. „როსონერის" კარს **მარკო ამელია** იცავდა, რომელიც უალტერნატივო გახლავთ, რადგან **კრისტიან აბიატი** ტრავმირებულია. დაცვის მარჯვენა ფრთაზე **მასიმო ოდო** გამოჩნდა, მარცხნივ კი **ლუკა ანტონინი**. ბოლო დროს, აქცენტი **ჯანლუკა ძამბროტაზე** კეთდება და ლუკას თასზე მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. ძირითად შემადგენლობაში იყო **ანდრეა პირლო**, რომელსაც დიდი დრო გაუცდა ტრავმის გამო და მხოლოდ სერია A-ს გასულ ტურში დაუბრუნდა მოედანს. შეტევის წინა ხაზზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** და **ანტონიო კასანოს** ტანდემი ვიხილეთ, ერთი დისკვალიფიცირებულია და არად არგია გუნდს, მეორე კი შეცვლებზე თუ თამაშობს. მოკლედ, ალეგრიმ გადაახალისა შემადგენლობა და არც გაემტყუნება, სეზონის ფინიშია და ძირითადის უცვლელი წევრები დასვენებას საჭიროებენ.

სამაგიეროდ, **დელიო როსიმ** დააყენა ძირითადი შემადგენლობა და ესეც სრულიად ბუნებრივია - სიცილიელები სერია A-ში უმოტივაციოდ არიან დარჩენილნი და თუ თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს, სეზონიც წარმატებულად ჩაითვლება. ამიტომ, „პალერმო" სრული სერიოზულობით მოეკიდა სათასო პაექრობას და სასურველ რეზულტატსაც მიაღწია. დიახ, 2:2 ის შედეგია, რომელიც შესაძლოა დამშვიდების საფუძველს არ იძლევა, მაგრამ უპირატესობას სწორედ კუნძულელებს აძლევს.

შეხვედრა მილანელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ისე მოხდა, რომ შედეგზე ეს ნაკლებად აისახა. არადა, თამაში მასპინძელთათვის იდეალურად დაიწყო - მეოთხე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მასიმო ოდომ საჯარიმოში ჩააწოდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** დაასვა ბურთი ფეხზე და ამ უკანასკნელმა ერთი შეხებით გადაგზავნა მეტოქის კარის ბადეში, 1:0. სიცილიელები არ აირივნენ და ანგარიში მალევე გაქვითეს - **პინილიას** შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, **ხავიერ პასტორე** მეტოქის საჯარიმოში აღმოჩნდა და უზუსტესი დარტყმით მარკო ამელია უშანსოდ დატოვა, 1:1. პირველ ტაიმში კიდევ არაერთი მომენტი შეიქმნა, უმეტესობა სიცილიელთა კართან, თუმცა მათი აღწერით თავს არ შეგაწყენთ. მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ იბრაჰიმოვიჩი დარჩა **სალვატორე სირიგუსთან** პირისპირ და იმის მაგივრად, რომ კარში დაერტყა, რატომღაც **კევინ პრინც ბოატენგისთვის** გადაცემის გაკეთება განიზრახა - პასი ცუდი გამოვიდა და მომენტიც გაცუდდა. მეორე ნახევრის სტარტზე კი სტუმრებმა მეორე გოლი გაიტანეს და ვითარება უკიდურესად დაიძაბა. 53-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ხავიერ პასტორემ **სოკრატის პაპასტატოპულოსს** იოლად აუარა გვერდი და საჯარიმოში შეჭრილ **ერნანდესს** დაფარული პასი გაუკეთა, ამ უკანასკნელის დარტყმული კი უზადო გამოდგა, 1:2. გაშვებული გოლიდან რამდენიმე წუთში, ალეგრიმ **ურბი ემანუელსონი** ჩართო თამაშში, რომელმაც საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა - სიცილიელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ძლიერი დარტყმით, მეკარისაგან შორეულ კუთხეში მოათავსა ბურთი, 2:2.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მასიმილიანო ალეგრიმ ოპტიმისტური განცხადებები გააკეთა: *„მთავარი იყო, რომ არ წაგვეგო, რათა მომდევნო შეხვედრის წინ ფინალში გასვლის კარგი შანსი შეგვენარჩუნებინა - ეს შევძელით და მთლიანობაში, კმაყოფილი ვარ. დაცვაში ნამდვილად გვქონდა გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ეს არ გამკვირვებია, რადგან ოთხიდან სამი უკანახაზელი მეტწილად თადარიგში ზის. მიუხედავად ამისა, ურიგოდ არ უასპარეზიათ და საერთოდაც, მიმდინარე სეზონში დაცვის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, ტიაგო სილვა კი სულაც საუკეთესო უკანახაზელია მსოფლიოში. რა შანსები გვაქვს ფინალში გასასვლელად? - როგორც აღვნიშნე, საკმაოდ კარგი, თუმცა უმჯობესია, რომ უკვე სერია A-ს მომდევნო პაექრობაზე გადავერთოთ. წინ უმნიშვნელოვანესი თამაშებია და თასის თემას აუცილებლად მივუბრუნდებით".*

დელიო როსის კომენტარი მეტად საინტერესო გამოვიდა: *„ჩვენ წინააღმდეგ უდიდესი გუნდი თამაშობდა, ძლიერი და საკუთარ თავში დარწმუნებული - შესაბამისად, დღე სასურველი რეზულტატია. ვართ თუ არა ფავორიტები განმეორებითი პაექრობის წინ? - „მილანთან" გვიწევს თამაში და რომელ ფავორიტობაზეა ლაპარაკი? თუ კიდევ უკეთესად არ ვითამაშებთ, ფინალში გასვლა არ გველირსება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში, შეგირდების თამაშით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. რაც შეეხება ჩემს მომავალს, ამაზე დღეს საუბარი აზრს მოკლებულია - „პალერმოში" სიამოვნებით გავაგრძელებდი მუშაობას და დანარჩენი უკვე კლუბის მესვეურთა გადასაწყვეტია".*

**ლაშა ნიკლაური**

● კონფლიქტი

# მონტელლა მენეზს წაეკიდა

„პალერმოსთან" განცდილი საშინაო მატჩის შემდეგ, „რომამ" პრაქტიკულად დაკარგა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი, რასაც თასის ნახევარფინალურ ეტაპზე „ინტერთან" განცდილი მარცხი მოჰყვა. ასეთმა წარუმატებლობამ გუნდის შიდა სამზრეულოშიც არია ვითარება, რაზეც **ვინჩენცო მონტელასა** და **ჟერემი მენეზს** შორის წარმოქმნილი კონფლიქტი მოწმობს.

„კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი ვარჯიშისას მონტელამ უკმაყოფილება გამოხატა მენეზის ინერტული გარჯით და შეგირდს პასუხი მოსთხოვა - ამას შელაპარაკება მოჰყვა და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ კონფლიქტი მონტელასა და მენეზს შორის წარმოიშვა, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ განსაკუთრებით უკმაყოფილო ახალი მწვრთნელის მუშაობით და კერძოდ იმით, რომ ძირითად შემადგენლობაში მის ნაცვლად **როდრიგო ტადეის** ათამაშებს. დიახ, **კლაუდიო რანიერის** დროს, მენეზი მუდმივად სასტარტო თერთმეტეულში იყო და გამთამაშებლის ფუნქციას ასრულებდა, დღეს კი აქცენტი სწორედ ტადეიზე კეთდება. ბუნებრივია, რომ იტალიელი ჟურნალისტები სწრაფად გაერკვნენ ვითარებაში და მენეზს კომენტარიც კი ჩამოართვეს:

*„წარმოდგენა არ მაქვს, რატომ ამითვალწუნა ვინჩენცო მონტელამ და თუ ვინმემ იცით, იქნებ მითხრათ კიდეც. დაინიშნა თუ არა მთავარ მწვრთნელად, მაშინვე გამომიცხადა, რომ ჩემი სათამაშო კონდიციით უკმაყოფილო იყო და უფრო მეტი მონდომებით ვარჯიში მომთხოვა. არადა, ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ თავს არასდროს ვზოგავ და წვრთნებსა თუ თამაშებზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. შემდეგ ძირითადი შემადგენლობიდან ამომაგდო და მუდმივად თადარიგში მიწევს ყოფნა. სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი აუტანელია და თუ ასე გაგრძელდა, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გუნდს აუცილებლად გამოვიცვლი".*

**ლაშა ნიკლაური**

● იუვენტუსი

# მაროტას მოდრიჩი უნდა

„გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურინის „იუვენტუსის" მესვეურები **ლუკა მოდრიჩის** შეძენით არიან დაინტერესებულნი და ახლო მომავალში ლონდონელ კოლეგებთან' მოლაპარაკების წამოწყებას აპირებენ. ხორვატი შუახაზელი „ტოტენჰემის" ერთ-ერთი ლიდერია და მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს - შესაბამისად, მისით ევროპული გრანდების დაინტერესება სრულიად ბუნებრივია. მოდრიჩის ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა „ვეკია სენიორას „სპორტულმა დირექტორმა, **ჯუზეპე მაროტამ**:

*„ნახევარდაცვას გაძლიერება ნამდვილად ესაჭიროება და ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული. ამიტომ, შუახაზელებს განსაკუთრებული ინტერესით ვაკვირდებით და მათ შორის - ლუკა მოდრიჩსაც. მიმდინარე სეზონი, „ტოტენჰემისთვის" წარმატებულია და ამაში ხორვატს დიდი წვლილი. მიუძღვის. ამასთან, ლონდონელებისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ლუკას უფრო ამბიციურ გუნდში გადასვლის სურვილი უნდა ჰქონდეს. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს პერიოდში მოლაპარაკება წამოვიწყოთ და ასეთ შემთხვევაში, ალბათ წარმატებითაც დავასრულებთ".*

**ლაშა ნიკლაური**



ლუკა მოდრიჩი

● ჰამბურგი



პაულო გერერო, მარსელ იანსენი, გი დემელი და ჯონათან პიტროიპა

# ვადაგასული ჰამბურგერები

## იონინგი რჩება და დიდ წმენდას იწყებს

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ დროებითი მწვრთნელი **მიხაელ იონინგი** თანამდებობაზე მომავალი სეზონისთვისაც დატოვონ. არადა, იონინგი არ არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი - ყოველ შემთხვევაში ისეთი, როგორიც „ჰამბურგს" შეეფერება. მან ჩრდილოგერმანული კლუბი **არმინ ფეეს** გათავისუფლების შემდეგ ჩაიბარა (მანამდე ფეეს ასისტენტი გახლდათ) და წესით, მხოლოდ ამ სეზონის ბოლომდე უნდა ემუშავა. სიმართლე უნდა ითქვას: იონინგს არ მიუღწევია ისეთი წარმატებებისთვის, რაც მის დატოვებას განაპირობებდა, მაგრამ მაინც ენდობიან. არადა, „ჰამბურგი" საგაისოდ, ზედიზედ მეორედ რჩება ევროტურნირებს მიღმა.

იონინგი „ჰამბურგისთვის", 2007 წლიდან რიგით მეექვსე მთავარი მწვრთნელია და ის ახალ შეფ **ფრანკ არნესენთან** ერთად, რომელიც HSV-ს სპორტული დირექტორის პოსტზე მუშაობას მაისის შუა რიცხვებიდან შეუდგება, გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებების განხორციელებას აპირებს. ამ მხრივ, „ჰამბურგში" ძალიან არეულ-დარეული მდგომარეობაა - წამყვანი ფეხბურთელების უმრავლესობას კონტრაქტები უმთავრდებათ. ამჯერად HSV-დან აბარგების კანდიდატებზე ვისაუბროთ.

**პაოლო გერერო** (თავდამსხმელი): როგორც იცით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ **რუუდ ვან ნისტელროი** გუნდიდან წავა. მისი პირველი შემცვლელი კი, 27 წლის პერუელი თავდამსხმელი პაოლო გერეროა, მაგრამ როგორც ირკვევა, იონინგი მას არ ენდობა. *„ვერ ვიტყვი, რომ გერეროთი კმაყოფილი ვარ. ის უდავოა, რომ დიდი შესაძლებლობების მქონე თავდამსხმელია, მაგრამ ამას მოედანზე იშვიათად ამტკიცებს,"* - აცხადებს იონინგი. „კიკერის" ინფორმაციით, გადაწყვეტილია, რომ ჰამბურგელები გერეროს თავიდან მოიშორებენ, რის გამოც ცხადი ხდება, რომ იონინგს მინიმუმ ერთი მაღალი კლასის ახალი ცენტრფორვარდი დასჭირდება.

**მარსელ იანსენი** (მარცხენა გარემარბი): მას მერე, რაც იონინგი მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებელია, 25 წლის მარსელ იანსენს მხოლოდ ოთხჯერ ენდო და ისიც 4-4 წუთით. არადა, ერთ დროს უნიჭიერეს ფეხბურთელად მიჩნეულ მარცხენა ნახევარმცველს, რომელიც გერმანიის ნაკრების გაფართოებულ სიაშიცაა, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. იანსენს „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ დიდი შანსია, რომ ჩრდილოგერმანული კლუბი ამ ზაფხულსვე დატოვოს. რამდენიმე კვირის წინ იონინგმა თქვა, იანსენისგან ყველანი გაცილებით მეტს ველოდებით და იმედებს ჯერჯერობით ვერ ამართლებსო.

**გი დემელი** (მცველი): 29 წლის კოტ დ'ივუარელ მცველს „ჰამბურგთან" ხელშეკრულება 2012 წლამდე აკავშირებს, მაგრამ წინა ზაფხულში და ორი წლის წინაც, გაყიდვის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატი იყო. მისი გასხვისება კლუბის ხელმძღვანელებს უნდოდათ, მაგრამ დემელი მწვრთნელებმა „გადაარჩინეს". იონინგს დემელი აშკარად არ სჭირდება, რადგან ამ უკანასკნელს ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია აქვს, მიხაელი კი მარჯვენა მცველის პოზიციაზე ახალგაზრდა (21 წლის) და ძალიან ნიჭიერ **დენის დიკმაიერს** უფრო ენდობა.

**ჯონათან პიტროიპა** (მარჯვენა გარემარბი): 25 წლის პიტროიპა **არმინ ფეეს** დროს თითქმის მუდმივად თამაშობდა და კმაყოფილიც იყო, იონინგი კი მას საერთოდ არ ენდობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდიდან უნდა წავიდეს. „ჰამბურგის" ახალი მწვრთნელი პიტროიპას პოზიციაზე უპირატესობას 22 წლის **ენის ბენ-ჰატირას** ანიჭებს, რომელსაც კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და იონინგს უნდა, რომ „ჰამბურგმა" ბენ-ჰატირას ახალი ხელშეკრულება (2014 წლამდე) გაუფორმოს.

### დარჩება ზე რობერტო?

ჰამბურგელებს ძალიან უნდათ, რომ 36 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი **ზე რობერტო** გუნდში კიდევ ერთი წლით დარჩეს, ეს უკანასკნელი კი ყოყმანობს. ზე რობერტოს გერმანიაში 11-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, გული სამშობლოსკენ მიუწევს, რადგან უკვე ასაკოვანია და უნდა, რომ ბრაზილიაშიც მოასწროს ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაში. მას თურქული გრანდებიც ეპატიჟებიან, ძალიან მაღალ ხელფასს სთავაზობენ, ჰამბურგელებს კი იმედი აქვთ, რომ ზე გადაწყვეტილებას HSV-ს სასარგებლოდ მიიღებს.

გარდა ამისა, იონინგს უნდა, რომ ფეხბურთელების რაოდენობა 24-მდე შეამციროს, რაშიც უკვე მიიღო არნესენის თანხმობა. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი თავიდან უპირატესობას **სტალე სოლბაკენს** ანიჭებდა და 43 წლის სპეციალისტის დანიშვნა უნდოდა, მაგრამ როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ იონინგს ასი პროცენტით ენდოს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ბაიერნი

# ვან დერ ვილი დაკონკრეტდა

## ნაპოლის ალაბა უნდა, კლოზესთან მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა, როისს მიუნხენშიც უმიზნებენ



გრეგორი ვან დერ ვილი „ბაიერნს“ უახლოვდება

ოთხშაბათს, მიუნხენის „ზებენერშტრასეზე“ განსაკუთრებული დღე იყო: „ბაიერნის“ ვარჯიშის სანახავად დაახლოებით 2000 გულშემატკივარი მივიდა. ცხადია, პირველ რიგში ეს კარგმა ამინდმა გამოიწვია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ლევერკუზენთან“ 5:1-ის შემდეგ, ფანები ისევ „ბაიერნისკენ“ შებრუნდნენ. შესაბამისად, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებიც დამშვიდებულები ჩანან - „ლევერკუზენთან“ მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ ბავარიული გრანდი ხომ მესამე ადგილზე, ანუ, ჩემპიონთა ლიგის ზონაში დააბრუნა.

*„ახლა უკვე იმ ადგილზე ვართ, რომელზეც გაცილებით ადრეც უნდა ვყოფილიყავით. „ჰანოვერი“ უნდა იყოს ჩვენი მდევარი და არა პირიქით“,* - კმაყოფილია „ბაიერნის“ პრეზიდენტი **ული ჰიონესი**.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ფაქტია, რომ რაც მიუნხენურ გრანდს ამ სეზონში დაემართა, გაისად არაფრის დიდებით არ უნდა განმეორდეს. სწორედ ამიტომ, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ახლო მომავალში, „ბაიერნის“ მენეჯერი **კრისტიან ნერლინგერი** ქომაგებს მინიმუმ ოთხ ახალ, მაღალი კლასის ფეხბურთელს წარუდგენს. ამ ოთხიდან, ერთი მეკარე იქნება (სავარაუდოდ **მანუელ ნოიერი**), ერთი თავდამსხმელი, ერთი ცენტრალური მცველი (სავარაუდოდ **ჟერომ ბოატენგი**) და ერთიც ფლანგის მცველი.

„კიკერის“ ინფორმაციით, რეკორდმაისტერის ფლანგის ახალი მცველი ამსტერდამის „აიაქსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების 23 წლის ფეხბურთელი **გრეგორი ვან დერ ვილი** იქნება. მიუნხენელებს ამ უკანასკნელის ყიდვა 2010 წლის ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც უნდოდათ, მაგრამ მაშინ ტრანსფერი იმის გამო არ შედგა, რომ „ბაიერნი“ „აიაქსს“ სატრანსფერო თანხაზე ვერ მოურიგდა. იმის გამო, რომ ვან დერ ვილმა მუნდიალი უმაღლეს დონეზე ჩაატარა, ამსტერდამელები მის სანაცვლოდ 17 მილიონ ევროს ითხოვდნენ. ახლა კი ვან დერ ვილის ფასი დაეცა და დაახლოებით 10 მილიონი ევროა. თუ ტრანსფერი შედგა, ჰოლანდიელი მარჯვენა მცველის პოზიციაზე ითამაშებს, **ფილიპ ლამი** კი მარცხნივ გადაინაცვლებს. რეკორდმაისტერის კაპიტანმა უკვე განაცხადა, თუ გუნდს სჭირდება, მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშს დავთანხმდებიო. ლამის ალტერნატივად კი 20 წლის **დიეგო კონტენტო** დარჩება, რომელიც ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია, თუმცა მას რამდენიმე წინადადება აქვს როგორც მშობლიური იტალიიდან, ისე ბუნდესლიგის სხვა გუნდებისგანაც. გამორიცხული არაა, რომ მიუნხენელებმა კონტენტო ერთწლიანი არენდით გაუშვან, რადგან „ბაიერნში“ **დანიელ პრანიჩიც** ირიცხება.

### კლოზე კაიზერში არ დაბრუნდება

ფეხბურთელი, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, დარჩება თუ არა მიუნხენში, გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **მიროსლავ კლოზეა**. 32 წლის გოლეადორს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი ეწურება და თუ ახალი ხელშეკრულება არ გააფორმა, ზაფხულში უფასო იქნება.

*„გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია და ყველაფერი შესაძლებელია,* - უთხრა კლოზემ „კიკერს“ და იქვე დასძინა, - *გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „კაიზერსლაუტერნში“ ჯერ არ დავბრუნდები.“* მირო არ ნერვიულობს იმის გამო, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს მისთვის ახალი კონტრაქტი ჯერ კიდევ არ შეუთავაზებიათ. სანერვიულო არც არაფერი აქვს, რადგან ძალიან ბევრი მსურველი ჰყავს - მათ შორის, გერმანიის მომავალი ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“. **ჰიონესმა** მარტში თქვა, თუ მიროსთან კონტრაქტის გაგრძელება მოგვინდება, ხელფასის შემცირებას უნდა დათანხმდესო. კლოზე კი ამბობს, რომ მისთვის ფული მეორეხარისხოვანია, მაგრამ შეთავაზების საერთო პაკეტს კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

### როისი განიხილება

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ „გლადბახის“ 21 წლის გარემარბ **მარკო როისის** გადაბირება უნდა. გაირკვა, რომ უნიჭიერესი შემტევი ნახევარმცველის ყიდვა „ბაიერნსაც“ მოუნდა და BVB-სთვის კონკურენციის გაწევას აპირებს. გაურკვეველია 18 წლის **დავიდ ალაბას** მომავალი, რომელიც ახლა „ჰოფენჰაიმშია“ განათხოვრებული, „ბაიერნთან“ კი კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და ზაფხულში მიუნხენში უნდა დაბრუნდეს. „კიკერის“ ინფორმაციით, ალაბას იტალიაში, კერძოდ, „ნაპოლიში“ ეპატიჟებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# ნოიერს ბორუცი შეცვლის?



გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ **მანუელ ნოიერის** „შალკედან“ წასვლა გადაწყვეტილი ამბავია, რაც იმას ნიშნავს, რომ **ლევან ყენიას** კლუბმა ახალი მეკარე უნდა იქიოს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „შალკეს“ შეფები რამდენიმე კანდიდატს განიხილავენ. მათ შორის, „ვერდერის“ მეკარე **ტიმ ვიზეს** და „ფრაიბურგის“ კარის დარაჯ **ოლივერ ბაუმანს**, მაგრამ ყველაზე რეალური „ფიორენტინას“ მეკარე **არტურ ბორუცის** ტრანსფერია. დიდი ხანია, გელზენკირხენელები 31 წლის პოლონელ კიპერს აკვირდებიან. ბორუცს ფლორენციელებთან კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და მას **სებასტიან ფრეის** სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავს. ფრეი ახლა ტრავმირებულია, რის გამოც ძირითადში მუდმივად ბორუცი თამაშობს, მაგრამ როცა გამოჯანმრთელდება, ფაქტია, რომ პოლონელს სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლება მოუწევს. „შალკეში“ კი სასტარტოში თამაშს ჰპირდებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

# ისევ ბლოხინი

გუშინ უკრაინული ფეხბურთის სახლში ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა, თუ ვის დანიშნავდნენ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად. საბოლოოდ არჩევანი **ოლეგ ბლოხინზე** შეჩერდა. მის კანდიდატურას აღმასკომის 27 წევრიდან 19-მა გამოუცხადა ნდობა. გასული წლის აგვისტოში **მირონ მარკევიჩის** გადადგომის შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობას **იური კალიტვინცევი** ასრულებდა, თუმცა უკრაინელები მისი მუშაობით უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ – მათი აზრით, ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელ გუნდს უკეთ გარჯა მართებდა.

აქვე მოკლედ გაგაცნობთ ბლოხინის სამწვრთნელო კარიერას: 1990 წელს მან პირველი გუნდი ჩაიბარა და ეს, არც მეტი, არც ნაკლები, პირეოსის "ოლიმპიაკოსი" გახლდათ. ამ გუნდში მან 3 წელიწადი გაატარა. ის ორ-ორჯერ ჩაუდგა სათავეში პაოკ-სა და "იონიკოსს", ერთხელ აეკ-ს. საბერძ-



ნეთიდან კი 2002 წელს წავიდა. 2003-ის სექტემბერიდან 2007 წლის ნოემბრამდე ბლოხინი მშობლიური ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია უკრაინამ ისტორიულ შედეგს - გერმანიაში მისმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის 1/4-ფინალურ სტადიას უწია, სადაც მსოფლიოს მომავალ ჩემპიონ იტალიასთან 0:3 დამარცხდა. ნაკრებიდან წასვლის შემდეგ მან რუსულ პრემიერლიგაში მოსინჯა ძალები და "მოსკვა" ჩაიბარა, თუმცა წარუმატებელი მუშაობის გამო მასთან დადებული ხელშეკრულება ვადაზე ადრე, ზუსტად ერთი წლისთავზე შეწყდა. 2009 წლიდან კი ის ოდესის "ჩერნომორეცის" სპორტულ დირექტორად მუშაობდა.

# საფრანგეთი 2016 ხურდება

გუშინ პარიზში საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის შტაბბინაში ევრო 2016 წლის საკოორდინაციო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. ჯგუფში შედიან უეფასა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები (მათ შორის პრეზიდენტი **ფერნან დიუშუსუა**), საფრანგეთის სპორტის მინისტრი **როსელინ ბაშელო** და სავარაუდო მასპინძელი ქალაქების ადმინისტრაციათა წარმომადგენლები. სავარაუდო იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ჯერ საბოლოო სია, თუ რომელი ქალაქები უმასპინძლებენ ჩემპიონატს, არ დადგენილა. კომისიის თავმჯდომარეა **ჟაკ ლამბერი**. წარსულში სფფ-ის პრეზიდენტი და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის აქტიური წევრი. ბუნებრივია, მის სამშობლოში გასამართავი ჩემპიონატის შესახებ რეგულარულად მიიღებს ინფორმაციას უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინიც**. ის კომისიის წევრებს დაჰპირდა, რომ როცა კი სამუშაო გრაფიკი ამის საშუალებას მისცემს, ისიც აუცილებლად დაესწრება სხდომებს და მაქსიმალურად შეუწყობს ხელს პრობლემათა დროულად გადაჭრას.

**ლევან ბიბილაშვილი**

ინტერვიუ. ლუკას ბარიოსი



41 გოლი 73 მატჩში: ლუკას ბარიოსი „ბორუსიას“ მთავარი გოლეადორია

# სოსისი, მდოგვი, პური და ლუდი...

## რა თქმა უნდა, ბორუსიაც და, ბარიოსისთვის გერმანია სულ ესაა!

**უკვე ორი წელია, რაც ლუკას ბარიოსი დორტმუნდის „ბორუსიაში“ თამაშობს, სტატისტიკურად, ყოველ მეორე თამაშში გოლი გააქვს და გერმანიის ჩემპიონობასთან ძალიან ახლოსაა. ორი წლის წინ, მან „ბორუსიაში“ შვეიცარიელი თავდამსხმელი ალექსანდერ ფრაი შეცვალა - ფეხბურთელი, რომელიც დორტმუნდელ ქომაგებს ძალიან უყვარდათ. მიუხედავად იმისა, რომ „კოლო კოლოში“ ძალიან ბევრი გოლი გაჰქონდა, ბევრმა მას ეჭვის თვალით შეხედა. თავიდან მართლაც პრობლემები ჰქონდა, მერე კი დაიწყო და გოლეადორის ნიჭის გამოვლენას დღემდე აგრძელებს. 26 წლის ფორვარდმა, „ბორუსიას“ ფორმით ჩატარებულ 73 ოფიციალურ შეხვედრაში 41 გოლი გაიტანა, რაც ძალიან კარგი შედეგია. ბარიოსს ჩვენი გერმანელი კოლეგები გაესაუბრნენ.**

**- ჰერ ბარიოს, მართალია, რომ თითქოს, თქვენი წინამორბედის, „ბორუსიას“ ყოფილი გოლეადორის, ალექს ფრაის სახლში ცხოვრობთ?**

- ვცხოვრობდი, მაგრამ მას მერე, რაც სახლი გამიძარცვეს, სხვაგან გადავედი.

**- უკვე ორი წელია, რაც გერმანიაში ხართ. რა მოგწონთ, ან რა არ მოგწონთ აქ?**

- თავიდან სერიოზული პრობლემა იყო ის, რომ გერმანული ენა არ ვიცოდი. ახლა კი ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია. მომწონს ის, რომ გერმანიაში ყველაფერი უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული. არ მომწონს ფორმალობების სიმრავლე.

**- რასთან ასოცირდება თქვენთვის გერმანია პირველ რიგში?**

- სოსისი, პური, მდოგვი და ლუდი - ამათ ერთობლიობასთან.

**- გატყობთ, აქ თავს უკვე ძალიან კარგად გრძნობთ...**

- კი, ნამდვილად ასეა. გარდა იმისა, რომ ჩემთან სტუმრად ბევრი ახლობელი ჩამოდის, დორტმუნდშიც საკმაოდ ბევრი მეგობარი გავიჩინე. მიხარია, რომ ჩემი ვაჟი ტომასიც დიდი ხნით ჩამოჰყავთ ხოლმე. ზოგადად კი ოჯახის წევრების გარეშე ცხოვრებას უკვე მივეჩვიე.

**- ამბობენ, „დორტმუნდის“ ფეხბურთელები თავისუფალ დროს ყოველთვის ერთად ერთობიანო. ყველაზე ახლოს რომელ თანაგუნდელებთან ხართ?**

- მართალიცაა: თავისუფალ დროს უმეტესად ყველანი ერთად ვატარებთ, რაც გუნდური სულისკვეთებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაზე ახლომეგობრული ურთიერთობა კი ფელიპე სანტანასთან, ნევენ სუბოტიჩთან, კეინ გროსკროიტცთან და შინჯი კაგავასთან მაქვს. ჩვენ თითქმის სულ ერთად ვართ.

**- „კოლო კოლოდან“ პირდაპირ დორტმუნდში ალმოჩნდით, მანამდე კი „ნანსიში“ გეპატიჟებოდნენ. რატომ ჩაიშალა ეს ტრანსფერი?**

- ამ ტრანსფერში ზედმეტად ბევრი ადამიანი იყო ჩართული, ყველა თავისი ინტერესის გატარებას ცდილობდა, რის გამოც მოლაპარაკებები ყელში ამომივიდა და ერთხელაც ვთქვი: „ნანსიში“ არ გადავალ-მეთქი. კიდევ კარგი, რომ ასე მოვიქეცი, თორემ ვინ იცის, შესაძლოა, დორტმუნდში აღარასოდეს მეთამაშა...

**- ტრანსფერის შემდეგ, პირველ მატჩებში გოლები ვერ გაგქონდათ, რის გამოც იურგენ კლოპმა ძირითადი შემადგენლობიდან ამოგაგდოთ და ექსპერტების უმრავლესობამ მიიჩნია, რომ იმედები ვერ გაამართლეთ. როგორ მიიღეთ მაშინდელი კრიტიკა?**

- ვიცოდი, რომ თავიდან გამიჭირდებოდა. კრიტიკა ჩემთვის შოკისმომგვრელი არ ყოფილა. ამაზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში ვყოფილვარ და ყველაფერი მარტივად გადამიტანია. რაც მთავარია, კრიზისი მალე დავძლიე.

**- რა განსხვავებაა გერმანულ და სამხრეთამერიკულ ფეხბურთს შორის?**

- სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატებში ფეხბურთელებს მოქმედებისთვის გაცილებით დიდი სივრცეები აქვთ ხოლმე, ვიდრე აქ. ევროპაში ფეხბურთი გაცილებით სწრაფი და ათლეტურია. ფიზმომზადებას აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

**- თქვენ უკვე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ხართ და მოულოდნელი ნამდვილად არ იქნება, სუპერგრანდები რომ დაინტერესდნენ. როგორ მოიქცევა ლუკას ბარიოსი, ერთ დღესაც „ბარსელონადან“, ან „რეალიდან“ რომ დაუკავშირდნენ? მაგალითად, მატს ჰუმელსმა აღიარა, რომ მინიმუმ დაფიქრდება...**

- „ბარსელონას“ ან „რეალის“ დარ სუპერგრანდში თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, მაგრამ ფაქტია, რომ ოცნება ამისრულდა. მე უკვე ვთამაშობ ძალიან დიდ გუნდში. თუ ისე მოხდა, რომ ზემოთ ხსენებული გრანდებიდან, რომელიმე მართლაც დაინტერესდა, მხოლოდ დორტმუნდის „ბორუსიაზე“ იქნება დამოკიდებული, გამყიდის, თუ არა. პირადად მე, აქედან წასვლა არ მინდა და იმედი მაქვს, რომ არასდროს მომინდება. BVB-სთან კონტრაქტი 2014 წლამდე მაქვს გაფორმებული და რამდენადაც ვიცი, შეფებს ჩემი გაყიდვა არ უნდათ. შესაბამისად, ბედნიერი ვარ.

**გოტფრიდ ლენცი**

სამეფო თასის გამოხმაურება

# 8 წლის შემდეგ



რეალი ზეიმობს

**ოთხშაბათ** საღამოს მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება „მესტალიასკენ" იყო მიმართული, სადაც „სამეფო თასის" ფინალში „ბარსელონა" და „რეალი" თამაშობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად იმ დროს გაცილებით თვალსასეირო ჩრდილოლონდონური დერბი მიმდინარეობდა „უაით ჰართ ლეინზე". მთელი ევროპა და არა მარტო, დიდი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს საგაზაფხულო „კლასიკოების" საოცარ სერიას, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ორმა გრანდმა აგერ უკვე ორი სრული მატჩია (180 წუთი) ღია თამაშიდან გოლი ვერ გაიტანა! დასრულდა მეორე „კლასიკო" და ხალხი უკვე მესამეზე ლაპარაკობს, რომელიც 27 აპრილს „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება.

„კოპა დელ რეის" ფინალი ოქროს ასოებით შევა ჟოზე მოურინიოს კარიერაში - ეს მისი პირველი ტიტულია „რეალში". მატჩის 103-ე წუთზე კრიშტიანო რონალდოს თავური ერთადერთი გამოდგა და მან ფინალისა და ტიტულის ბედი გადაწყვიტა. ეს „სამეფო კლუბის" რიგით მე-18 „სამეფო თასია". „რეალმა" 1993 წლის შემდეგ პირველად მოიგო ესპანეთის თასი.

## ვისთვის როგორი საღამო

**კარგი**

**ჟოზე მოურინიო** - კიდევ ერთხელ, პორტუგალიელმა ტაქტიკოსმა გვიჩვენა სამწვრთნელო კლასი. რა თქმა უნდა, ამ თამაშშიც ბევრი კითხვის ნიშანი იყო. იყო მომენტები, როცა მოურინიოს გუნდს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ „რეალი" ღირსეულად გამოძვრა სიტუაციიდან.

**მესუთ იოზილი** - სულ 70 წუთი ითამაშა და ეს მისი ერთადერთი ნაკლია (დაილალა). დანარჩენი, რაც მან მოედანზე აკეთა უბრალოდ დიდებული იყო. პირველ ტაიმში ორი უმაღლესი კლასის პასი შეასრულა. თუკი გერმანელი ფიზიკურ კონდიციებს გამოასწორებს, მისი პოტენციალი უზღვრო იქნება.

**იკერ კასილიასი** - როცა „რეალს" გაუჭირდებოდა და ყველა ფეხბურთელი ანერვიულდებოდა, გუნდს მხსნელად ისევ ძველი „სან იკერი" ევლინებოდა. ბოლოს სწორედ მან, ვინც ყველაზე მეტად დაიმსახურა, ცალი ხელით შემართა ტიტული.

**ცუდი**

**დავიდ ვილია** - რა თქმა უნდა, მისი ფეხბურთი მხოლოდ გოლები არ არის და „ელ გუახე" ბოლო დროს ხშირად ფლანგებზე თამაშობს. ყველა ამის გათვალისწინებით, ფინალში ვილიამ საშინლად ითამაშა, მას თავდაჯერება და აგრესია აკლდა.

**სერხიო ბუსკეტსი - ხოსეპ გვარდიოლამ** დაცვის ცენტრში ხავიერ მასკერანო დააყენა, ხოლო შუახაზში სერხიო დატოვა, უნდა ექნა პირიქით. ჩვენ ვერ ვიხილეთ ის პროდუქტიული ბუსკეტსი, რომელსაც უკვე შევეჩვიეთ.

**პეპ გვარდიოლა** - პეპს გამძლე ხასიათი აქვს, მან პირველმა მიულოცა „რეალს" ტიტული, მაგრამ, სხვა შანსი არ არის, სინამდვილეში მან ალბათ დიდი სამწვრთნელო დარტყმა მიიღო. შეძლებს კი ძალების ოთხშაბათისთვის მოკრებას?

**ტიტული ყველასთვის**

გამარჯვებულმა და ტრიუმფატორმა „განსაკუთრებულმა" განაცხადა, რომ ეს ტიტული ეკუთვნის ყველას, ვისაც ოდნავი შეხება მაინც აქვს კლუბთან:

*„ჩემი ტიტული მხოლოდ ჩემი არაა, ის კლუბის ყველა წევრს ეკუთვნის. „რეალისთვის" ტიტულების მოგება ძალიან სასიამოვნოა, თუმცა ჩემი საქმე მხოლოდ ეს არაა, ჩემთვის მთავარია გუნდში სტრუქტურული ცვლილებები შევიტანო და ადამიანებს მენტალიტეტი შევუცვალო. ასე რომ, დღეს რომ თასი არ მოგვეგო, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა გარდა იმისა, რომ ახლა გახარებულები კი არა მოწყენილები ვიქნებოდით.*

*დღეს გუნდმა ძალიან ცოტა შეცდომა დაუშვა და ტაქტიკურად უნაკლოდ ითამაშა. მე-2 ექსტრატაიმში „ბარსელონა" ძალიან დაიღალა და თან მეტოქეს განბილება შეეტყო, ისინი მიხვდნენ, რომ ტიტულს ვერ იგებდნენ. ეს იყო ორი თანაბარი ძალის გუნდის ღირსეული მატჩი, პირველ ტაიმში ჩვენ ვჯობდით, მეორეში კი - ისინი. პეპე და იკერი კი უბრალოდ საოცრად თამაშობდნენ.*

*ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მოსვლით კლუბს წარმატებები დავუბრუნე. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც თასის მოპოვებაში წვლილი შეიტანა. მიხარია, რომ 4 დიდ ტურნირში 4 თასი მოვიგე.*

*მოკლედ, ძალიან კარგი თამაში გამოვიდა, უმაღლესი დონის. ზოგს დიდი ფეხბურთი ბევრი პასი და ბურთის ფლობა ჰგონია, მე კი მჯერა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი დაცვითი შრომა და ზონებში სივრცის კარგად დაფარვა მეტად მნიშვნელოვანია. ის, რაც ჩვენ დღეს ბრწყინვალედ გავაკეთეთ.*

*„ბარსას" სამჯერ ვეთამაშეთ, ჯერ 5 ბურთის სხვაობით წავაგეთ, მერე ფრე ვითამაშეთ და ახლა მოვიგეთ. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ასეთ თამაშებში ყველაფერი ხდება.*

*ყველას შეუძლია მაკრიტიკოს რამდენიც უნდა, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე ყოველთვის ვცდილობ ჩემს ფეხბურთელებს ყოველთვის კარგი სიტუაცია შევუქმნა. ყოველთვის და განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტოქე შენზე უკეთ თამაშობს, აუცილებელია გუნდური სიძლიერის შენარჩუნება, რადგან ეს ფეხბურთში მთავარია".*

## რეალთან ეს ჯობნა საკმარისი არაა

პეპ გვარდიოლამ პირველად წააგო „ბარსას" მწვრთნელის რანგში „რეალთან", თუმცა „ბლაუგრანას" თავკაცს ჩვეული დიპლომატია და კეთილხმოვანება არც ამ ჟამს დაუკარგავს:

*„თამაშს ჰყავს მოგებული და წაგებული, არც მეტი და არც ნაკლები. ჩვენ კი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ საბრძოლო განწყობა, რადგან სეზონი მალე სრულდება და ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩები რჩება. რა თქმა უნდა, ყოველთვის სჯობს მოიგო და არ წააგო, მაგრამ ახლა მარცხზე ფიქრი არას გვარგებს. საინტერესოა, სეზონის ბოლოს როგორ ხასიათზე ვიქნებით და - არა დღეს.*

*შაბათს მორიგი მატჩი გვაქვს და იქამდე არაფერი რჩება. დღეს პირველ ტაიმში მეტოქემ კარგად ითამაშა, ჩვენ შევუტიეთ მეორეში, მაგრამ „რეალის" დარ გუნდებთან ეს საკმარისი არ არის. მოწინაალმდეგე ჯიქურ მოდიოდა, წაგებული ბურთებისთვის გააფთრებით იბრძოდა, რამაც ტემპი საშინლად ასწია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ კარგად ვითამაშეთ. შეიძლება ყურს ცუდად მოხვდეს, მაგრამ მართლაც ასეა - ჩვენ ვაჯობეთ მეტოქეს მეორე ტაიმშიც და დამატებულ ტაიმებშიც. მაგრამ ასეთი ძლიერი ფეხბურთელების წინააღმდეგ მხოლოდ ეს ჯობნა საკმარისი არ გამოდგა.*

*ჩვენი უმთავრესი მიზანი ლა ლიგის მოგებაა, შემდეგ კი „უემბლის" საგზურის მოპოვება".*

## გემის კაპიტანი და თავდადებული მეზღვაურები

**სერხიო რამოსი** (რეალი): *„მოურინიო გემის კაპიტანი და ჩვენ მის გვერდით ვართ სიკვდილამდე. რასაც ის გუნდში აკეთებს, ბრწყინვალეა. დიდი მადლობა გულშემატკივრებს ასეთი მხარდაჭერისთვის. გახარებულები ვართ, რომ ტიტული უკვე მოვიგეთ, არადა, ჯერ სეზონი არ დასრულებულა".*

**ჩავი** (ბარსელონა): *„ეს სპორტია. ჩვენ ისევ ის „ბარსელონა" ვიყავით, მაგრამ მათ კონტრშეტევებით გვაჯობეს და თასი მოიგეს. ბიჭებმა ალალად მივულოცეთ რეალელებს ეს მოგება. შემდეგ კი გასახდელში ვთქვით, რომ კარგად ვითამაშეთ და მომავალშიც ასე უნდა ვიბრძოლოთ, რომ სეზონი ძალიან კარგად დავასრულოთ. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი დაგვრჩა.*

*თამაშს რაც შეეხება, I ტაიმი თანაბარი იყო, მეორეში კი მაგრად ვაჯობეთ. ეგაა, გოლი ვერ შევაგდეთ. დარჩენილ „კლასიკოებშიც" „რეალისგან" იმავეს უნდა ველოდოთ: მჭიდრო, ინდივიდუალურ პრესინგს".*

**სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა): *„ფეხბურთში ყოველთვის კი არ იგებს უკეთესი გუნდი. ახლა ჩვენ მხოლოდ ერთ რამეზე უნდა ვიფიქროთ - „ოსასუნასთან" მატჩზე. მადლობა ფანებს, რომლებიც ვალენსიაში ჩამოგვყვნენ, თუ ერთად ვიქნებით, დიდ მიღწევებს შევეჭიდებით".*

## მოუს მოგებული კინაღამ რამოსმა დაკარგა

საოცარი ინციდენტი შეემთხვა გამარჯვებულ გუნდს მადრიდში. „სამეფო თასის" მოგების შემდეგ ზეიმი ვალენსიაში დაიწყო და „რეალის" ფანებმა დედაქალაქის ქუჩებში გააგრძელეს, სადაც ფეხბურთელები ავტობუსით ქუჩებში დადიოდნენ და გულშემატკივრებს ეგებებოდნენ. სულ 150 ათასამდე ადამიანი გამოვიდა საზეიმოდ ქუჩებში. დილის 4 საათსა და 15 წუთზე სერხიო რამოსს თასი ხელიდან გაუვარდა და ის საკმაო სიმაღლიდან ავტობუსის წინ დავარდა. მძღოლმა დროულად ვერ შეამჩნია თასი და ავტობუსმა კინაღამ გასრისა მოურინიოს მოგებული ტიტული.

მოგვიანებით „სამეფო კლუბის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თასი ამ ინციდენტის შედეგად დიდად არ დაზარალებულა.

## რა თქვა ზიდანმა

მიუხედავად იმისა, რომ **ზინედინ ზიდანი** „რეალის" შტაბის წევრია, მისგან მაინც ნეიტრალურ შეფასებას ველოდით და ეს ასეც მოხდა. დიდმა ფრანგმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის თამაში ძალზე მძიმედ წარიმართა და თამაშის დიდ ნაწილს მაინც „ბარსელონა" აკონტროლებდა.

*„ასეთ შეხვედრებში პატარა დეტალებიც გადამწყვეტია. გაგვიჭირდა, „ბარსელონა" თამაშის დიდ ნაწილს აკონტროლებდა. თუმცა ბოლოს ჩვენ ის ნოკაუტში გავგზავნეთ. საგოლე მომენტები პირველ ტაიმშიც გვქონდა, მაგრამ არ გაგვიმართლა. ასე რომ, საერთო ჯამში მოგება დავიმსახურეთ.*

*ყოველი „კლასიკო" სხვანაირია, ამიტომ უნდა საუკეთესოდ მოვემზადოთ ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის. „ბარსა" და „რეალი" მსოფლიოს ორი საუკეთესო გუნდია".*

## ვინ, როგორ ითამაშა

**ბარსელონა**

**ხოსე პინტო:** რადგან მას ყოველთვის ათამაშებდნენ თასის მატჩებში, გვარდიოლამ ფინალშიც კარში დააყენა და არ შეცდა. პირველ ტაიმში პინტომ რონალდოს აუღო, მეორეს მიწურულს გუნდი აშკარა მარცხისგან იხსნა, როცა დი მარიას არ გაატანინა. ექსტრატაიმშიც აუღო ადებაიორს, აი, რონალდოს გოლის შემთხვევაში შანსი არ ჰქონდა.

**დანიელ ალვეში:** პირველ ტაიმში ვერ იცნობდით, ვერ უტევდა სათანადოდ, შედეგად „ბარსელონა" მარჯვენა ფლანგიდან ხიფათს ვერ ქმნიდა. მეორე ტაიმში გამოსწორდა, ერთხელ მესის დიდებული პასიც მისცა. რონალდოს გამარჯვების გოლისასაც ვერ ითამაშა იდეალურად - დი მარიას მისი ფლანგიდან ჩაწოდების საშუალება მისცა.

**ჟერარდ პიკე:** პირველ ტაიმში დააბნია მოურინიოს დაყენებულმა შემადგენლობამ, ხანდახან ვერ ხვდებოდა, ვინ უნდა დაეჭირა. თანდათან უკეთ უგებდა მასკერანოს. როცა „ბარსა" აგებდა, წინაც სახიფათოდ ერთვებოდა.

**ხავიერ მასკერანო:** ხანდახან გმირულად თამაშობდა, ერთხელ ლამის კარის ხაზიდანად გამოიტანა ბურთი, მაგრამ რონალდო მაინც უგებდა ბრძოლას.

**ადრიანო:** ადრიანო ნელნელა უშინაურდება გუნდის სასტარტოს, თუმცა პირველ ტაიმში „რეალი" მის ფლანგზე „დასახლდა". მეორე ტაიმში უკეთ ითამაშა.

**ჩავი:** ეს არ იყო მისი საუკეთესო მატჩი, მადრიდელებმა ჩაუკეტეს საპასე გზები. ამიტომ, ჩავი შემოვლით გზებს ეძებდა.

**სერხიო ბუსკეტსი:** ერთი-ორი ისეთი შეცდომა დაუშვა, გუნდს აზარალა. პეპეს ნალდად ვერ აჯობა.

**ანდრეს ინიესტა:** ინიესტა კარგი იყო მაშინაც, როცა „რეალი" სჯობდა მეტოქეს - პირველ ტაიმში. გუნდში აშკარად საუკეთესო იყო.

**პედრო:** პირველ ტაიმში ვერ ითამაშა, მეორეში კი მარცხენა ფლანგიდან „რეალი" დააწიოკა. გოლიც კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

**ლიონელ მესი:** მესის ძალიან მჭიდროდ ეთამაშებოდნენ, არგენტინელი მაინც ცდილობდა და ხანდახან საოცრებებს სჩადიოდა, ოღონდ ეს საკმარისი არ გამოდგა.

**დავიდ ვილია:** პედროსთან ფლანგებიც კი გაცვალა, მაგრამ ვერა და ვერ იპოვა თავისი თამაში. არბელოასთან მცირე ინციდენტს თუ არ გავიხსენებთ, მოედანზე არ ჩანდა.

**რეალი**

**იკერ კასილიასი:** პირველ ტაიმში თუ მაყურებლის როლით დაკმაყოფილდა, მეორეში 2-3-ჯერ იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან.

**მარსელო:** პირველ ტაიმში იოლად უმკლავდებოდა პედროს, მერე და მერე ბურთის დაკარგვსს მოუხშირა. რონალდოს გოლში მასაც მიუძღვის როლი - დი მარია სწორედ მარსელომ მოძებნა ფლანგზე.

**რიკარდო კარვალიო:** საუკეთესო ფეხბურთელი მოედანზე! პირველ ტაიმში საერთოდ არ ჰქონია პრობლემა, მეორეში, როცა „ბარსამ" ძალიან შეუტია, კარვალიოს გმირობებიც დაიწყო. ის, რომ „რეალს" გოლი არ გაუშვია, დიდწილად ვეტერანი პორტუგალიელის დამსახურებაა.

**სერხიო რამოსი:** რაულ ალბიოლის დისკვალიფიკაციის გამო ცენტრში ითამაშა. მართალია, ყოველთვის სწორად არ არჩევდა პოზიციას, მაგრამ ისეთი მონდომებით თამაშობდა, რომ ამ ნაკლს ანეიტრალებდა.

**ალვარო არბელოა:** ხან პედრო და ხან ვილია ცდილობდნენ მისი ფლანგიდან შეტევებს, მაგრამ არბელოას ურიგოდ არ უთამაშია.

**პეპე:** ისევ ის პეპე იყო, რაც შაბათს, ერთი შენიშვნით - ყვითელი ბარათი მალევე მიიღო და ცოტა ფრთხილობდა. თავურით „ბარსას" კარის ძელი შეაზანზარა.

**ჩაბი ალონსო:** ახლა უკეთ ითამაშა, ვიდრე შაბათის მატჩში.

**სამი ხედირა:** მეტად დისციპლინირებული, მონდომებული და დაუღალავი. მატჩის უჩინარი გმირი იყო.

**მესუთ იოზილი:** ბრწყინვალე თამაში, პასები და გადაწყვეტილებები, მაგრამ დაიღალა.

**ანხელ დი მარია:** თავიდან, ცოტა არ იყოს, ბევრ შეცდომას უშვებდა, თუმცა მონდომებას ვერ დავუკარგავთ. საგოლე პასიც მასზეა, ბოლო წუთზე კი გააძევეს.

**კრიშტიანო რონალდო:** პირველ ტაიმში სამი შანსი გაანიავა, თუმცა კი „ბარსას" დაცვას ხშირად უგებდა პოზიციას. მაგრამ მთავარი რამ ამ თამაშში მან შეასრულა - გამარჯვების გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




ასე გადმოუვარდა სერხიო რამოსს თასი ავტობუსიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

● ჭიდაობა. აზერბაიჯანის თასი

# ოქროს დასაწყისი ბაქოში



ბაქოში „სერხედჯის" ოლიმპიურ კომპლექსში მიმდინარეობს აზერბაიჯანის თასის გათამაშება თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც ერთმანეთის პარალელურად ტარდება ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში, აგრეთვე გოგოებში. დამთავრდა შეჯიბრება ჭაბუკ ბერძენ-რომაელთა შორის, რომელიც, მოლოდინისამებრ, მასპინძელთა დიდი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ხელცარიელი არც ჩვენი ნაკრები დარჩენილა - ორი ოქროს, ამდენივე ბრინჯაოსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. **ლაშა ქობაძეს** (76) და **ზურაბ გედეხაურს** (100), რომელიც მსოფლიოს ჩემპიონ **გურამ გედეხაურის** ვაჟია, ოქროს მედლები ხვდათ წილად. ზურაბი აქამდე მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ წლეულს დაბრუნდა საქართველოში.

ფინალური შეხვედრა დათმო **გიორგი მურიდანიძემ** (85), მესამე საპრიზო ადგილებზე კი **გიორგი ტოპიკაშვილი** (54) და **ბექა კანდელაკი** (100) გავიდნენ. შეჯიბრება კომერციულია და ჩემპიონები 600 დოლარით, მეორე და მესამე პრიზიორები კი, შესაბამისად, 400 და 200 დოლარით ჯილდოვდებიან.

მოლოდინისამებრ, შეჯიბრება მეტად წარმომადგენლობითი გამოდგა - უცხოელთაგან რუსეთის, თურქეთის, ირანის, ერაყის, შვედეთის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ბელარუსის, ისრაელის და სხვათა გუნდები მონაწილეობენ. დიდწილად ეს მაღალი საპრიზო ფონდითაცაა განპირობებული - ჭაბუკების ჯილდოებზე გითხარით და ახალგაზრდებში ჩემპიონ-მედალოსნები, შესაბამისად, 1000, 600 და 400-400 დოლარს მიიღებენ. ეს შეჯიბრება ყველა ნაკრებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მოსამზადებელი ეტაპია ევროპისა თუ სხვა კონტინენტების რეგიონული, აგრეთვე - მსოფლიოს პირველობებისთვის.

გუშინ ახალგაზრდა ბერძენ-რომაელებიც იჭიდავებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები თუ იქაური ჭიდაობის ფედერაცია შედეგებს ოპერატიულად არ გვაწვდიან. ამიტომ ვერც ჩვენებურთა გუშინდელ გამოსვლაზე გეტყვით რამეს. სამაგიეროდ, აზერბაიჯანულმა სააგენტოებმა ოპერატიულად გვამცნეს ერთი ამბავი - თურმე იქაური ფედერაცია ბერძენ-რომაელთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ირანელთა თავკაც **მოჰამედ ბანის** იწვევდნენ და გასამრჯელოდ 1 მილიონ დოლარს ალუთქვამდნენ, მაგრამ ირანელმა იუარა. „ახლა მთელი მისი ყურადღება იქითაა მიმართული, რომ გულშემატკივარი ლონდონის ოლიმპიადაზე კარგი გამოსვლით გაახაროს. ბანი არასოდეს ფიქრობდა მატერიალურ მხარეზე" - ირანულ მედიაზე დაყრდნობით ასეთ კომენტარს ავრცელებენ აზერბაიჯანული საიტები. კაცმა არ იცის, ბანიმ ამ 1 მილიონზე თავად თქვა უარი თუ ათქმევინეს. ირანი ჭიდაობაში დიდძალ ფულს დებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვისაც საშუალება მიეცემა, ამ ქვეყნიდან გარბის. უბრალოდ, თუ გაბედავენ ამას და დაუპირისპირდებიან რეჟიმს.

ირაკლი თავაძე

● ცურვა

# მსოფლიოზე ბოლქვაძე და რევიშვილი



საწყლოსნო კომპლექს "ოლიმპიკში" გუშინ დამთავრდა მოცურავეთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელმაც მედლების მფლობელებთან ერთად ის ორი სპორტსმენი გამოავლინა, რომლებიც წლეულს ივლისის ბოლოს შანხაიში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ. მსგავს შეჯიბრებაში პირველად მიიღებს მონაწილეობას 17 წლის **ირაკლი ბოლქვაძე**. მან 200 მეტრი ბრასით 2. 24,00-ში გაცურა, ახალგაზრდებში საქართველოს რეკორდი დაამყარა და 884 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს სამი ქულით ჩამორჩა პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **ირაკლი რევიშვილი**, რომელმაც თავისუფალი ყაიდით 400-მეტრიანი დისტანციის დაფარვას 4.09,62 მოანდომა. საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ** გვითხრა, რომ, დებულების თანახმად, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლქვაძესთან ერთად სწორედ რევიშვილი გაემგზავრება. მანვე გვაუწყა, რომ 27 აპრილიდან მინსკში ბელარუსის ღია პირველობაში მოსინჯავენ ძალებს **გიგი მთვრალაშვილი**, ირაკლი ბოლქვაძე, **დავით სიხარულიძე** და **გიორგი ბუხრიკიძე** (ხელმძღვანელი **ირინა მინჟულინა**), ხოლო 28-30 აპრილს საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **გიორგი აბზიანიძისა** და მწვრთნელ **დავით გელაშვილის** მეთაურობით 1997-1998 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები – **გიორგი ჭყოიძე, თეონა ბოსტაშვილი, ანა კეჟერაშვილი, ელენე უნდილაშვილი, სოფიო სალარაძე, ვასილ ხიზანიშვილი, აკაკი ვაშაკიძე, ბექა ხეჩუმაშვილი, გიორგი კეთილაძე** და **გიორგი ბიგანიშვილი** მასპინძელთა ხარჯებით თურქეთის ბავშვთა ტრადიციულ 23-ე აპრილის საერთაშორისო თამაშებში იასპარეზებენ.

ახლა კი გუშინდელ პაექრობებში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გაგაცნობთ:

**50 მ. თავისუფალი ყაიდა. ქალები.** 1. გვანცა ხინჩაგაშვილი (გორი, 30,31), 2. მაია ხრიკული (თბილისი, „ლაგუნა ვერე", 31,59), 3. სოფიო სალარაძე (თბილისი, „ტონუსი", 32,53). **ვაჟები.** 1. გიორგი ბუხრიკიძე (გორი, 24,92), 2. დავით სიხარულიძე (ტონუსი, 25,23), 3. დავით შახნაზაროვი („ლაგუნა ვერე", 26,40). **50 მ. ბატერფლაი. ქალები.** 1. მაია ხრიკული (ლაგუნა ვერე, 35,03), 2. მეგი ხათაშვილი (გორი, 35,08), 3. მარიამ მეჭურჭლიშვილი (ლაგუნა ვერე, 35,25). **ვაჟები.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა ვერე", 26,71), 2. დავით სიხარულიძე (ტონუსი, 27,04), 3. ირაკლი შავიძე (რუსთავი, 29,06). **100 მ. ბრასი. ქალები.** 1. მაია ხრიკული (ლაგუნა ვერე, 1.30,47), 2 . თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 1.31,56), 3. მარი ზუბიაშვილი (საჩხერე, 1.33,20). **ვაჟები.** 1. ირაკლი შენგელია („ტონუსი", 1.08,86), 2. ლუკა კერვალიშვილი (თბილისი, დელფინი, 1.14,03), 3. გიორგი მარსაგიშვილი (თბილისი, დილომი, 1.22,44). **100 მ. გულაღმა ცურვა. ქალები.** 1. მეგი ხათაშვილი (გორი, 1.23,03), 2. ანა ლომინაძე (დილომი, 1.26,79), 3. ნატა ჯაფარიძე (ტონუსი, 1.30,38). **ვაჟები.** 1. ნიკა კოკელაძე (ლაგუნა ვერე, 1.05,63), 2. ირაკლი ლომიძე (ტონუსი, 1.08,75), 3. ნიკა სიხარულიძე (ლაგუნა ვერე, 1.13,72). **400 მ. თავისუფალი ყაიდა. ვაჟები.** 1. ირაკლი რევიშვილი (ტონუსი, 4.09,62), 2. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 4.28,71), 3. დავით შახნაზაროვი (ლაგუნა ვერე, 4.49,20). **200 მ. კომპლექსი. ქალები.** 1. თამთა გიგილაშვილი (რუსთავი, 3.05,87), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 3.10,97), 3. მარი ზუბიაშვილი (საჩხერე, 3.14,04). **ვაჟები.** 1. გიგი მთვრალაშვილი (ტონუსი, 2.12,06), 2. ირაკლი ბოლქვაძე (ტონუსი, 2.13,91), 3. ვასილ ხიზანიშვილი (ტონუსი, 2.39,35). **4X100 კომბინირებული ესტაფეტა. ვაჟები.** 1. ტონუსი-1 (4.12,78), 2. ტონუსი-2 (4.27,46), 3. ლაგუნა ვერე (4.33,84).

ვაჟა დანელია

● ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# შუქვანი – სასიამოვნო სიურპრიზი




ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ჩვენთვის ძალზე სასიამოვნო სიურპრიზით დაიწყო - სტამბოლში პირველივე დღეს ვერცხლის მედალი გვერგო, რომელიც ისეთმა ფალავანმა მოიპოვა, ვისგანაც ამას ნაკლებად ველოდით - სენსაცია 22 წლის თბილისელმა **ბეთქილ შუქვანმა** (60) მოახდინა. გუშინვე ბრინჯაოს მოპოვება ამავე წონაში მოასპარეზე **ამირან პაპინაშვილსაც** შეეძლო, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა დათმო და მეხუთეზე დარჩა. მათ შემხედვარეს ძალაუნებურად ის ქართული ანდაზა გაგვახსენდა, ხემ რომ დაიჩივლა, ცული რას დამაკლებდა, შიგ ჩემივე ნაწილი რომ არ ერიოსო - ორივე ჩვენებური უკრაინის სახელით მოასპარეზე ქართველთან, გალიდან ლტოლვილ **გიორგი ზანთარაიასთან** დამარცხდა, რომელიც მოჭიდავედ მთლიანად უკრაინაში ჩამოყალიბდა.

ცხრილის ზედა და ქვედა ნაწილში განლაგებული შუქვანიც და პაპინაშვილიც ძლიერ ქვეჯგუფებში მოხვდნენ, მაგრამ არც თავად აღმოჩნდნენ ჯაბანნი, მისდგნენ და სულ მუსრი გაავლეს ევროპის ჩემპიონებს. კარგა ხანია, ძიუდოს ქართველ ქომაგს ასეთი სიხარულის საშუალება არ მისცემიათ! როგორი საქმეა - იქით პაპინაშვილმა ფრანგ **სოფიან მილუს** ჯერ ვაზარი აართვა, მერე სულაც დააიპონა და შარშან მოპოვებული კონტინენტის ჩემპიონის ტიტული **დაათმობინა**, აქეთ კი შუქვანმა დავთიანი მართლაც რომ ზავთიანად გააგორა. დავთიანი ჩვენებისთვის და პირადად შუქვანისთვისაც ძალიან უხერხული მეტოქეა - მხოლოდ წლეულს შუქვანი სამჯერ დამარცხდა მასთან, მათ შორის - თბილისის ტურნირზეც. ქართველები მეზობელს მხოლოდ 5-6 წლის წინათ თუ უგებდნენ, როცა ის ჯერ კიდევ დამწყები იყო, ბოლო წლებში კი ყველგან წააგეს მასთან. ამჯერად შუქვანმა ყველას ჯავრი ერთად იყარა. მანამდე მან არანაკლებ დამაჯერებლად დაამარცხა ფინელი **ვალტერ იოკინენი** - იუკოც აართვა, ვაზარიც და ბოლოს დააიპონა. პირველი ეტაპის გავლა შედარებით გაუჭირდა პაპინაშვილს, თუმცა ამას თავისი ახსნაც მოეძებნება - მასპინძელ **ისკენდერ ოზქანოღლუს** ხვდებოდა, რომელსაც მსაჯები ვერაფრით იმეტებდნენ წასაგებად. პაპინაშვილისა და ზანთარაიას გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთა. ზანთარაია, რომელმაც ხელის ხანგრძლივი ტრავმა მოირჩინა, თითქოს ძველებურად ძლიერი არ ჩანდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ჩოქბჯენში ჭიდაობას მიელტვოდა, ამ კომპონენტში კი ჩვენები, პრაქტიკულად, ვერაფერს აკეთებენ. შესაძლოა, პაპინაშვილს სტატისტიკაც თრგუნავდა - დავთიანისა არ იყოს, ზანთარაიასაც ჩვენები რამდენიმე წლის წინათ თუ უგებდნენ, თორემ 2008 წლიდან მოყოლებული, უკრაინელმა ქართველმა უკლებლივ ყველა - რვავე შეხვედრაში დაჯაბნა თანამემამულეები. მათ შორის - პაპინაშვილიც, თუმცა ამან ერთხელ - 2007 წელს ბაქოს მსოფლიოს თასზე მოუგო. ამ კონკრეტულ ორთაბრძოლაშიც ზანთარაია საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და წმინდადაც მოიგო.

ამასობაში შუქვანი კვლავ აგრძელებდა წარმატებულ სვლას ფინალისკენ. საერთოდაც, ვგონებ, საკამათო არაა, რომ უფრო ძლიერი ჯგუფი მას ერგო - დავთიანის შემდეგ ჯერ ჩვენი ტურნირის წლევანდელი აზერბაიჯანელი გამარჯვებული, ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონი **ილგარ მუშკიევი** და კიდევ ერთი ევროპის ჩემპიონი, 2009 წელს თბილისში გაჩემპიონებული რუსთა სომეხი ფალავანი **არსენ გალსტიანი** დააიპონა. ფინალში ზანთარაიასთან თითქოს ურიგოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ ერთ მომენტში წამით მოადუნა ყურადღება - ვფიქრობ, მსაჯის ჟესტიკულაციამაც შეაცდინა, რითაც უმალ ისარგებლა უკრაინელმა და შებოჭა.

სამწუხაროდ, პაპინაშვილმა თავისი შანსი ბოლომდე ვერ გამოიყენა - სანუგეშოში ესტონელთა აზერბაიჯანელ **ელნურ ალიევს** ვაზარ-იპონით დამაჯერებლად კი აჯობა, მაგრამ მედლისთვის გალსტიანთან მოუწია შეხვედრამ. გამწარებულმა რუსმა შუქვანის ჯავრი ამაზე იყარა - სუფთა გდებით მოუგო.

მართალია, გუშინ ოქროს გარეშე დავრჩით, მაგრამ ვიყოთ გულახდილები - გუშინდელი წონებისგან განა ამას მოელოდა ვინმე? მართალია, როტერდამის „დიდი პრიზის" მომგებ პაპინაშვილზე მედალს კი ვგეგმავდით, მაგრამ ოქრო მაინც გადამეტებული ოპტიმიზმი გვეგონა. აი, შუქვანი კი სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა, რომელსაც ფინალში წაგებისთვის ვერაფრით დავძრახავთ. პირიქით - მისი გამოსვლა მხოლოდ დადებითად უნდა შევაფასოთ. მან ნამდვილად ძლიერ ფალავანთან წააგო - ზანთარაიამ 2009 წელს თბილისში ევროპის ფინალი იჭიდავა (გალსტიანთან წააგო), იმავე წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შარშან ისევ იჭიდავა მსოფლიოს ფინალი (ამჯერად უზბეკ **რიშოდ სობიროვთან** დამარცხდა), ახლა კი ევროპის ჩემპიონიც გახდა! შუქვანს აქამდე თითქოს რაღაც ბორკავდა უცხოეთში ჭიდაობისას, თითქოს კომპლექსი ჰქონდა, ეს მედალი კი, იმედია, საკუთარი ძალების რწმენას შემატებს და ამ ბარიერს საბოლოოდ გადალახავს.

გუშინ სტამბოლის „აბდი იფექჩი არენაზე" ვაჟთაგან 66 კილოგრამის ფალავნებმაც იასპარეზეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენებურებზე კარგს ვერაფერს ვიტყვით... **გიორგი შოშიაშვილი** პირველივე წრეში დამარცხდა ახალგაზრდა რუმინელ **ლასლო სცოკესთან** - თავიდან იუკოს უგებდა, მაგრამ დამთავრებამდე 51 წამით ადრე წმინდად წააგო. **შალვა ქარდავამ** თურქ **მეჰმეტ დურმაზს** მოუგო, მაგრამ მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ **ტარლან კერიმოვთან** ვერაფერს გახდა.

დღეს მორიგი ორი წონის ფალავნები იჭიდავებენ. 73-ში **ამბაკო ავალიანი** პირველ წრეში ისვენებს, თან რუმინელ **ადრიან ნიკოლას მერგესა** და ახალგაზრდებში სომეხ ევროპის ჩემპიონ **არტიომ ბაღდასარიანს** შორის მოგებულის გამოვლენას დაელოდება - მომდევნო წრეში მას შეხვდება. მესამეში მისი სავარაუდო მეტოქე ებრაელ **იოსებ ფალელაშვილისა** და ფრანგ ევროპის ჩემპიონ **ბანჯამინ დარბელეს** შერკინებაში გაირკვევა. ამ ქვეჯგუფში ევროპის ჩემპიონთა სიმრავლეა - დიდი ხნის შესვენების მერე სპორტში კვლავ დაბრუნებული აზერბაიჯანელი **რენატ მირზალიევი**, იაპონური წარმოშობის ესპანელი **კიოში უემაცუ** და 2009 წელს თბილისში გამარჯვებული უკრაინელი **ვოლოდიმირ სოროკა**... მოგეხსენებათ, წლეულს ავალიანმა ჩინებულად მოიგო თბილისის ტურნირი, სადაც სოროკას და ფალელაშვილსაც აჯობა. მოგვიანებით ფალელაშვილი ვარშავაშიც დაამარცხა. ამავე წონაში არ გაუმართლა **თენგიზ პაპოშვილს** - პირველივე წრეში ფრანგ მსოფლიოს პრიზიორ **უგო ლეგრანდს** ხვდება.

81-ში **ლევან წიკლაური** თავიდან ისვენებს, მისი მეტოქე კი უკრაინელ **არტემ ვასილენკოსა** და ესტონელ **ალექსანდერ მარმელიუკის** შეხვედრაში გაირკვევა. ბადის ამ ნახევარში ყველაზე ძლიერი კონკურენტი რუსი ევროპის მოქმედი ჩემპიონი **სირაზუდინ მაგომედოვია**.

დანარჩენი წონების წარმომადგენლები ხვალ იასპარეზებენ. 90-ში კვლავ ერთად მოხვდნენ **ვალერი ლიპარტელიანი** და შვედი **მარკუს ნიმანი**, ვისთანაც ჩვენებური შარშან ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა. ლიპარტელიანი ძალიან ძლიერ ქვეჯგუფშია - ესპანელი ევროპის ჩემპიონი **დავიდ ალარზა**, უკრაინელი ევროპის სამგზის ჩემპიონი **ვალენტინ გრეკოვი**, ბერძენთა ქართველი **ტენტორე მასმანიდისი**, ფრანგი **კრისტოფ ლამბერტი**, პირველ შეხვედრას კი 23-წლიანებში პოლონელ ევროპის ჩემპიონ **კშიშტოფ ვეგლარცთან** გამართავს, ვისაც წლეულს ორჯერ მოუგო, სულ კი სამი გამარჯვება აქვს მასთან და არც ერთი წაგება. **ლაშა გურულის** მეტოქე უკრაინელი **ვადიმ სინიავსკია**.

100-ში ჩვენი გუნდის ლიდერი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** პირველ შეხვედრას რუს **სერგეი სამოილოვიჩთან** გამართავს. ვფიქრობთ, მას გაუმართლა და შედარებით სუსტ ქვეჯგუფშია. **ლომერ ჟორჟოლიანი** მეორე წრიდან ერთვება ჩემპიონატში სერბ **პრედრაგ ბუდიჩთან** შეხვედრით. ამ ქვეჯგუფშია ჰოლანდიიდან ბელგიაში გადასული ევროპის ჩემპიონი **ელკო ფან დერ ხესტი**, თავად ჰოლანდიელი **დანი მეეუვსენი** და ფრანგი **სირილ მარეტი**. ჩვენებურთაგან ყველაზე მეტად მძიმეწონოსანი **ნოდარ მეტრეველი** დაიჩაგრა - თვით ფრანგ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ **ტედი რინერის** ხვდება. **ზვიად ხანჯალიაშვილი** ჰოლანდიელ **ლუუკ ვერბიხს** დაეჭიდება. ხვალვე იჭიდავებს ქალთა ტურნირში ჩვენი ერთადერთი მოჭიდავე **ნინო ოძელაშვილიც** (70) - ფრანგ **მარი პასქუსთან**.

ირაკლი თავაძე

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**60 კგ.** 1. გიორგი ზანთარაია (უკრაინა), 2. **ბეთქილ შუქვანი (საქართველო)**, 3. არსენ გალსტიანი (რუსეთი), ელიო ვერდე (იტალია).

**66 კგ.** 1. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი), 2. ტარლან კერიმოვი (აზერბაიჯანი), 3. ალიმ გადანოვი (რუსეთი), კოლინ ოუტსი (ბრიტანეთი).

**ქალები**

**48 კგ.** ალინა დუმიტრუ (რუმინეთი), 2. ევა ცერნოვიცკი (უნგრეთი), 3. ფრედერიკ ჟოსინე, ლაეტიტია პაიეტი (ორივე - საფრანგეთი).

**52 კგ.** 1. პენელოპე ბონა (საფრანგეთი), 2. იოანა რამოსი (პორტუგალია), 3. ანა კარაკოსა (ესპანეთი), სოფიე კოქსი (ბრიტანეთი).

**57 კგ.** 1. საბრინა ფილზმოსერი (ავსტრია), 2. ტელმა მონტეირო (პორტუგალია), 3. ოანა კორიუ კაპრიორიუ (რუმინეთი), ირინა ზაბლუდინა (რუსეთი).



მარცხნიდან პირველი ბეთქილ შუქვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


მაკა ჩახნაშვილი

# ქართველები გაყოჩაღდნენ

დოტჰენის საერთაშორისო ტურნირის (აშშ, 50 ათასი დოლარი) პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (109) წარმატებით დაიწყო ასპარეზობა - პირველ წრეში **შერონ ფიჩმენისგან** (კანადა, 245) ქვა-ქვაზე არ დატოვა - 6:1, 6:1. მერვედფინალში ანას მეტოქე ვეტერანი ამერიკელი **ჯული დუტი** (283) იქნება, ერთ დროს მოწინავე ასეულის ყოფილი წევრი. სხვათა შორის, ანამ 4-ჯერ ითამაშა დუტის წინააღმდეგ და 3-ჯერ გამარჯვებული გამოვიდა.

იტალიურ ჩივიტავეკიაში (25 ათასი დოლარი) მეოთხედფინალში გააღწია განუთესავმა **მაკა ჩახნაშვილმა** (229), რომელმაც ტურნირის მე-7 ნომერ ბელარუს **დარია კუსტოვას** (184) სძლია - 6:2, 1:6, 7:5. მესამე წრეში მაკას მეტოქე ყირგიზი **ქსენია პალკინაა** (294).

უზბეკეთის ქალაქ კარშიში (10 ათასი დოლარი) მე-3 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** (425) ნახევარფინალში გავიდა, მან მე-6 ნომრად განთესილ რუს **ამინატ კუშკოვას** (480) აჯობა - 6:3, 6:3. ნახევარფინალში 22 წლის ქართველი უკრაინელ **ელიზავეტა იანჩუკს** (671) ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი და ცნობილი ადამიანები

# ილია ვეკუა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ილია ვეკუას სიტყვით, ჭადრაკი მას ბავშვობიდან იტაცებდა. მაგრამ ბრძნული თამაშით სერიოზულად მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტში დაინტერესდა, მას შემდეგ, რაც სტუდენტი გახდა. ეს იყო 1925 წელს, იმ წელიწადს მოსკოვში მოეწყო პირველი საბჭოთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორის იყვნენ იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი ხ. კაპაბლანკა და ექსჩემპიონი, ფილოსოფიისა და მათემატიკის დოქტორი ე. ლასკერი. ახალგაზრდა პირველკურსელი ილია ვეკუაც ჩაება ქვეყნაში გაჩაღებულ საჭადრაკო ფერხულში, მონაწილეობდა საუნივერსიტეტო ტურნირებში.


ილია ვეკუა (მარცხნივ) და ნიკო მუსხელიშვილი

საქმე იქამდეც მისულა, ნიჭიერი ჭაბუკი ისე გაუტაცია ჭადრაკს, რომ არჩევანის წინაშეც დამდგარა: მათემატიკა თუ ჭადრაკი?

- ერთხელ ტურნირში პარტია წავაგე და ორი ღამე თვალი ველარ მოვხუჭე. მაშინ დავფიქრდი: როცა ასე მწვავედ განიცდი მარცხს, დიდი მოჭადრაკე ვერ გახდები. ჩემთვის გადავწყვიტე: არ შეიძლება „გაფანტვა", რაკი თავი მეცნიერებას მინდა მივუძღვნა. ამ დროს განისაზღვრა კიდეც ჩემი გზა მეცნიერებაში, - იხსენებდა ილია ვეკუა.

ჭადრაკისთვის მას თავი არ დაუნებებია. „იმ დროიდან იშვიათად ვთამაშობ ჭადრაკს, მაგრამ, ბუნებრივია, მაინტერესებს ყველაფერი, რაც საჭადრაკო სამყაროში ხდება".

სწორედ იმ დროიდან გამოჰყვა დიდ მათემატიკოსს ჭეშმარიტი მოჭადრაკეებისადმი გულწრფელი პატივისცემა. აღტაცებული ვარ იმ ადამიანებით, რომლებიც ღრმად ერკვევიან ამ ჭკვიანურ თამაშშიო, ამბობდა იგი.

მახსოვს მისი სიტყვები ჭადრაკის რთული ბუნების შესახებ.

- ჭადრაკის თამაშის დროს აზროვნების პროცესს, როგორც ცნობილია, ბევრი აქვს საერთო მეცნიერების, განსაკუთრებით მათემატიკოსების აზროვნების პროცესთან. ჭადრაკში, როგორც მეცნიერებაში, ადამიანს მოეთხოვება ძალების სრული მობილიზება, განუწყვეტელი ძიება, დაუინებელი სწრაფვა დასახული მიზნისკენ.

დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს ახარებდა ქართველი მოჭადრაკე ქალების თვალსაჩინო წარმატებები. 1969 წელს, როცა ნონა გაფრინდაშვილმა მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ილია ვეკუამ თავისი და თბილისის უნივერსიტეტის სახელით, - მაშინ იგი ამ სასწავლებლის რექტორი იყო, - მოსკოვში მიულოცა ეს გამარჯვება.

ყოველკვირეული გამოცემის „64"-ის კორესპონდენტთან, საერთაშორისო ოსტატ ი. ვატნიკოვთან საუბარში ილია ვეკუამ თქვა:

- მე ყოველთვის მსიამოვნებდა, რომ უძლიერესი საბჭოთა მოჭადრაკეები ესოდენ მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას მანიჭებს ნონა გაფრინდაშვილის თამაში. მე ვამაყობ, როდესაც იგი ძნელ ბრძოლებში იცავს უფლებას იყოს მსოფლიოს პირველი მოჭადრაკე. ამდენი წელი იდგე ჭადრაკის ოლიმპზე და ყველას დაუმტკიცო, რომ შენი თამაში ჭეშმარიტად ჩემპიონის თამაშია - ეს ნამდვილი სპორტული გმირობაა.

**თენგიზ გიორგაძე**

თავგადასავლები

# საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი



## კოლექცია...

თეფშების კოლექცია მაქვს. რომელ ქვეყანაშიც მოვხვდი, იქაური წარმოების თეფში წამოვიღე. იქაური ღირსშესანიშნაობების ნახატ-ფოტოებით გაფორმებული. ამჯერად კარგა 500 თეფში მაქვს კოლექციაში.

მინსკში მიდიოდნენ საასპარეზოდ ჩვენი ფალავნები. მე რატომღაც ვერ წავედი და ერთ მეგობარ მოჭიდავეს ვთხოვე იქაური თეფში წამოეღო და ჩამომიტანა კიდევაც.

სახლში მისვლამდე არ ვხსნი საგულდაგულოდ შეფუთულ სუვენირს. ვიცი, ახლა ბელორუსიის წარმტაცი ბუნების რომელიმე ფრაგმენტით იქნება დამშვენებული.

და, აჰა... როგორც იქნა მივაღწიე შინ. ხელის კანკალით გავხსენი და გაოცებისაგან პირი გავაღე. თეფშის სათავსი აბსოლუტურად სუფთაა. რის ნახატი, რის ფოტო?!. მხოლოდ კიდეზე რუსულად ერთადერთი სიტყვაღა ამოვიკითხე - „Ресторан".

- ბიჭო, სად იყიდე ეს თეფში? - მივვარდი მეორე დღეს ჩამომტანს.

- რა გინდა, კაცო, თეფში ხოა და ხომ მთელი ჩამოგიტანე? - მეკითხება აქეთ.

- არა, მაინც სად იყიდე?

- რესტორანში „ვიშოვე", - რა გინდა შენ!

- რას ქვია „ვიშოვე"? ამიხსენი, ერთი!

პასუხმა მოლოდინს ბევრად გადააჭარბა:

- ქალაქში სასიარულოდ დრო არ დამრჩა და რესტორანში მაჩუქა ოფიციანტმა...

ასეა თუ ისე, ის თეფში ჩემს კოლექციაში ვერ მოხვდა, სამზარეულოს ყოველდღიურობაში კი ლიდერი ადგილი უჭირავს.

## ჩვენც გვინდა, რა!

ბელორუსიაში მაინც მოვხვდი გარკვეული დროის შემდეგ. რა თქმა უნდა, გუნდთან ერთად.

არა, თეფშების ძებნა ნამდვილად არ დამიწყია.

ერთი თავისუფალი დღეა და კინოში წასვლა დავგეგმეთ. მინდა ბიჭებში მეომრული სული ავამაღლო, გადავწყვიტე გმირულ თემაზე აგებული ფილმი გვენახა.

ჰოდა, შევედით კინოთეატრში.

ფილმი ასეთი შინაარსისაა: სპარტანელები მეზობელ ქვეყანასთან საომრად მიდიან ხვალ. ძველ რომში ასეთი წესი იყო - ომის წინ მამაც მეომრებს გართობის ყველანაირ საშუალებას აძლევდნენ. შეიძლებოდა სრული ღრეობა, დალევა, მოწევა, ქალებთან თავაშებული ქცევები. ასე იყო იმჯერადაც, უყურებენ ჩვენ ბიჭები, თუ როგორ ღრეობენ მეომრები.

დაიწყო ომი. ამ „ნაღრევებმა" ბიჭებმა სულ ბდღვირი აადინეს მოწინააღმდეგებს და გამარჯვებულები, დიდი ალაფით ბრუნდებიან სამშობლოში - ძლევამოსილები და ბედნიერები.

დამთავრდა ფილმი. გამოვედით ქუჩაში. ჩვენი მოჭიდავეები რაღაც დამძიმებული ნაბიჯებით და სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველებით მოაბიჯებენ.

- როგორ მოგეწონათ ფილმი? - ვეკითხები ინტერესით. ხმას არ იღებენ.

- კაცო, ამოიღეთ ხმა, არ მოგეწონათ? - გავუმეორე კითხვა.

- კინო კაი იყო, - გაბედა ერთმა.

- აბა, რა არ მოგეწონათ?

წაუჯლიქვეს ერთმანეთს, არა შენ უთხარი, არა - შენო. ბოლოს ერთმა გაბედა:

- ის ეპიზოდი მოგვეწონა განსაკუთრებით - ბრძოლის წინ.

- მერე?

- რა მერე... ხომ ნახე, ამ ღრეობა-გართობის მერე როგორ ლომებივით იბრძოდნენ?

- ვნახე!

- აბა ჩვენ რატომ გვიკრძალავენ შეჯიბრების წინ ამნაირ რაღაცეებს? ხომ ნახე, რა „მასტიმულირებელი" ყოფილა.

- კარგი, დავუშვათ, მაგრამ თქვენ რა გინდათ? - „გავჭერი" პირდაპირ.

- რა და, ზურა, შენი ჭირიმე და შენ შემოგევლე, გვიშუამდგომლე უფროსობასთან, ჩვენც მოგვცენ ასეთი რამეების საშუალება და ნახავ, მეორე დღეს ყველა მეტოქეს მიწასთან გავასწორებთ.

არ ჩავფიქრდი? მეც გვარიანი „ჭაბუკი" ვარ და შევედი მდგომარეობაში.

„კაცმა რომ თქვას, მოჭიდავე ენერგიით სავსე არსება, ემოციებით დამუხტული, მართლაც... ხომ შეიძ...? - ა?

...მეორე დღეს „უფროსობას" მოვახსენე - ასეა და ასეა, ასე თქვეს ბიჭებმა და ექსპერიმენტი რომ ჩაგვეტარებინა, ურიგო არ იქნებოდა-მეთქი.

- რაოოოო!!! - გადაირივნენ „უფროსები" - ერთი უყურე ამათ, არ მოინდომეს! არა, შენ როგორ გაბედე ამის თქმა, შენც მაგათი „ჩაშკა-ლოჟკა" ხარ.

ნებართვა კი არა, იმ დღიდან საერთოდ აგვიკრძალეს კინოში წასვლა... (არაა საშველი!)

## პინცეტი, თუ ძმა ხარ!

როგორც მოგეხსენებათ, ექიმი ვარ გუნდის. ერთი გასვლითი ასპარეზობაა. ბიჭებს ჭიდაობის წინ რამოდენიმე საათით ადრე ჩვენი სასიქადულო მწვრთნელის არსენიჩის „რეცეპტით" (არსენიჩი - მარტყოფლიშვილი) ხაშლამით ვკვებავდით. ოდითგანვე ცნობილია, რომ ხორცი ძალის მომცემი საშუალებაა და ამართლებდა კიდევაც, რომ არა ზემოთ ნახსენები ასპარეზობა.

დაურტყა მატჩის წინ ერთმა ჩვენმა მოჭიდავემ ეს მსუყე, საკაზმებით გაჯერებული ხაშლამა, მაგრამ ცოტა გვიან მოუვიდა. ერთ საათში უკვე ხალიჩაზე იდგა მეტოქის წინ. ორი წუთი კი გაუძლო მოწინააღმდეგეს და ძალაწართმეული ჩაიკეცა.

- ექიმი! - იყვირა უფროსობამ სასწრაფოდ ავიტაცე ჩემი „საკვოიაჟი" და უმალ გამახსენდა ერთი აპრობირებული „მულამი" - არ უნდა ვიჩქარო, რომ ჩვენმა მოჭიდავემ რაც შეიძლება მეტი დაისვენოს.

ავითრიე ფეხი და დინჯად მივუახლოვდი ჩვენს ჩაკეცილ ფალავანს. კაცი ამ თავს აღარაა, ძლივს სუნთქავს.

- რა მოგივიდა, ნუ გეშინია! - ვამხნევებ მოკლე სიტყვებით (ექიმის ბევრი ლაპარაკი „პაციენტთან" აკრძალულია).

- ვაი! - ძლივს სუნთქავს - ხორცის ნაჭრები ყელთან მაქვს...

ცოტა ვუსაშველე და გავიდა ისევ ერთ წუთში ისევ ჩაიკეცა.

- ექიმი!

გავვარდი, მივედი.

- ნუ გეშინია, ბიჭო! ქართველი არ ხარ?! გვჭრი თავს?

- პინ... ამოიხრიალა საცოდავმა - საცოდავად.

- პინ... პინცენტი არ გაქვს?

- მაქვს, აბა მეტი რა მევალება მე?

- ამოიღე!

- რად გინდა?

- კაცო, ახლა „პეტრუშკა" გამეჩხირა ყელში, იქნება ამომწიწკნო და მერე მე ვიცი...

...იმ დღიდან რეცეპტი „ხაშლამა" გააუქმეს. თუმცა ანზორ არსენიჩი დღესაც სიამოვნებით მიირთმევს.

## მინდა რას ჰქვია?!!

უკრაინის დიდებულ დედაქალაქ კიევში ვართ. საბაჟოზე სპეციალურ ბლანკებს გვავსებინებენ. ბლანკის ერთ გვერდზე რუსულად, მეორეზე - ინგლისურად წერია შესავსები მონაცემები: გვარი, სახელი, სქესი და ა.შ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნახევარზე მეტმა რუსული ისე იცის, როგორც მე - ღრმა ჩინური. რუსული კი შევავსებინე და ახლა მეორე გვერდს ვავსებთ.

სქესი ინგლისურად „სექს"- იწერება ერთ-ერთი მოჭიდავე ამ „სექსთან" გაიქჭედა. არ იცის რა უნდა ჩაწეროს.

- ზურა, აქ „სექს" რომ წერია, რას ნიშნავს, რა უნდა ჩავწერო? - მეკითხება და ატრიალებს კალამს თითებში უხერხულად. მოულოდნელად თავში ათასი „მიკრომაკვარანცხი" ერთბაშად დამიტრიალდა.

- ეგ არ იცი, ამხელა მოჭიდავე კაცმა? - ვეკითხები.

- რა ვიცი... სექსიო და...

- კაცო, - შენ ხომ იცი, კიევში რა ეშხიანი გოგოები არიან? დალოცვილები...

- ვიცი, აპა შტერი კი არ ვარ! - იწყინა.

- მერე, ვერაფერს მიხვდი, შე შტერო?

- რას უნდა მივხვდე?

- რას და აქ კითხვაა - „გინდათ თუ არა სექსი უკრაინელ გოგოებთანო", - გაიგე?

- მაგას რა გაგება უნდა, შე კაცო! გამოუცოცხლდა თვალები - ბევრი აღარ უფიქრია და იმ გრაფაში - კითხვის გასწვრით არ იკითხავთ რუსულად რა ჩაწერა? - „ოჩენ ხაჩუ!"

## ბოქსიორი არწივი

ერთმა ჩვენმა მოკრივემ (გვარს და სახელს მომავალში ვიტყვი) ერთი „პაეზდკის" დროს ტატუს გამკეთებელი გაიცნო და მხარზე - იდაყვის ზემოთ არწივი (მებრძოლი არწივი) „ამოანაკოლკებინა". შევხედე არწივს და ნამდვილად არ მომეწონა, რადგან არწივი ძლიერების და შეუპოვრობის სიმბოლოა. ის არწივი კი ნიბლია ჩიტივით კეთილად გამოიყურებოდა.

- რაა ბიჭო, ეს! მით გინდა „წააზდინო" მეტოქე?! დავიწუნე და დავიწუნე.

- აუ, რაღა ვქნა ახლა! - აშკარად შეწუხდა ჩვენი ბოქსიორი, რა ვუყო ახლა ამას? - სიმწრით გადაყლაპა ნერწყვი.

- ხომ გახსოვს, ვინც გაგიკეთა? - ვეკითხები.

- რავა არა, - ორასი მანეთი მივეცი, სულ თუმნიანები.

- ჰოდა, მიდი და უთხარი, ცოტა „ჟესტოკი" არწივი გააკეთოს.

- კაცო, შენ ეს პირველკლასელის ნახატი ხომ არ გგონია, წაშალო საშლელით და გაასწორო?

- მე რა მენაღვლება, იყოს...

ჩვენი მოკრივე დაფიქრდა - ასე მართლა არ ივარგებსო და ოთხი საათი უჯდა გადასაკეთებლად იმ „მეტატუირეს".

ეტყობა ის კაცი მაგარი პროფესიონალი იყო და „გადააკეთა".

- აი, გადააკეთა! - „მომახარა" ჩვენმა მოკრივემ და მკლავი გაიშიშვლა.

მკლავიდან კრივისხელთათმანებიანი არწივი მიყურებდა გაოცებული თვალებით...

მომავალ შეხვედრამდე - თქვენი ზურა კახაბრიშვილი

**მურმან მერკვილიშვილი**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. სპლიტი; 4. მიხიჩა; 9. ენდშპილი; 10. ლაგუნა; 11. იორლა; 12. სანებლიძე; 16. ასკინკილა; 17. "სიონი"; 18. სარმა; 19. ბოქსი; 21. კროლი; 22. ლეინი; 23. პოლიგონი; 27. დიდი; 28. გოგელია; 29. "ინტერი"; 30. ნამორაძე.

**შვეულად:** 1. სმეში; 2. ლიდერი; 3. ტოპკა; 5. ხალდე; 6. ალური; 7. სტაიერი; 8. კლასიკური; 13. ნუნჩაკა; 14. ბეისბოლი; 15. გიორგობიანი; 16. აისინგი; 20. სინაურიძე; 24. იაგანი; 25. შლემი; 26. გადრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთი

## სუპერლიგა. XXII ტური

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 19 | 451 | 23.74 |
| 2. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 17 | 359 | 21.12 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 17 | 320 | 18.82 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 265 | 17.67 |
| 5. დუდა სანაძე | ბათუმი | 14 | 244 | 17.43 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 19 | 323 | 17 |
| 7. იუჯინ ჰარისი | სოხუმი | 12 | 201 | 16.75 |
| 8. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 19 | 315 | 16.58 |
| 9. აკაკი დვალიშვილი | სამედიცინო | 11 | 181 | 16.45 |
| 10. გიგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 19 | 301 | 15.84 |
| 11. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 20 | 310 | 15.5 |
| 12. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 19 | 293 | 15.42 |
| 13. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 20 | 300 | 15 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | მ | მ.მეტ. | მ.საკ. | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აკაკი დვალიშვილი | სამედიცინო | 11 | 54 | 71 | 125 | 11.36 |
| 2. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 20 | 88 | 134 | 222 | 11.1 |
| 3. ილია ლონდარიძე | თსუ | 20 | 84 | 103 | 187 | 9.35 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 55 | 85 | 140 | 9.33 |
| 5. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 20 | 44 | 137 | 181 | 9.05 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 19 | 33 | 135 | 168 | 8.84 |
| 7. დავით იმნაძე | შსს | 12 | 37 | 69 | 106 | 8.83 |
| 8. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 20 | 60 | 108 | 168 | 8.4 |
| 9. ჟულივეტ ტუჯანი | შსს | 19 | 53 | 101 | 154 | 8.11 |
| 10. სამუელ ლამუ | ენერჯი | 20 | 40 | 122 | 162 | 8.1 |
| 11. კარლ დამუსი | სოხუმი | 20 | 62 | 98 | 160 | 8 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 19 | 125 | 6.58 |
| 2. ბექა წივწივაძე | შსს | 19 | 105 | 5.53 |
| 3. კოტე ტულუში | არმია | 19 | 103 | 5.42 |
| 4. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 19 | 99 | 5.21 |
| 5. რევაზ დიდია | ქუთაისი | 18 | 89 | 4.94 |
| 6. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 17 | 80 | 4.71 |
| 7. იუჯინ ჰარისი | სოხუმი | 12 | 55 | 4.58 |
| 8. დავით არწივიძე | აგრარული | 14 | 60 | 4.29 |
| 9. ირაკლი მიძელაძე | ბათუმი | 16 | 65 | 4.06 |
| 10. გივი ბაძრაძე | არმია | 17 | 67 | 3.94 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 20 | 60 | 3 |
| 2. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 17 | 40 | 2.35 |
| 3. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 20 | 47 | 2.35 |
| 4. ირაკლი გულისაბედაშვილი | სამედიცინო | 20 | 47 | 2.35 |
| 5. შალვა კოხრეიძე | თსუ | 12 | 27 | 2.25 |
| 6. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 17 | 38 | 2.24 |
| 7. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 19 | 41 | 2.16 |
| 8. დუდა სანაძე | ბათუმი | 14 | 30 | 2.14 |
| 9. ტარიელ თავართქილაძე | სამედიცინო | 18 | 37 | 2.06 |
| 10. გიგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 19 | 39 | 2.05 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. სამუელ ლამუ | ენერჯი | 20 | 43 | 2.15 |
| 2. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 20 | 32 | 1.6 |
| 3. ბექა ბექაური | თსსუ | 20 | 28 | 1.4 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 18 | 1.2 |
| 5. დავით იმნაძე | შსს | 12 | 14 | 1.17 |
| 6. აკაკი დვალიშვილი | სამედიცინო | 11 | 12 | 1.09 |
| 7. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 20 | 21 | 1.05 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 17 | 76 | 4.47 |
| 2. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 16 | 62 | 3.88 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 19 | 71 | 3.74 |
| 4. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 19 | 66 | 3.47 |
| 5. ირაკლი მიძელაძე | ბათუმი | 16 | 53 | 3.31 |
| 6. ბუბა პატარაია | დინამო | 19 | 61 | 3.21 |
| 7. დუდა სანაძე | ბათუმი | 14 | 44 | 3.14 |
| 8. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 15 | 47 | 3.13 |
| 9. მიხეილ ჟოჟუა | სამედიცინო | 20 | 61 | 3.05 |

### რეკორდები

**ქულა**

42 - ბექა ჩიკვილაძე (სტუ).
2-ქულა: 9/12. 3-ქულა: 6/14. საჯარიმო: 6/9.
12.03.2011 შსს-სტუ

**პასი**

16 - იუჯინ ჰარისი (სოხუმი).
05.032011 სოხუმი-დინამო

**ჩაჭრა**

9 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ).
05.02.11 თსუ-სტუ

**მოხსნა**

20 - ილია ლონდარიძე (თსუ)
მეტოქის ფარზე: 10. საკუთარზე: 10.
26.02.11 თსუ-სამედიცინო

**დაფარება**

5 - ანატოლი ბოისა (არმია).
13.11.10 სტუ-არმია
5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ).
26.11.10 ბათუმი-სტუ
5 - აკაკი დვალიშვილი (სამედიცინო)
19.03.2011 არმია-სამედიცინო




## MVP ბესიკ ლეჟავა და ბექა ჩიკვილაძე

# სოხუმზე და ნაკრებზე ფიქრით...



მეორე წრეში შსს-ს კალათბურთელი ტურის საუკეთესო კალათბურთელად ერთხელ დავასახელეთ: 22-ე ტურში **ბესიკ ლეჟავამ** შსს-ს „სოხუმთან“ 78:73 მოაგებინა. მან 32 წუთში 24 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი და 1 დაფარება მოაგროვა. არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა: 12-დან 8 ორქულიანი, 7-დან 2 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო.

ამავე ტურში გამოირჩა სტუ-ელი **ბექა ჩიკვილაძე,** რომელმაც „აგრარულთან“ კარგი თამაშით ტექნიკოსები პლეი ოფში შეიყვანა. ბექა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და მასთან, როგორც სნაიპერთან ინტერვიუ შემდეგი კვირისთვის გადავდოთ.

ახლა ბესიკ ლეჟავას მოვუსმინოთ.

- შსს-ს კალათბურთელები ამა თუ იმ ტურის საუკეთესოებად, ალბათ, იმიტომ არ დასახელებულან, რომ აქამდე ცენტრალურ მატჩებს ვაგებდით. შეიძლება მეორე, უფრო საპატიო მიზეზიც არსებობდეს - გუნდურ კალათბურთს ვთამაშობთ და ეფექტური სტატისტიკით არავინ გამოირჩევა. უხვ მონაგარსა და წაგებას, არაფრით გამორჩეული ციფრები და გამარჯვება მირჩევნია.

**- თამაშიც გააუმჯობესეთ...**

- ამაზე შედეგი მეტყველებს. გავიხსენოთ ცენტრალური მატჩები თსუ-სთან, „არმიასთან“, რომლებშიც ბოლო წუთებზე დავმარცხდით. ნამდვილად შეიძლებოდა იმ შეხვედრების მოგება. კარგად გავისარჯეთ 22-ე ტურში „სოხუმთან“, თუმცა სამი წამყვანი კალათბურთელი გვაკლდა: ჟულივეტ ტუჯანი, ბექა წივწივაძე და ირაკლი ბერიშვილი. დარწმუნებული ვარ, პლეი ოფებისთვის კიდევ მოვუმატებთ და არ შეიძლება შედეგიც არ მივიღოთ.

**- მწვრთნელის ცვლილების შემდეგ გუნდის ახლებურად გადაწყობაც დროს წაიღებდა.**

- ყველა მწვრთნელს თავისი სტრატეგია აქვს. დამრიგებლის შეცვლას ყოველთვის ტაქტიკური ცვლილებები მოსდევს. არც შსს იყო გამონაკლისი. დავით უსტიაშვილი გუნდში იანვარში მოვიდა და გადაწყობისთვის დრო დაგვჭირდა. თუმცა, მის სტრატეგიას აქამდეც კარგად ვიცნობდი - დავით უსტიაშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვთამაშობდი, „ენერჯიშიც“ და „ბათუმშიც“.

**- რეგულარული ეტაპი „სოხუმთან“ მატჩით დაასრულეთ. მეოთხედფინალშიც ამ გუნდს დაუპირისპირდებით...**

- პლეი ოფისთვის აქტიურად ვემზადებით. „სოხუმი“ ძლიერი გუნდია. ჩემპიონატში არავისზე ნაკლები ხუთეული ჰყავს. ამიტომ, მისი ძლევა რთული იქნება. მითუმეტეს, რომ პლეი ოფში სხვა სპეციფიკაა, მეოთხედფინალური სერია ორ მოგებამდეა. საერთოდ, წლევანდელი მეოთხედფინალი წინა წლებთან შედარებით გაცილებით საინტერესო უნდა იყოს. შსს-ს სამი წევრი, მე, მწვრთნელი დავით უსტიაშვილი და დათო იმნაძე გასულ სეზონში „ბათუმის“ ღირსებას ვიცავდით და ბრძოლა მეოთხედფინალში დავასრულეთ. ვიმედოვნებ, წლეულს ნახევარფინალში გავალთ. არავისზე ნაკლები გუნდი გვყავს და არც ჩემპიონობის პრეტენზიაა საფუძველმოკლებული. თუმცა, ჯერ „სოხუმზე“ ვფიქრობთ.

**- „არმიასთან“ მატჩში მსაჯების მოქმედებით მეტად უკმაყოფილონი იყავით. ბოლო წუთებზე ტექნიკური შენიშვნაც მიიღე...**

- ახლაც ვთვლი, რომ იმ მატჩში არბიტრებმა ცუდად იმსაჯეს. თუმცა, წაგებას მათ არ ვაბრალებ, ჩვენი ბრალი იყო. არ უნდა დაგვეშვა 16-ქულიანი უპირატესობის განიავება. სწორედ ამის შემდეგ დაიძაბა სიტუაცია და იყო შეცდომებიც. რაც შეეხება, ჩემს ტექნიკურს, ყოველთვის ვცდილობ ემოციებს არ ავყვე, თავი შევიკავო...

**- მინდა ნაკრებზეც გკითხო. ეროვნულ გუნდში 2007 წელს გამოგიძახეს. როგორც გვითხრეს, იგორ კოკოშკოვი შეკრებამდე საქართველოში არ ჩამოვა. შესაბამისად ასისტენტ დავით უსტიაშვილს მოუწევს გაფართოვებული შემადგენლობის შერჩევა.**

- მწვრთნელთან ამ საკითხზე არ მილაპარაკია. ჯერ ადრეცაა. მეგონა, რადგან იგორ კოკოშკოვის „ფინიქსმა“ რეგულარული ეტაპის ბარიერი ვერ გადალახა, საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფების სანახავად ჩამოვიდოდა... მწვრთნელის დაინტერესება ნებისმიერი კალათბურთელისთვის დიდი სტიმულია. ნაკრებში დაბრუნება ძალიან მინდა, თუმცა ისიც ვიცი, რომ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ჩემი გუნდის წარმატებაზე. მაგალითად შარშან კარგი სეზონი მქონდა, მაგრამ „ბათუმი“ ნახევარფინალში ვერ გავიდა და პრეტენზიაც არ გამჩენია.

## ლეგიონერი



# ბუმ! ბუმ ტტუ ააფეთქა

**გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა“ ესტონეთის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია ტტუ-სთან სარკისებური მოგებით გახსნა - 76:67.

ამ გამარჯვებაში ცინცაძეს ლომის წილი მიუძღოდა: საწყისი 30 წუთის განმავლობაში თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში კი „ბუს“ (ცინცაძის მეტსახელი) ეფექტური გარჯის შედეგად „როკი“ სათამაშო ინიციატივას დაეუფლა, სხვაობა 10 ქულამდე გაზარდა და...

გიორგის მონაგარი ასეთი იყო: 23 წუთი, 16 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი, 5 ჩაჭრა. მან 4 ფოლი მიიღო და ამდენივე შეცდომა დაუშვა, თუმცა დადებითმა უარყოფითი აშკარად გადაფარა და მარგი ქმედების კოეფიციენტმა 16-ს უწია. ცინცაძეზე მაღალი მქკ მხოლოდ „როკის“ ფორვარდ **ეზიუკვუს** ჰქონდა - 25 (16 ქულა, 7 მოხსნა, 4 დაფარება).

სერიის მეორე მატჩი 22 აპრილს ტტუ-ს მოედანზე გაიმართება.




## ადრიატიკის თასი. ფინალი

# ვერ შესწვდნენ

გუშინ ღამით, **გიორგი შერმადინს** 4 ქულისთვის ამდენივე რომ მიემატებინა, აქ ომახიანად ვიტყოდით - „ოლიმპიამ“ 2002 წლის შემდეგ ადრიატიკის ლიგა მეორედ მოიგოო... მაგრამ სლოვენიელებს ფინალში „პარტიზანის“ დასამარცხებლად სულ ცოტა დააკლდათ - 74:77 დათმეს.

გიორგიმ მეოთხე პერიოდი ოთხი ჯარიმით ჩაამთავრა და მეტოქე ცენტრებს კარგადაც გაუმკლავდა, მაგრამ „ოლიმპიელებმა“ ვერაფერი მოუხერხეს უკანახაზელ **ლუის ჯერელს**, რომელმაც 20 ქულა ჩააგდო.

შერმადინის სტატისტიკა ასეთი იყო: 21 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა, 4 ფოლი (მასზე 5-ჯერ დაჯარიმდნენ), 1 პასი, 3 შეცდომა. მან 2-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ერთი შეტევა მეტად ეფექტური გამოვიდა - სამქულიანის რკალიდან საჯარიმოში შეიჭრა და ლამაზად ჩატენა.

**ვლადიმერ ბოისამ** 17 წუთი ითამაშა და ძირითადად დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული - ქულა არ ჩაუგდია.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**



msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭაბუკთა ლიგა

# ჭაბუკთა ლიგაში 47 გუნდი იბრძვის

საქართველოს ჩემპიონატში ჭაბუკთა A ლიგაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. შეგახსენებთ, რომ აქ 16 გუნდი ორ, A და B ჯგუფშია განაწილებული. A ჯგუფში ორი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი სამი გუნდია, „ქუთაისი", „თი ბი სი" და „ლელო". როგორც ჩანს, პირველობისთვის ბრძოლაც სწორედ ამ გუნდებს შორის წარიმართება. მათ, შესაძლოა შეუერთდეს „ყოჩები", რომელმაც მეორე ტურში შინ მედგარი ბრძოლა გაუმართა „ქუთაისს", მაგრამ მაინც დამარცხდა - 12:20.

თითქმის მსგავსი სიტუაციაა B ჯგუფში. აქაც დაუმარცხებელი სამი გუნდია, „ჯიქები", „არმაზი" და „აკადემია". „ჯიქებმა", რომელიც გათამაშების ფავორიტია, პირველ ტურში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად პატარძეულის „ვეფხვებთან" - 20:0. პატარძეულელები დიდი ხანია ოვალური ბურთით თამაშს მისდევენ და ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ.

მეორე ტურში „ჯიქებმა" დიდი უპირატესობით მოუგეს რუსთავის „ხარებს" - 61:9. გაცილებით მძიმე ბრძოლები გადახდა მეორეადგილოსან „არმაზს", რომელმაც ჯერ ურთულეს მატჩში „ხულიგანა" დაამარცხა - 15:10, მერე კი სტუმრად მოუგო ადიგენის „ტაოს" - 31:14.

### ჭაბუკთა A ლიგა

#### A ჯგუფი

##### I ტური

თი ბი სი - მუტრუკები 32:0, ყოჩები-ლოკომოტივი 15:5, ქუთაისი-ჭიათურა 113:0, ლელო-ქუთაისი 2 (გადაიდო)

##### II ტური

ლოკომოტივი-მუტრუკები 32:3, ყოჩები-ქუთაისი 12:20, ქუთაისი 2-თი ბი სი 0:14, ჭიათურა-ლელო 3:64

##### სატურნირო მდგომარეობა

1. ქუთაისი - 4 ქულა, 2. თი ბი სი - 4, 3. ლელო - 2, 4. ყოჩები - 2, 5. ლოკომოტივი - 2, 6. ქუთაისი - 0, 7. მუტრუკები - 0, 8. ჭიათურა - 0

#### B ჯგუფი

##### I ტური

აკადემია-ადიგენი 22:3, არმაზი-ხულიგანა 15:7, ხარები-ივერია 14:15, ვეფხვები-ჯიქები 0:20

##### II ტური

ჯიქები-ხარები 61:9, ვეფხვები-ხულიგანა 15:10, ადიგენი-არმაზი 14:31, ივერია-აკადემია (გადაიდო)

##### სატურნირო მდგომარეობა

1. ჯიქები - 4 ქულა, 2. არმაზი - 4, 3. აკადემია - 2, 4. ივერია - 2, 5. ვეფხვები - 2, 6. ხულიგანა - 0, 7. ადიგენი - 0, 8. ხარები - 0.

ჭაბუკთა B ლიგაში პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ 31 გუნდი სამ ჯგუფშია განაწილებული. ალსანიშნავია, რომ აქედან ნახევარზე მეტი, 16 რეგიონისაა. გათამაშება ახლახან დაიწყო და, ცხადია, რაიმე დასკვნის გაკეთება ნაადრევია. თუმცა სავარაუდო ფავორიტების დასახელება მაინც შეიძლება. ესენია: „უნივერსიტეტი", „ლელო", „ქუთაისი" და „ჯიქები".

### ჭაბუკთა B ლიგა

#### A ჯგუფი

##### I ტური

ჯვაროსნები-ლოკომოტივი 0:58, წიქარა-ხარები 0:58, ტორნადო-ყოჩები 10:12, აკადემია-ლელო 15:5, თორი-უნივერსიტეტი 0:59

##### სატურნირო მდგომარეობა

1. უნივერსიტეტი - 2 ქულა, 2. ხარები - 2, 3. ლოკომოტივი - 2, 4. აკადემია - 2, 5. ყოჩები - 2, 6. ტორნადო - 0, 7. ლელო - 0, 8. წიქარა - 0, 9. ჯვაროსნები - 0, 10. თორი - 0

#### B ჯგუფი

##### I ტური

არმაზი-თი ბი სი 0:5, ხულიგანა-კახები 116:0, ივერია-აკადემია 35:19, მიმინო-ლელო 2 17:17

##### სატურნირო მდგომარეობა

1. ხულიგანა - 2 ქულა, 2. ივერია - 2, 3. თი ბი სი - 2, 4. ლელო 2 - 1, 5. მიმინო - 1, 6. ჯიქები - 0, 7. არმაზი - 0, 8. აკადემია 2 - 0, 9. კახები - 0.

#### C ჯგუფი

##### I ტური

ქუთაისი 2-ქუთაისი 4 66:0, ქუთაისი-ოზურგეთი 31:5, რაინდები-საჩხერე 83:0, ჭიათურა-სენაკი 31:7, ბაგრატი-ასპინძა 37:9, ქუთაისი 3-ბათუმი 39:3

##### II ტური

ქუთაისი 4-რაინდები 0:50, ბათუმი-ჭიათურა 0:32, ასპინძა-სენაკი 13:10.

##### სატურნირო მდგომარეობა

1. რაინდები - 4 ქულა, 2. ჭიათურა - 4, 3. ქუთაისი 2 - 2, 4. ქუთაისი 3 - 2, 5. ბაგრატი - 2, 6. ქუთაისი - 2, 7. ასპინძა - 2, 8. ოზურგეთი - 0, 9. საჩხერე - 0, 10. სენაკი - 0, 11. ბათუმი - 0, 12. ქუთაისი 4 - 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ანტიდოპინგი

# შევინარჩუნოთ რაგბის სიწმინდე

WORLD ANTI-DOPING AGENCY
play true

„შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ რაგბის კავშირთან ერთად საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს სემინარი ჩაუტარა. განიხილეს შემდეგი საკითხები: მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს კოდექსი, 2011 წლისთვის აკრძალული პრეპარატების სია, დოპინგის გავლენა სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე, თერაპიული გამოყენების ნებართვა და დოპინგ კონტროლის პროცედურები.

საგანმანათლებლო სემინარების ჩატარება საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რათა დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში გაღრმავდეს ცოდნა ქართულ სპორტში დოპინგისა და სპორტული ღირებულებების შეუთავსებლობის შესახებ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ზემოხსენებული საკვანძო თემების წინა პლანზე წამოწევა, მით უფრო, რომ საქართველოს რაგბის კავშირი მალე უმასპინძლებს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებას, „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფას", რომელიც, იმავდროულად 2012 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიცაა.

ალსანიშნავია, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მოთხოვნით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება „შევინარჩუნოთ რაგბის სიწმინდე", ეხება ყველა ტურნირს „ფეარ ფლეის" პრინციპებთან ერთად, რაც რაგბისა და დოპინგის შეუთავსებლობასაც გულისხმობს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● მსოფლიოს თასი

# ინგლისელები ფსონს ჩავიდნენ

ინგლისის რაგბის კავშირი ერთ-ერთ საბუკმეკერო კომპანიასთან დანაძლევდა. ინგლისური რაგბის მამები ვარაუდობენ, რომ მათი ეროვნული ნაკრები ნახევარფინალამდე აუცილებლად მიაღწევს და ფსონად 250 ათას გირვანქა სტერლინგს ჩავიდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ „პომები" ნახევარფინალში გავლენ, ინგლისის რაგბის კავშირი 2 მილიონ 250 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს. ეს თანხა, სავარაუდოდ, მთლიანად ეყოფა მორაგბეებზე გასაცემ პრემიას. თუ „პომებმა", ისევე როგორც 2003 წელს, ვებ ელისის თასის მოპოვება შეძლეს, თითოეული მოთამაშე მინიმუმ 50 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

თუმცა, არის იმის საშიშროებაც, რომ ინგლისის რაგბის კავშირმა სანაძლეოში ჩასული 250 ათასი გირვანქა სტერლინგი დაკარგოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ **მარტინ ჯონსონის** სამწყსო გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშება. ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს, სამაგიეროდ, პრემიები აღარ იქნება გასაცემი.

*„ჩვენი ორგანიზაცია მაღალი პროფესიული დონისაა და ნებისმიერ გადადგმულ ნაბიჯს, მით უმეტეს, ფინანსებთან დაკავშირებულს, დიდხანს ვზომავთ და ვწონით. ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად შევამციროთ ფინანსური დანაკარგები. პირიქით, ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრების კარგი გამოსვლით ვიხეიროთ."* - თქვა ინგლისის რაგბის კავშირის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრები მსოფლიოს თასზე ჯგუფურ ტურნირში „ბორჯღალოსნების" მეტოქეა. ჩვენი გუნდი „პომებს" 18 სექტემბერს დანიდინში დაუპირისპირდება. ამავე ჯგუფში იასპარეზებენ ასევე რუმინეთის, შოტლანდიისა და არგენტინის ეროვნული გუნდები.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● მკითხველი - გაზეთი


რუსეთი-საქართველო. სოჭი. 2011 წლის 19 მარტი

# რაგბი – სიამაყე

დღეს ჩვენი ერი აფრენგაშლილი იმედით უმზერს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების, რაგბით მორკენალ „ბორჯღალოსანთა" ასპარეზობებს, მათ თავდაუზოგავ ჯომარდობას (გულადობას) და გაოცებულნი ვართ მათი ვაჟკაცური ბრძოლითა და წარმატებებით.

საქართველოს მორაგბეთა თავგამეტებული ბრძოლის დროს, გული მღელვარებისაგან თითქოს ჩიტის კვერცხივით იჭორფლება და გონების წიაღში წარსულის ვეებერთელა სარკიდან, მორაგბეებთან ერთად, თითქოს თვალწინ ილანდებიან მუზარადებსა და ჯაჭვის პერანგებით შეჯავშნული ჩვენი წინაპრები, გმირული ისტორიით განათებული მათი ბრძოლის თალპიონი და ურვის დუღაბში წელამდე ჩაფლული ჩვენი ხალხი. საფეთქელთან კი, ამ წარმოდგენითი კორიანტელით აღგზნებულნი, ხშირად გახარებულნი ვრჩებით მათი გამარჯვებით და განებივრებულნიც ვართ მათი მოგებებით.

შესაძლოა დამარცხებაც არ არის გამორიცხული, მაგრამ კვლავ ალვიმართებით, მომავალ მეტოქესთან სასურველი გამარჯვებისათვის აღზევებულნი.

თანამედროვე საერთაშორისო სპორტული თამაში რაგბი, თავისი არსით და შემართებით, ჩვენს ეროვნულ-ტრადიციულ ლელობურთით თამაშს, ერთი ყალიბიდან ჩამოსხმულივით დაემსგავსა. შინაარსითაც მისი თანაზომადია და თითქოს, ჩვენი უძველესი გუნდური თამაში „ლელო" უდევს საფუძვლად.

ეს მსგავსობა გვიბიძგებს აზრისაკენ, რომ: ჩვენთან, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ეს უძველესი ეროვნულ-ტრადიციული გუნდური თამაში წინამორბედია თანამედროვე რაგბისა.

აქვე საჭირო იქნება ალვნიშნოთ, რომ დიდად განსწავლული აკადემიკოსის, ნიკო მარის თვალსაზრისით, ლელოს მსგავსი თამაში ბასკეთშიც ყოფილა გავრცელებული, სადაც გამარჯვებული გუნდი ლელოს გატანით მიღებულ სიხარულს გამოხატავდა საბრძოლო შეძახილით - „ლელოო!" რაც მზის კულტთან დაკავშირებულ ღვთაების სახელს აღნიშნავდა. ეს კი, ჩემეული ხედვით, ბასკებისა და ქართველების ერთი ეთნიკური ფუძიდან წარმომავლობის შესახებ მეცნიერული კვლევის, ჯერჯერობით დაუსაბუთებელ ვარაუდს, კიდევ უფრო ათამამებს. ამიტომაც უფრო შევიყვარეთ „რაგბი" და ყოველთვის სულისწადილით ველოდებით ხოლმე ჩვენს მორაგბეთა ვაჟკაცურ შემართებას.

ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ლელობურთით უძველესი თამაში, უმთავრესად დასავლეთ საქართველოს სოფლებს შორის იმართებოდა; უფრო ხშირად კი, სახალხო დღესასწაულებზე და მასში მონაწილეობა საამაყოდ ითვლებოდა.

ჩვენი წინაპრები ლელობურთს უხეში, კუსტარულად გამოყვანილი ტყავისაგან არასიმეტრიული ბურთის ფორმით კერავდნენ. მას რბილი გუჯაბით (სატენით), მატყლით, ბეწვით, ბალახით 6-იდან 12 კგ-მდე ამძიმებდნენ. ასეთი ბურთით ლელოს თამაში გურია-სამეგრელოში ბოლო დრომდე შემორჩა.

თამაში იმართებოდა ორ გუნდს შორის, სოფელი-სოფელთან, ჯანმაგარ ახალგაზრდებს შორის. თამაში იწყებოდა სოფელთა შორის მანძილის შუა ადგილიდან, ან ეკლესიის ეზოდან. ნიშანზე ბურთის აგდებისთანავე, იწყებოდა შეცილება და ბრძოლა მის ხელში მოსაგდებად და მოწინააღმდეგისკენ მისი შეძლებისდაგვარად სწრაფი გატაცებით. ამაში ხელს უწყობდნენ თანაგუნდელები, რომლებიც გამტაცებელს გუნდად მიჰყვებოდნენ უკან. მოპირდაპირე გუნდის წევრები კი ცდილობდნენ ბურთის წართმევას. თუ მობურთალი დაილლებოდა, ბურთს თანაგუნდელს გადასცემდა და მოწინააღმდეგეთა ლელოსაკენ ის მიიწევდა. თუ მოპირდაპირენი ბურთს წაართმევდნენ, ახლა ისინი ისწრაფვოდნენ ლელოს გატანას. ბურთაობა იმართებოდა მოასპარეზე სოფლებს შორის არსებული ყველა ბუნებრივი დაბრკოლებების: ხეობების, ტყის, მთის, ორწოხა (საცალფეხო) ბილიკების, მდინარეების, ჭანჭრობთა (ნოტიო ადგილები), ღელეებისა თუ ატალახებულ ველ-მინდვრებზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოძრაობა-გადალახვით. ასეთ პირობებში, ბურთის წართმევისათვის ბრძოლის დროს, აკრძალულ იყო მტკივნეული ილეთების გამოყენება. ბურთიანი მეტოქის შებოჭვა და მასთან შერკინება ნებადართული იყო წელს ზევით ხელის ჩავლებით. ბურთის წართმევის მიზნით ძალისმიერი ბრძოლა იმართებოდა ყოველგვარი ჩხუბისა და შეურაცხყოფის გარეშე.

ბრძოლა გრძელდებოდა მანამდე, სანამ რომელიმე გუნდი არ გაიტაცებდა ბურთს, მოწინააღმდეგე სოფლის წინასწარ მონიშნულ გადაკვეთის ხაზამდე, რაც ნიშნავდა ლელოს გატანას და გამარჯვებას.

გამორჩეული სიმძლავრის მონაწილეებს (ყოჩებს) ეცვათ მკვეთრად განსხვავებული ფერის პერანგები. შეჯიბრებას დიდძალი ქომაგი, მომხრე და თავშესაქცევად მოსული სეირის მოყვარულიც მრავალი ესწრებოდა.

ჩვენი სახელოვანი მგოსანი, აკაკი წერეთელი აღნიშნავდა: „ქართველების ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთ ხალხს არ აქვს და ყოველგვარი სათამაშოც ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებას და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს... ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს".

ვისაც კი ქართველი ხალხის ჰეროიკული ისტორიიდან ბრძოლის ფრაგმენტები წაუკითხავს, ან თუ ეკრანიდან ნამზერი ახსოვს, მისთვის არ არის სადავო, რომ იშვიათია ქვეყანა, ჩვენი პლანეტის ფართო მკერდზე, რომელსაც ამდენი გმირული ბრძოლა გადაეტანოს, თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის, ვიდრე ეს ჩვენმა პატარა, მაგრამ დიდად გატანჯულმა ქვეყანამ შეძლო. ამიტომ

> ნიკო მარის თვალსაზრისით, ლელოს მსგავსი თამაში, ბასკეთშიც ყოფილა გავრცელებული. სადაც გამარჯვებული გუნდი, ლელოს გატანით მიღებულ სიხარულს გამოხატავდა საბრძოლო შეძახილით - „ლელოო!"

ქართველი ხალხი, ჩვენი ერის დიდებული ღირსებებისა და ისტორიის წინაშე დიდი დამსახურების გამო სიამაყით ვართ აღვსილნი.

მე, როგორც ერთ-ერთ ქართველ კაცს და ალბათ ჩემსავით მრავალს, რაგბიში შეჯიბრება, ჩვენი ისტორიული ბრძოლების ღრმა მილმეთში გარინდულ საუკუნეთა ექოს გვაგონებს, ხოლო ამ რაინდულ შეჯიბრებაში ჩვენი ეროვნული ნაკრების თავგამეტებულ ბრძოლას წინაპრების გმირული შემართების მოდელირებად ალვიქვამთ: თითქოს მათ გულის დარბაზებში, გენეტიკურად ჩაგუბებული პატრიოტიზმისა და ქედუხრელი მამულიშვილობის მოდელირებას ვხედავთ და მისი გამოპირვა-წრთობის პროცესის თვითმხილველები ვხდებით.

სიამაყით მინდა ალვნიშნო, რომ ძალოვანი სახეობის სპორტულ შეჯიბრებებში, ისეთ ბრძოლისუნარიან ხალხთან გამარჯვება, როგორიც ქართველები არიან, ნებისმიერი ქვეყნის გუნდისათვის, პრობლემის თანაზომადიც კი უნდა იყოს! თუკი საუკუნეების გადასწვრივ ერთი-ათთან ვიბრძოდით მუდამ, დღეს ერთი-ერთთან ბრძოლა რაღა პრობლემა უნდა იყოს იგივე ჩვენი ხალხისათვის?! ეს ხომ ჩვენი წარსულით დავიმსახურეთ! ასეთია ჩვენი ბედი - ძნელია ქართველობა! ძნელია, რადგან ეს სიძნელე დიდ პასუხისმგებლობასთან არის შემწიფებული, ერის წინაშე და საწინდარიც უნდა იყოს მუდმივი გამარჯვეებისა და, რაც მთავარია, საწადელისა: საერთაშორისო რაგბში გამარჯვებულთა თუ ჩემპიონთა ცენტრის, ჩვენი პლანეტის სამხრეთით მდებარე ქვეყნებიდან საქართველოში გადმოტანისათვის.

რაგბი ხომ სპორტული ბრძოლაა, ამიტომ იგი ჩვენი ერის ღირსებისა და მისი უკვდავი სახელის ცის თაღზე მისაჭედად უნდა გამოვიყენოთ!

**თეიმურაზ ლალაშვილი-თორელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი



დეტროიტი მეოთხედფინალს ზეიმობს

# დეტროიტი პირველია

**გუშინ სტენლის თასის გათამაშებაში პირველი მეოთხედფინალისტი გაირკვა, ორი გუნდი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ამ ეტაპს, ორ სერიაში კი ოთხი მატჩის შემდეგ საყაიმო ანგარიშია.**

**აღმოსავლეთი**

**ტამპა ბეი–პიტსბურგი 2:3 (2ო)**

**0:1, 1:1, 1:0, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 ტაილერ კენედი-2 (ზ. მიხალეკი-1, ლეტესტუ-1), 0:2 ეშემი-3 (ლავჯოი-2), 1:2 სენტ ლუისი-4 (ლეკავალიე-2, პურსელი-1), 2:2 ბერგენჰაიმი-1 (სენტ ლუისი-2, კუბინა-1), 2:3 ჯ. ნილი-1 (ჯ. სტაალი-2, პ. მარტინი-2).

**სერია:** 1-3

„ტამპას" კატასტროფულად არ უმართლებს „პინგვინებთან" სერიაში. ამჯერად საკუთარ არენაზე „ლაითნინგმა" თავისი ლიდერის **მარტინ სენტ ლუისის** მონდომებით ორჯერ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ბოლომდე ისევ ვერ მიიყვანა საქმე.

საკმაოდ გრძელ ოვერტაიმში (20 წუთზე მეტი) მასპინძლებისთვის დამღუპველი აღმოჩნდა **ჯეიმს ნილის** შაიბა. ეს ჰოკეისტი „პიტსბურგმა" სეზონის მსვლელობისას აიყვანა „დალასიდან" და როგორც ხედავთ, ტრანსფერმა გაუმართლა. თუმცა, ამ შაიბაში თავისი წვლილი მიუძღვის „ტამპას" მეკარის **დუეინ როლოსონის** შეცდომას.

ახლა, „ლაითნინგს" ამ სერიაში სასწაული თუ გადაარჩენს, თუმცა **გი ბუშეს** შეგირდები ბოლომდე ბრძოლას აპირებენ.

**რეინჯერსი–ვაშინგტონი 3:4 (2ო)**

**0:0, 3:0, 0:3, 0:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 ანისიმოვი-1 (დრური-1, ზაუერი-1), 2:0 გაბორიკი-1 (ფედოტენკო-1, დუბინსკი-1), 3:0 დუბინსკი-2 (ფედოტენკო-2), 3:1 სიომინი-2, 3:1 მ. იოჰანსონი-1 (ლეიჩი-2, მაიკ გრინი-4), 3:3 მ. იოჰანსონი-2 (ჯ. კარლსონი-1, ელზნერი-1), 3:4 ჩიმერა-2.

**სერია:** 1-3

ამ შემთხვევაშიც ორი ოვერტაიმი გაიმართა და აქაც სერიაში უფრო მაღალი განთესვის მქონე გუნდი დაწინაურდა - 3:1.

„ვაშინგტონმა" ზედიზედ ორი გასვლითი მატჩი მოუგო „რეინჯერსს". **ჯეისონ ჩიმერამ** გამარჯვების შაიბა 93-ე (!) წუთზე გაიტანა. ამ ეპიზოდში შეცდნენ **მარიან გაბორიკი** და მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტი**, რომლებმაც ერთმანეთს ვერ გაუგეს და შაიბა ჩააბარეს „კეპიტალზის" ფორვარდს. არადა, რამდენიმე წამით ადრე ლუნდკვისტმა ფანტასტიკური სეივი განახორციელა **ალექსანდრ ოვეჩკინის** დარტყმის შემდეგ.

ეს მარცხი „რეინჯერსისთვის" ორმაგად საწყენია, რადგან მატჩის მსვლელობისას მასპინძლები 3:0 იყვნენ დაწინაურებული. ახლა კი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ შეხვედრაში და ალბათ, სერიაში წაგება.

**ბაფალო–ფილადელფია 1:0**

**1:0, 0:0, 0:0**

**გოლი:** 1:0 პომინვილი-1 (რ. ნიდერმაიერი-2, ენისი-1).

**სერია:** 2-2

ამ წყვილში დაძაბული ბრძოლა მიდის. სხვათა შორის, „ბაფალო" ყოველთვის გამოირჩეოდა „ფილადელფიასთან" დაპირისპირებებში კარგი სტატისტიკით, ამიტომაც სერიის ანგარიში გაკვირვებას არ იწვევს. ამასთან, ბრწყინვალედ გამოიყურება „სეიბრზის" მეკარე **რაიან მილერი**, რომლის ანგარიშზე უკვე ორი „შათაუტი" მოდის.

„ფილადელფია" საგოლე მომენტების რეალიზაციის მხრივ მოიკოჭლებდა და საერთოდ, ფავორიტი ძალიან ულიმღამოდ გამოიყურებოდა. შეხვედრის ბედი ერთადერთმა შაიბამ გადაწყვიტა, რომელიც თავის ანგარიშზე **ჯეისონ პომინვილმა** ჩაიწერა.

ამ სერიაში მთავარი ბრძოლა წინ არის - არც ერთი გუნდი არ აპირებს უკან დახევას.

**დასავლეთი**

**ნეშვილი–ანაჰაიმი 3:6**

**1:2, 2:1, 0:3**

**გოლები:** 0:1 ფაულერი-1 (პერი-5), 0:2 ს. კოივუ-1 (ჯ. ბლეიკი-1), 1:2 ჰორნკვისტი-2 (ს. კოსტიცინი-4, შ. უებერი-2), 2:2 ჯ. უორდი-2 (ფრენსონი-3, სალივანი-1), 2:3 სელიანე-5 (გეტცლაფი-4, ფაულერი-3), 3:3 ჰალიშჩუკი-1 (კლეინი-2, ბლუმი-2), 3:4 პერი-2 (მაკმილანი-1), 3:5 გეტცლაფი-2 (პერი-6), 3:6 მაკმილანი-1 (მარჩანტი-1, ვიშნოვსკი-2).

**სერია:** 2-2

იგივე ითქმის ამ სერიაზეც. „ანაჰაიმმა" მეორედ შეძლო ანგარიშის გათანაბრება და აღნიშნულ დუელში მეშვიდე მატჩი გარდაუვალი ჩანს.

ყველაზე დიდი წვლილი „იხვების" წარმატებაში გუნდის ლიდერებს - **კორი პერისა** (1+2) და **რაიან გეტცლაფს** (1+1) მიუძღვით. ამ ჰოკეისტების შეჩერება რეგულარულში პრობლემა იყო და პლეი ოფშიც იგივე ხდება. კვლავ გამოიჩინა თავი 40 წლის **ტეემუ სელიანემ** - ეს ლეგენდარული ფორვარდი ხუთი გოლით მიმდინარე სტენლის თასის საუკეთესო სნაიპერი გახლავთ, პერი კი პლეი ოფს ლიდერობს შედეგიანი გადაცემების რაოდენობით.

**ფინიქსი–დეტროიტი 3:6**

**2:2, 1:1, 0:3**

**გოლები:** 0:1 ჰოლმსტრიომი-2 (დაციუკი-4, მოდანო-1), 1:1 პიატი-1 (ჯოვანოვსკი-1), 2:1 დოუნი-3 (ტარისი-2, იენდლი-5), 2:2 ივსი-1 (ჰელმი-2), 3:2 ჰანჟალი-1 (ვრბატა-3, რეი უიტნი-2), 3:3 კრონვალი-1 (ქლიირი-1, ჰუდლერი-2), 3:4 ქლიირი-1 (ფილპულა-3, ბერტუცი-2), 3:5 ბერტუცი-1 (ქლიირი-2, ფილპულა-4), 3:6 ივსი-2.

**სერია:** 0-4

დასავლეთში გამართული მეორე შეხვედრაც სტუმარმა მოიგო, თანაც იმავე ანგარიშით - 6:3. „დეტროიტი" გახდა პირველი გუნდი მერვედფინალში, რომელმაც შემდეგ ეტაპზე თამაში გაინაღდა.

„რედ უინგზი" ერთი თავით მაღლა იდგა არიზონულ კლუბზე და სერია დამსახურებულად მოიგო „მშრალი" ანგარიშით. ეს გუნდები შარშანაც ამ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც უპირატესობა „დეტროიტის" მხარეს იყო.

ასე დასრულდა „კოიოტზის" გამოსვლა სტენლის თასზე და სხვათა შორის, დასრულდა ამ კლუბის ფინიქსური ისტორიაც. სავარაუდოდ, გუნდი აღარ ითამაშებს გლენდეილში და კანადაში, კერძოდ კი, ვინიპეგში დაიდებს ბინას.

### კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ფავორიტთა რეაბილიტაცია

**გუშინდელი დღის სამივე შეხვედრა დასავლეთში გაიმართა. თავიანთ სერიებში თანაფარდობა აღადგინეს „სან ანტონიო სპურსმა" და „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა", „ოკლაჰომა სიტიმ" კი მეორე საშინაო შეხვედრაც მოიგო და კარგი განწყობით გაემგზავრა დენვერში.**

**დასავლეთი**

**სან ანტონიო–მემფისი 93:87**

**17:17, 24:27, 25:21, 27:22**

**ს-ა:** ჯინობილი (17+7 მოხსნა+4 პასი), დანკანი (16+10 მოხსნა+3 დაფარება), ჯეფერსონი (16), ჰილი (16+5 მოხსნა+4 პასი), პარკერი (12+7 პასი), ნილი (6), მაკდაესი (5+5 მოხსნა+3 დაფარება), ბონერი (3), ბლეირი (2+5 მოხსნა), გრინი.

**მ:** იანგი (17), ალენი (15), კონლი (13+7 მოხსნა+4 პასი), მ. გასოლი (12+17 მოხსნა), რენდოლფი (11+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), არტური (8+3 დაფარება), მაიო (5+4 პასი), ბატიე (3+6 მოხსნა), ვასკესი (3), პოუ.

**სერია:** 1-1

როგორც ჩანს, სერიის პირველ შეხვედრაში „სან ანტონიოს" ყველაზე მეტად **მანუ ჯინობილი** აკლდა - არგენტინელმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა და ტეხასელებმა საკუთარ მოედანზე წააგეს. გუშინ მანუ დაბრუნდა და მაშინვე თავისი გუნდის წარმატების მთავარი ფიგურა გახდა - მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არ მოურჩენია იდაყვის ტრავმა, მან თავის გუნდში ყველაზე მეტი ქულა მიითვალა.

თუმცა „მემფისი" უშანსოდ არ ყოფილა. მეორე შეხვედრაც თანაბარი გამოვიდა და თითქმის მთელი 48 წუთი ქულა ქულაში თამაში მიდიოდა. მეორე მეოთხედის ბოლოს სტუმრები 6-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ წინ და ეს სოლიდურ სხვაობად მოჩანდა ასეთი ხასიათის თამაშში.

მესამე მეოთხედის დასაწყისში გაქცევა სცადეს მასპინძლებმა. 11:0 სპურტმა „სან ანტონიოს" ბოლო მეოთხედის დასრულებამდე 6 წუთით ადრე 12-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. მაგრამ ეს არ ყოფილა საბოლოო სიტყვა, რადგან „გრიზლისმა" 7:0 გაქცევით უპასუხა. ყველაფერი ბოლო მეოთხედში უნდა გარკვეულიყო.

ძირითადი დროის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე „სპურსმა" თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი: ჯინობილისა და **ანტონიო მაკდაესის** საჯარიმოების შემდეგ ანგარიში გახდა 89:81. მაგრამ „მემფისმა" მორიგი მინი-გაქცევით (6:0) ამჯერადაც დაუბრუნა შეხვედრას ინტრიგა. **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს მშველელად მცველი **ჯორჯ ჰილი** მოევლინა. ზედიზედ ოთხმა ზუსტმა საჯარიმომ (**მაიკ კონლისა და ო ჯეი მაიოს** აცილებული სამქულიანების შემდეგ) წერტილი დაუსვა შეხვედრას.

**ოკლაჰომა–დენვერი 106:89**

**31:15, 28:29, 22:22, 25:23**

**ო:** დურანტი (23+5 მოხსნა+5 პასი), უესტბრუკი (21+7 პასი), ჰარდენი (18+5 მოხსნა), იბაკა (12+12 მოხსნა), კოლისონი (10+8 მოხსნა), პერკინსი (7+11 მოხსნა), სეფოლოშა (6+3 მოხსნა), კუკი (6+5 მოხსნა), მეინორი (3+5 პასი), მოჰამედი.

**დ:** ლოუსონი (20), ფელტონი (16), ნენე (16+9 მოხსნა), ჰარინგტონი (15), მარტინი (7+6 მოხსნა), გალინარი (7), ჩენდლერი (4), სმიტი (2), კუფოსი (2), ანდერსენი, ფორბსი.

**სერია:** 2-0

„დენვერი" სერიის მეორე მატჩს ძალიან ცუდ ხასიათზე შეხვდა. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში მსაჯებმა აშკარა შეცდომა დაუშვეს, როცა „ოკლაჰომას" **კენდრიკ პერკინსის** წესების დაცვით ჩაგდებული ბურთი ჩაუთვალეს. ძირითადად, სწორედ ამ ორი ქულის წყალობით მოიგო მასპინძელმა. მოგვიანებით, ლიგამ ოფიციალურად აღიარა შეცდომა, მაგრამ ამით „დენვერის" გაჭირვებას არ ეშველებოდა.

სტუმრების მთავარი ამოცანა **კევინ დურანტისა და რასელ უესტბრუკის** შეჩერება იყო: ამ დუეტმა პირველ მატჩში 72 ქულა დააგროვა. თუ მეორე შეხვედრაში „ოკლაჰომას" ლიდერთა მონაგარს გადავხედავთ, „დენვერმა" თითქოს მოაგვარა ეს პრობლემა. დურანტმა „მხოლოდ" 23 ქულა დააგროვა, უესტბრუკმა - 21... მაგრამ მასპინძლებმა ისევ მოიგეს, რითაც დაამტკიცეს, რომ „ოკლაჰომა" ორი კაცის გუნდი არ არის და იქ სხვა ოსტატებიც არიან - **ჯეიმს ჰარდენი, სერჟ იბაკა, კენდრიკ პერკინსი, ნიკ კოლისონი, დეშუან კუკი.** ამ ჯგუფმა ღირსეული დახმარება გაუწია დურანტსა და უესტბრუკს. სტუმრების რიგებში კი მხოლოდ **ტაი ლოუსონსა და ნენე ილარიოს** თუ გამოვყოფთ, დანარჩენებმა კი თამაში მთლიანად ჩააგდეს.

**ლეიკერსი–ნიუ ორლეანი 87:78**

**23:23, 24:18, 16:15, 24:22**

**ლ:** ბინუმი (17+11 მოხსნა), ოდომი (16+7 მოხსნა), არტესტი (15+6 მოხსნა), ბრაიანტი (11), ფიშერი (9+4 პასი), პ. გასოლი (8+5 მოხსნა+3 დაფარება), ბარნსი (8), ბრაუნი (3), ბლეიკი (0 + 5 პასი).

**ნ-ო:** არიზა (22 + 7 მოხსნა), პოლი (20+9 პასი), ლენდრი (12+7 მოხსნა), ოკაფორი (7+5 მოხსნა), ჯეკი (6), გრინი (5), ბელინელი (4), ჯეკი (2+8 მოხსნა), მბენგა, სმიტი.

**სერია:** 1-1

პირველ მატჩში მომხდარი გაუგებრობის შემდეგ „ლეიკერსს" უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. პირველ რიგში ჩემპიონს მეტოქის ლიდერის **კრის პოლის** ნეიტრალიზაციის საშუალება უნდა მოენახა. სხვათა შორის, კალიფორნიელებს ყოველთვის ექმნებათ სწრაფი და შემტევი პლეიმეიკერის შეჩერების პრობლემა, რადგან მათ ვერ ეწევიან ასაკოვანი **დერეკ ფიშერი** და **სტივ ბლეიკი.**

პოლის მეურვეობა არა მარტო მისმა ნომინალურმა თანაამპლუელებმა, არამედ **კობი ბრაიანტმა** და **შენონ ბრაუნმაც** იტვირთეს. კობი ყველანაირი ხერხით ცდილობდა კრისის წყობიდან



კობი პოლის წინააღმდეგ

გამოყვანას - მსაჯისთვის შეუმჩნეველ აკრძალულ ილეთებს მიმართავდა. საბოლოოდ, „ჰორნეტსის" ლიდერმა მაინც კარგად ითამაშა, თუმცა სასარგებლო მოქმედება უფრო ნაკლები ჰქონდა - 43 წუთში თამაშიდან მხოლოდ 11-ჯერ ისროლა.

საოცარია, მაგრამ ზედიზედ მეორედ ძალიან უფერული თამაში აჩვენა **პაუ გასოლმა** (36 წუთში მხოლოდ ორი ზუსტი ტყორცნა თამაშიდან და ხუთი მოხსნა). მის ნაცვლად ფარქვეშ საქმე **ენდრიუ ბინუმმა, რონ არტესტმა** და **ლამარ ოდომმა** გააკეთეს.

სხვათა შორის, ბრაიანტმაც სუსტი თამაში აჩვენა შეტევაში - 10 ცდიდან მხოლოდ სამჯერ ჩააგდო. სამაგიეროდ, დაცვაში მოქმედების გამო დაიმსახურა საფინალო სირენის შემდეგ ოვაციები.

# ყველაზე პროგრესირებადი



კევინ ლავი

რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გახდა „მინესოტა ტიმბერვულვზის" მძიმე ფორვარდი **კევინ ლავი**. ამ კალათბურთელმა წააგო „წლის საუკეთესო დამცველის" ნომინაცია „ორლანდო მეჯიქის" ცენტრ **დუაიტ ჰოვარდთან**, სამაგიეროდ, ლიგამ ჩემპიონატის საუკეთესო მომხსნელი წლის ყველაზე პროგრესირებად მოთამაშედ დაასახელა.

რეგულარული სეზონის შედეგების მიხედვით, „მინესოტამ" ბოლო ადგილი დაიკავა დასავლეთ კონფერენციაში, მაგრამ მისი ლიდერისთვის განვლილი სეზონი სულაც არ ყოფილა წარუმატებელი. ლავმა 73 მატჩში მიიღო მონაწილეობა, რომელშიც საშუალოდ 20.2 ქულა და 15.2 მოხსნა დააგროვა. კევინის საშუალო სათამაშო დრო იყო 35 წუთი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# 2 ივლისს ჰამბურგში


დევიდ ჰეი

საბოლოოდ დადგინდა სუპერმძიმე წონაში საჩემპიონო ბრძოლის თარიღი და ადგილი. WBO-სა და IBF-ის უკრაინელი ჩემპიონი **ვლადიმერ კლიჩკო** 2011 წლის 2 ივლისს შეხვდება WBA-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელს, ბრიტანელ **დევიდ ჰეის**. „წლის ბრძოლას" ჰამბურგის საფეხბურთო სტადიონი - „იმტეხ-არენა" უმასპინძლებს, რომელიც 55 ათას მაყურებელს იტევს. ასევე გაირკვა WBC-ის ჩემპიონის **ვიტალი კლიჩკოს** მორიგი ბრძოლის დეტალები - ის 10 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ ვროცლავში დაუპირისპირდება ადგილობრივ მძიმეწონოსან **ტომაშ ადამეკს**.

უფროსი კლიჩკოსა და პოლონელი მოკრივის შეხვედრა ახალ საფეხბურთო სტადიონზე გაიმართება, რომელზეც 42 ათასი ადამიანი ეტევა. ეს არენა გაისად ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს უმასპინძლებს.

ბრიტანელმა ჰეიმ უკვე დაიწყო უკრაინელის ნერვებზე თამაში. WBA-ის ჩემპიონის განცხადებით, მას ისეთი რეფერი სჭირდება, რომელსაც ათამდე დათვლა ეცოდინება, რათა სწორად დაფიქსირდეს ვლადიმერ კლიჩკოს ნოკაუტი. მსაჯისგან სხვა თვისებები საჭირო არ არისო - ამბობს ბრიტანელი მოკრივე.

ჰეიმ ისიც დაამატა, რომ ნებისმიერ ადგილას დათანხმდებოდა კლიჩკოსთან შეხვედრას, სადაც კი საკრივო რინგი არსებობს. *„იმ დროისთვის, როცა რეფერი ჩემს გამარჯვებას დააფიქსირებს, ვლადიმერი ვერ გაიხსენებს, სად იმყოფება"*, - ტრაბახობს დევიდი.

ბრიტანელი არ ეთანხმება ბუკმეიკერებს, რომლებიც მომავალ ბრძოლაში აშკარა ფავორიტად უკრაინელ ჩემპიონს ასახელებენ. ჰეიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ვლადიმერს მისი დონის მეტოქესთან ჯერ არ უჩხუბია.

■ ■ ■

ნახევრადსაშუალო წონას ახალი ვარსკვლავი გამოუჩნდა. გასულ უქმეებზე 24 წლის ამერიკელმა **ვიქტორ ორტისმა** ბრწყინვალე სტილში დაამარცხა ცნობილი **ანდრე ბერტო** და მას WBC-ის ტიტული ჩამოართვა.

ეს ორტისისთვის დებიუტი იყო ნახევრადსაშუალო წონაში (მანამდე ქვედა კატეგორიაში გამოდიოდა) და გამარჯვების შემდეგ ამერიკულ ჟურნალ The Ring-ის შესაბამის რეიტინგში ერთბაშად მესამე ადგილზე ალმოჩნდა. მასზე წინ მხოლოდ პროფესიული რინგის უპირველესი ვარსკვლავები - **მენი პაკიაო** და **ფლოიდ მეივეზერი** არიან. აქამდე მესამე ადგილზე სწორედ ბერტო იმყოფებოდა, მაგრამ მეხუთე პოზიციაზე ჩამოქვეითდა - მან ორტისის გარდა **შეინ მოზლიც** გაუშვა წინ.

**განახლებული რეიტინგი ასე გამოიყურება**

1. მენი პაკიაო
2. ფლოიდ მეივეზერი
3. ვიქტორ ორტისი
4. შეინ მოზლი
5. ანდრე ბერტო
6. იან ზავეკი
7. ვიაჩესლავ სენჩენკო
8. რაფალ იაცკევიჩი
9. მაიკლ ჯონსი
10. სელჯუქ აიდინი

● ფორმულა 1

# 148 გასწრება 3 რბოლაში



უკვე არაერთხელ ვწერდით იმის შესახებ, რომ წელს არნახულად ამაღლდა ფორმულა 1-ის ეტაპების სანახაობრივი მხარე. მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული სარბოლო სერიის ოფიციალურმა ვებგვერდმა დაითვალა - ახალი ჩემპიონატის პირველ სამ რბოლაში მაყურებელმა ჯამში 148 გასწრება იხილა.

გასულ კვირას ჩინეთის გრანპრიზე მოძრავი უკანა ანტიფრთის, „პირელის" საბურავებისა და KERS-ის სისტემის წყალობით 63 გასწრება ვნახეთ. ბოლო ოცი წელია მშრალ ტრასაზე ერთი ეტაპის განმავლობაში გასწრებების ასეთი რაოდენობა არ დაფიქსირებულა.

მალაიზიის გრანპრიზე 56 გასწრება დაითვალეს. შედარებისთვის: შარშან სეპანგის ტრასაზე ეს მაჩვენებელი მხოლოდ 24-ს უდრიდა. ამ სეზონში ანტირეკორდსმენი ჩემპიონატის პირველი ეტაპი გახდა - ავსტრალიის გრანპრიზე 29 გასწრება ვიხილეთ.

■ ■ ■

ამასობაში, ფორმულა 1-ის კომერციულმა ბოსმა **ბერნი ექლსტოუნმა** უარყო ბოლო დროს გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს ის ჩემპიონატის საკონტროლო აქციათა პაკეტის მიყიდვას აპირებდეს **რუპერტ მერდოკის** კომპანია News Corp-ისთვის.

ეს ჭორი კომპანია Sky News-მა გაავრცელა, რომელიც ნაწილობრივ ეკუთვნის მერდოკს. თავის მხრივ, Sky News-მა ეს ამბავი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანისგან, მექსიკელ ბიზნესმენ **კარლოს სლიმისგან** შეიტყო.

*„ეს ყველაფერი ჭორია. ფორმულა 1 არ იყიდება. ასეც რომ არ იყოს, ამის შესახებ პრესას მაინც არ შევატყობინებდით, რადგან პრეტენდენტთა რიცხვი შემცირდებოდა"*, - განაცხადა ბერნი ექლსტოუნმა.

● სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# რონი ფორმაშია

სნუკერში მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასრულს უახლოვდება პირველი წრე. გუშინ შეფილდი დატოვა კიდევ ერთმა ადგილობრივმა ტრიუმფატორმა - მოქმედი ჩემპიონის **ნილ რობერტსონის** ბედი გაიზიარა **პიტერ ებდონმა**, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში წააგო **სტიუარტ ბინემთან**.

უკვე პირველმა სესიამ აჩვენა, რომ „ებდომინატორს" რთული მატჩი ელოდა, რადგან პირველი ნაწილი ბინემმა 5:4 მოიგო. მეორე სესიაც ძალიან დაძაბული გამოვიდა. ის უკეთ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონმა დაიწყო - კარგად გამოიყენა მეტოქის შეცდომები და ზედიზედ სამი ფრეიმი აილო. მაგრამ სტიუარტი თავის შანსს დაელოდა: პიტერმა მწვანე ბურთი ააცილა და ბინემმა ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა - 6:7.

ამის შემდეგ ებდონმა მომდევნო პარტია აილო, საპასუხოდ მისმა ოპონენტმა ორ ფრეიმში გაიმარჯვა (ერთ-ერთში ბინემმა 88-ქულიანი ბრეიკი შეასრულა) - 8:8.

სტიუარტი ამაზე არ გაჩერდა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა. პიტერს ჰქონდა გადარჩენის შანსი, მაგრამ შავი ბურთის დარტყმისას შეცდა - 10:8.

დღის ბოლოს შეუჩერებელი იყო ლეგენდარული **რონი ო'სალივანი**. რთული სათქმელია, ბოლომდე მოაგვარა თუ არა თავისი პრობლემები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, მაგრამ ერთი რამ ცხადია - პირველ წრეში ის შეუდარებელი იყო **დომინიკ დეილის** წინაალმდეგ.

შეგახსენებთ, რომ რონი პირველი სესიის შემდეგ 7:2-ს იგებდა, მეორე დღეს კი ერთი ფრეიმიც არ დაანება მოწინააღმდეგეს. მეათე პარტიაში ო'სალივანმა 115-ქულიანი ბრეიკი გააკეთა და შემდეგაც განაგრძო დომინიკის მასხრად აგდება - 96 და 100-ქულიანი ბრეიკები მიითვალა. მატჩის ანგარიშია 10:2!


დეილი და ო'სალივანი

კიდევ ერთ ყოფილ ჩემპიონს (და მოქმედ ვიცე-ჩემპიონს) **გრემ დოტს** არ ჰქონია პრობლემა **მარკ კინგთან** დაპირისპირებაში. პირველი სესიის შემდეგ ის წინ არის - 6:3.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| იფსვიჩი-ნორვიჩი | 1:5 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| პადოვა-ვიჩენცა | 4:1 |
| პესკარა-ფროსინონე | 1:1 |
| **გერმანია** | |
| ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1:3 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-კოტბუსი | 1:2 |
| ოსნაბრიუკი-ფრანქფურტი | 1:1 |
| პადერბორნი-ბოხუმი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰალეშერი-ჰამბურგი A | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფერლი-კიოლნი A | 2:2 |
| ტრირი-ლევერკუზენი A | 3:1 |
| კაიზერი A-გლადბახი A | 0:0 |
| მუნსტერი-ჰომბურგი | 3:0 |
| **ბელგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| სტანდარდი-ლოკერენი | 3:0 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ნორდსიელანდი | 1:2 |
| მიდტიულანდი-ჰორსენსი | 1:0 |
| ლუნგბიუ-კოპენჰაგენი | 1:2 |
| ბრონდბიუ-ესბერგი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრონსჰოი-ჰვიდოვრე | 2:1 |
| ფინი-ვიბორგი | 1:2 |
| სკივე-აკადემისკი | 2:1 |
| აგფ ორჰუსი-ფრედერისია | 1:0 |
| კიოგე-ვესტსილანდი | 1:0 |
| ჰობრო-ჰიორინგი | 1:1 |
| ნაესტვედი-როსკილდე | 1:2 |
| ვეილე-კიოლდინგი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-გიოტებორგი | 2:0 |
| გეფლე-ტრელებორგი | 1:2 |
| ჰაკენი-ერებრუ | 1:2 |
| **შვედეთის თასი** | |
| სირიუსი-ბრაგე | 1:1 დ.დ. 4:2 |
| ლუნდსი-ლანდსკრონა | 0:1 |
| **ფინეთის თასი** | |
| ლაჰტი-ტურკუ | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| დელემონი-ბილი | 2:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| გენჩლერი-ბუიუქშეჰირი | 0:3 |
| **ირლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| უოტერფორდი-შელბურნი | 0:1 |

| | |
|---|---|
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| სლავია-ტეპლიცე | 1:0 |
| **პოლონეთი** | |
| კრაკოვია-ზაგლებე | 2:2 |
| შლიონსკი-ვისლა | 2:0 |
| **რუმინეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| სტიაუა-ბრაშოვი | 0:0 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| სლავია-პირინი | 1:1 პენ. 7:6 |
| **ლიტვა** | |
| დაინავა-კლაიპედა | 5:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **Under 17** | |
| სლოვენია-იტალია | 0:1 |
| რუსეთი-ისრაელი | 3:1 |
| ჩერნოგორია-ხორვატია | 0:0 |
| **Under 18** | |
| სერბეთი-სლოვენია | 0:0 |
| შოტლანდია-ინგლისი | 1:0 |
| **Under 19** | |
| სლოვენია-სერბეთი | 0:5 |
| ჩეხეთი-იტალია | 3:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ესპანეთი** | |
| სევილია-ესტუდიანტესი | 88:74 |
| **ისრაელი** | |
| ბარაქი-ჰაპოელი (ი) | 81:84 |
| ჰალილი-ჰაპოელი (ჰოლ) | 87:75 |
| მაკაბი (ა)-ბნეი ჰაშარონი | 71:92 |
| მაკაბი (ჰაი)-მაკაბი (რ) | 76:70 |
| ელდანი-მაკაბი (თ-ა) | 92:96 (ო) |
| **ჰოკეი** | |
| **ევროტური** | |
| ჩეხეთი-ფინეთი | 2:1 |
| შვედეთი-რუსეთი | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბარსელონა** | |
| გასკე-მონფილსი | 4:6, 6:7 |
| ფერერი-ჰანესკუ | 6:3, 6:2 |
| მელცერი-მონტანიესი | 6:7, 6:3, 6:2 |
| ნადალი-ხირალდო | 6:3, 6:1 |
| ალმაგრო-დავიდენკო | 7:6, 6:3 |
| რაონიჩი-დოდიგი | 6:7, 6:4, 3:6 |
| ნიშიკორი-ფ. ლოპესი | 4:6, 6:7 |
| ფერერო-ვანოცი | 7:6, 4:6, 6:4 |
| **WTA. ფესი** | |
| საფინა-კორნე | 6:1, 6:3 |
| პერვაკი-ბრიანტი | 5:7, 2:6 |
| შვედოვა-პივოვაროვა | 2:6, 6:7 |
| **WTA. შტუტგარტი** | |
| ზვონარევა-სტოსური | 6:2, 3:6, 6:7 |
| ვოზნიაცკი-პეტკოვიჩი | 6:4, 6:1 |
| ლისიცკი-გორჯესი | 4:6, 4:6 |
| ა. რადვანსკა-ბაროისი | 7:5, 6:3 |

● TV პროგრამა

**22 აპრილი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰანოვერი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სამპდორია.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
21:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-ტვენტე (LIVE).
00:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი, პსვ-ჰერენვენი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. პორტლენდი-დალასი. III მატჩი.
14:00 ფეხბურთი. ბარსელონა-რეალი. ფილმი.
14:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
22:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. რეალი-ვალენსია.
23:55 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. პორტლენდი-დალასი. III მატჩი.
05:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი. III მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

22:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-ტვენტე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

17:40 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ვიგანი-სტ. ელენი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. ატლანტა-ორლანდო. III მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

11:30 ბალახის ჰოკეი. ევროპის ჰოკეის ლიგა. ბისტონი (ბრიტანეთი)-დინამო (რუსეთი) (LIVE).
13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
15:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:30 ბალახის ჰოკეი. ევროპის ჰოკეის ლიგა. HGV (ჰოლანდია)-გლენანი (ირლანდია) (LIVE).
18:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაფაელ ნადალი

# ნადალი სეზონის ლიდერია

ბარსელონაში მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, **რაფაელ ნადალის** თამაში გახდა. რაფას ზედიზედ ხუთჯერ აქვს მოგებული ეს ტურნირი, შარშან კი პაუზა აიღო. სასტარტო შეხვედრაში მსოფლიოს პირველი ჩოგანის მეტოქე მისი თანამემამულე **დანიელ ხიმენო ტრავერო** იყო. მან ვერ შეძლო რეიტინგის ლიდერისთვის წინააღმდეგობის გაწევა და მხოლოდ ორი გეიმი აიღო.

აღსანიშნავია, რომ ნადალისთვის ეს იყო ამ სეზონში 25-ე გამარჯვება და ამ მაჩვენებლით მან გაუსწრო წინა ლიდერებს - **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და **როჯერ ფედერერს**, რომლებსაც 24-24 მოგება აქვთ.

პირველად ითამაშა ამ სეზონში გრუნტის კორტზე მესამე ნომრად განთესილმა **რობინ სიოდერლინგმა**. დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა - ბოლო ორი როლან გაროსის ფინალისტმა **ივან დოდიგთან** წააგო. ხორვატმა ცხრა ეისი ჩააწოდა, მისი მეტოქე კი მოწოდებაზე არც ისე დამაჯერებელი იყო - სკანდინავიელმა პირველ და მეორე მოწოდებებზე ქულების მხოლოდ 50 პროცენტი აიღო. ამასთან, შვედმა ცხრიდან 7 ბრეიკ-პოინტი დათმო და ასეთი სტატისტიკით მისი დამარცხება არ უნდა გაგვიკვირდეს.

ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო **ხუან კარლოს ფერერომ**, რომლისთვისაც ეს პირველი ტურნირია მიმდინარე სეზონში. ესპანელმა ამჯერად **მიშა ზვერევი** დაამარცხა. ამ უკანასკნელმა ძირითად ბადეში ტრავმირებული **ენდი მიურეი** შეცვალა.

საინტერესოა, რომ ფერეროს მეტოქე მერვედფინალში **სიმონე ვანიოცი** იქნება. ყველასთვის უცნობმა იტალიელმა ჯერ კვალიფიკაცია გაიარა, ახლა კი **ხუან მონაკო** დაამარცხა - არგენტინელის წინააღმდეგ აპენინელმა 11-დან ხუთი ბრეიკ-პოინტი გააკეთა.

**ATP**

**Open Sabadell Atlantico**

ბარსელონა (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 1 550 000 ევრო

**II წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:1, 6:1; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-ალბერტ რამოსი (ესპ) 6:3, 4:6, 6:3; **რიშარ გასკე (საფ, 9)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 6:3, 4:6, 6:2; **ივან დოდიგი (ხორ)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 3) 6:2, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ, 12) 6:7, 6:3, 6:4; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-რუი მაშადო (პორ) 6:1, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 6)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:1, 6:3; **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 11)**-ბენუა პერი (საფ, 11) 6:7, 6:1, 6:4; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-კევინ ანდერსონი (ს.აფრ, 14) 6:46 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:2, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 8)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:5, 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ედუარდ როჟე ვასელენი (საფ) 6:2, 7:6; **სიმონე ვანოცი (იტა)**-ხუან მონაკო (არგ, 16) 6:3, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:4, 7:5; **მილოშ რაონიჩი (კან, 15)**-სიმონ გროილი (გერ) 6:3, 4:6, 7:6.

# ესპანელთა პროტესტი

ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ ოფიციალური წერილი გაუგზავნა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას, რომელშიც ამერიკის ნაკრებთან დევისის თასის მეოთხედფინალის სხვა ქალაქში გადატანას ითხოვს. ესპანელებს არ აკმაყოფილებთ ის საფარი, რომელზეც ეს მატჩი უნდა გაიმართოს.

ქალაქ ოსტინის კორტზე არსებულ საფარს Indoor Hard Premiere ჰქვია და ის არ არის შეტანილი საერთაშორისო ფედერაციის მიერ ოფიციალურად აღიარებული მოედნების სიაში. კომპანია, რომელიც ამგვარ საფარს აწარმოებს, ასევე არ არის აღნუსხული ფედერაციის სიაში, არადა, ამ ჩამონათვალში სულ 91 კომპანიაა შესული.

*„ჩვენთვის აბსოლუტურად უცნობია ეს საფარი, რადგან ის არ შეესაბამება აღიარებულ კრიტერიუმებს. ასე რომ, ჩემი მთავარი პრობლემაა ავუხსნა მოთამაშეებს - რა სახის კორტთან ექნებათ საქმე. ჩვენ ასეთ კორტზე ვარჯიშსაც კი ვერ შევძლებთ, რადგან ვერსად დავაგებთ მსგავს საფარს - უბრალოდ არ გვექნება ამის გაკეთების უფლება“*, - ამბობს ესპანეთის ნაკრების კაპიტანი **ალბერტ კოსტა**.

თავის მხრივ, საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკვე გაეცნენ ესპანური მხარის პრეტენზიას და ამ კვირის ბოლოს გამოიტანენ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო ვერდიქტს.




ალბერტ კოსტას თავსატეხი აქვს

# გერმანელები მოდიან

მორიგი სათამაშო დღე გერმანული ჩოგბურთის ტრიუმფით აღინიშნა. ბოლოს Porsche Tennis Grand Prix-ის მეოთხედფინალში ადგილობრივმა ჩოგბურთელმა 2001 წელს ითამაშა - ეს იყო **ანკე ჰუბერი**, ახლა კი ამ ეტაპზე გერმანიის ოთხ წარმომადგენელს ვხედავთ.

პირველმა მეოთხედფინალში თამაშის უფლება ბევრისთვის მივიწყებულმა **საბინ ლისიცკიმ** მოიპოვა. ამ ჩოგბურთელმა 2009 წელს გაგვაცნო თავი, როცა ჩარლსტონის ტურნირზე ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ამერიკელი **ვენუს უილიამსი**, ფრანგი **მარიონ ბარტოლი** და მაშინ ჯერ კიდევ მე-12 ჩოგანი, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** და კარიერაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ტიტული მოიპოვა. ლისიცკის ამბიციების დამადასტურებელი იყო უიმბლდონის მეოთხედფინალში თამაშიც... ამას მოჰყვა ჩავარდნა, ტრავმები და როგორც გითხარით, ლისიცკის არსებობა ბევრს დაავიწყდა.

შარშანდელ სეზონში საბინმა ვერც ერთ ტურნირზე ვერ მოიგო ზედიზედ ორი მატჩი, თუმცა წელს ნელ-ნელა გამოასწორა სიტუაცია. შტუტგარტში ის უაილდ-ქარდით მოხვდა და სრულად გაამართლა ორგანიზატორთა მოლოდინი. გერმანელის ორი მსხვერპლი გახდა სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვა** და ჩინელი **ნა ლი**. მესამე წრეში მისი მეტოქე ასევე გერმანელი ჩოგბურთელი იქნება.

ეს გახლავთ ამ მომენტისთვის გერმანიის ნაკრების მეორე ნომერი **იულია გორჯესი**, ვინც შარშან მოიგო პირველი ტიტული კარიერაში და რეიტინგის ტოპორმოცეულში შეაღწია. ამჟამად გორჯესი მისთვის სარეკორდო 32-ე ადგილზე იმყოფება, შტუტგარტში კი პირველად გააღწია მეორე წრეზე შორს. თუმცა იულიას სრულფასოვანი ტრიუმფი არ გამოუვიდა, რადგან მისმა მეტოქემ, ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** პირველი სეტის მოგების (6:4) შემდეგ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ახლა გორჯესი და ლისიცკი მეოთხედფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, ასე რომ ნახევარფინალში გერმანიას ერთი გარანტირებული წარმომადგენელი ჰყავს.

უაილდ-ქარდის მეორე მფლობელმა კრისტინა ბაროისმა ორი სიურპრიზი შემოგვთავაზა. 30 წლის ვეტერანმა, რომელსაც WTA-ის ტურნირი არასოდეს მოუგია და რეიტინგში 65-ე ადგილზე ზემოთ არასოდეს ასულა, ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ჩეხი **ლუსი საფაროვა** და მარიონ ბარტოლი. სხვათა შორის, ბაროისს ასეთი გამონათებები აქვს ხოლმე. მაგალითად, შარშან სტრასბურის ტურნირის ფინალამდე მიაღწია და იქ პირველ სეტში თანაბრად ებრძოლა რუს **მარია შარაპოვას**.

ამ დღის მთავარი გმირი კი საყოველთაოდ ცნობილი **ანდრეა პეტკოვიჩი** გახდა - ყველაზე მოცეკვავე ჩოგბურთელი ქალთა პროფესიულ ტურში. ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ანდრეამ შარშანდელ როლან გაროსზე სამი მატჩბოლი გაანიავა და **სვეტლანა კუზნეცოვასთან** წააგო. აქედან დაიწყო მისი პროგრესი. წელს ავსტრალიის ღიაზე მან მარია შარაპოვა დაამარცხა და პირველად გავიდა „დიდი შლემის“ ჩემპიონატის მეოთხედფინალში. მეორე ვარსკვლავური ტურნირი გახდა ინდიან უელსი, სადაც პირველად კარიერაში პირველი ჩოგანი დაამარცხა, ვოზნიაცკის შემდეგ კი სერბ **ელენა იანკოვიჩს** სძლია და მხოლოდ შარაპოვამ შეაჩერა, თანაც დიდი გაჭირვებით. ასე რომ, პეტკოს ამჟამად განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. ისევ მოუგო იანკოვიჩს და საინტერესოა, იმავეს გააკეთებს თუ არა ვოზნიაცკისთან მეოთხედფინალში.

■ ■ ■

ფესში ერთი სერიოზული მოულოდნელობა მოხდა, რომელმაც ძალიან გაახარა ადგილობრივი პუბლიკა. მაროკოს წარმომადგენელმა **ნადია ლალამიმ** იმ დღეს განთესვის ლიდერი **არავან რეზაი** დაამარცხა სამ სეტში. აქამდე ლალამის მხოლოდ ოთხი შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული WTA-ის ტურნირების ძირითად ბადეში და ოთხივეში დამარცხებულმა დატოვა კორტი. მაგრამ ამჯერად მან მაროკოსთვის ისტორიული შედეგი დააფიქსირა - თავისი ქვეყნის პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც WTA-ის ტურნირის მეოთხედფინალამდე მიაღწია.

პირველი პარტია მაროკოელმა საკმაოდ იოლად წააგო, მეორეში კი ძალიან სწრაფად 5:1 დაწინაურდა, მაგრამ ის სეტი მხოლოდ ტაი-ბრეიკზე მოიგო. გადამწყვეტ სეტში მასპინძელმა ასევე კომფორტული უპირატესობა მოიპოვა - 5:2, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი გეიმი წააგო და ახლო იყო მესამის წაგებასთან (0:30 ჩამორჩა საკუთარ გეიმში). მაგრამ ლალამიმ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და გეიმი, სეტი და მატჩი მოიგო, რითაც გადაწერა თავისი ქვეყნის საჩოგბურთო ისტორია.



ანდრეა პეტკოვიჩი

**WTA**

**Porsche Tennis Grand Prix**

შტუტგარტი (გერმანია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 721 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ჟუჟანა კუკოვა (სლოვაკ) 6:1, 6:2; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 3:6, 6:4, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 3) 6:1, 6:3; **იულია გორჯესი (გერ)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4) 4:6 აზარენკას უარი; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 5)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:4, 2:6, 6:4; **საბინ ლისიცკი (გერ)**-ნა ლი (ჩინ, 6) 6:4, 7:5; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 7) 3:6, 6:1, 6:3; **კრისტინა ბაროისი (გერ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 8) 6:4, 6:2.

**Grand Prix De SAR**

ფესი (მაროკო). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 220 000 დოლარი

**I წრე**

**ნადია ლალამი (მარ)**-არავან რეზაი (საფ, 1) 2:6, 7:6(5), 6:4; **გრეტა არნი (უნგ, 4)**-კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ) 6:4, 6:4; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 7)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:2, 6:4; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:4, 7:5.

**1/8 ფინალი**

**სელანი იუდინი (აშშ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ, 3) 4:6, 6:1, 6:2; **ალიზ კორნე (საფ, 8)**-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 6:3, 6:3; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-შანელ სხეპერსი (ს.აფრ) 6:7(6), 7:6(1), 6:2.

# განახლებული უიმბლდონი

ინგლისური პრესის ცნობით, წელს უიმბლდონის ტურნირზე სარეკორდო საპრიზო ფონდი გათამაშდება. 2011 „დიდი სლემის“ ამ ჩემპიონატში ჰონორარი ჯამში 6.4 პროცენტით გაიზრდება და 14.6 მილიონ ფუნტს (23.8 მილიონი დოლარი) მიაღწევს. იმის გათვალისწინებით, რომ ბრიტანული ვალუტა დოლართან მიმართებაში უფრო მყარი გახდა, შარშანდელთან შედარებით საპრიზო ფონდი 10 პროცენტით მაღალი გამოდის. ასე რომ, ერთეულთა თანრიგში გამარჯვებული თავის საბანკო ანგარიშს 1.8 მილიონი დოლარით გაზრდის.

*„უიმბლდონის დონის ტურნირის ჩატარებისას მაქსიმალურად დაინტერესებული უნდა ვიყოთ იმით, რომ მონაწილეთა შემადგენლობა უმაღლესი დონისა იყოს“*, - განაცხადა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

წელს უიმბლდონი 125-ედ გაიმართება და საპრიზო ფონდის გაზრდის გარდა ორგანიზატორები სხვა სიახლეებსაც ამზადებენ. მაგალითად, განახლდა ტურნირის ლოგოტიპი და ვებგვერდი. გადამწყვეტი მატჩები კომპანია „სონისთან“ დადებული ხელშეკრულების თანახმად 3D ფორმატით ბრიტანეთის 600 კინოთეატრში გადაიცემა. საჩოგბურთო არენას დაემატა ახალი კორტი, რომელიც ორი ათას მაყურებელს დაიტევს. სულ კი ტრიბუნების ტევადობა სამი ათასი ადგილით გაიზარდა.



შეგახსენებთ, რომ წელს უიმბლდონის ტურნირი 20 ივნისს დაიწყება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**